30

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

№ 5 მაისი № 5

თბილისი

გამომცემლობა „კომუნისტი"
1946



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკი

სსრ კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის
ყოველთვიური თეორიული
და პოლიტიკური ჟურნალი

გამოცემის XVII წელი

№ 5 მაისი 1946

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჟორესის, № 5
ტელეფონი № 3-73-05

შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 7 1
ბრძანება სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა № 11 4
ვ. მ. მოლოტოვის განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირის შედეგთა შესახებ საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისადმი 5
მოწინავე—მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის დარგში და ჩვენი ამოცანები 15
ვ. გრიგორიანი—ავიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან 21
ტ. კვარაცხელია—სტახანოვური მოძრაობა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა. 36

— 0 —

კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა

ს. ბოკუჩავა—ამხანაგ სტალინის ბრძოლა ქართველ მეწშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ რეაქციის პერიოდში 47

— 0 —

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან 67

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

№ 7

1946 წლის 1 მაისი **ქ. მოსკოვი**

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ დღეს ჩვენ პირველად ვხატავრებთ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, რომელიც მოვიპოვეთ მტრებთან მძიმე ბრძოლით, დიდი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად.

ერთი წლის წინათ წითელმა არმიამ გამარჯვების დროშა ააფრიალა ბერლინში და დაამთავრა ფაშისტური გერმანიის განადგურება. გერმანიასთან ომის ძლევამოსილად დამთავრების ოთხი თვის შემდეგ იარაღი დაჰყარა იმპერიალისტურმა იაპონიამ. საერთაშორისო რეაქციის ძალებით მომზადებული და მთავარი ფაშისტური სახელმწიფოების მიერ გაჩაღებული მეორე

მსოფლიო ომი თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სრული გამარჯვებით დამთავრდა.

ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ძირითადი კერების განადგურებამ და ლიკვიდაციამ გამოიწვია ღრმა ცვლილებები მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ ცხოვრებაში, უზრუნველჰყო ხალხთა შორის დემოკრატიული მოძრაობის ფართო ზრდა. ომის გამოცდილებით ხალხის მასებმა შეიგნეს, რომ სახელმწიფოთა ბედი არ შეიძლება მიენდოს რეაქციულ მმართველებს, რომლებიც ვიწრო-კასტურ და ანგარებით ალსავსე, ხალხის საწინააღმდეგო მიზნებს ისახავენ. სწორედ ამიტომ ხალხები, რომლებსაც აღარ სურთ შველებურად იცხოვრონ, საკუთარ ხელში იღებენ თავიანთ სახელმწიფოთა ბედს, ამყარებენ დემოკრატიულ წესებს და აქტიურ ბრძოლას ეწევიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

მსოფლიოს ხალხებს არ სურთ, რომ ომის უბედურება განმეორდეს. ისინი შეუპოვრად იბრძვიან მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას საბჭოთა კავშირი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურებაში და განახორციელა თავისი დიადი განმათავისუფლებელი მისია.

საბჭოთა კავშირის მიერ ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებულმა ხალხებმა შესაძლებლობა მიიღეს აშენონ თავიანთი სახელმწიფოებრივი ცხოვრება დემოკრატიულ საფუძვლებზე, განახორციელონ თავიანთი ისტორიული მისწრაფებანი. ამ გზაზე მათ საბჭოთა კავშირი ძმური დახმარებას უწევს.

მთელ მსოფლიოს შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში, არამედ იმაშიც, თუ რა სამართლიან ხასიათს ატარებს მისი პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია ყველა ხალხთა თანასწორუფლებიანობის აღიარებაზე, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი პატივისცემაზე. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ერთგულად დაიცავს თავის პოლიტიკას, მშვიდობისა და უშიშროების პოლიტიკას, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირი ომის დამთავრებისთანავე შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას. საბჭოთა ადამიანები აღფრთოვანებით შეუდგნენ ომით შეწუხებულ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სახავს ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების შემდგომი ზრდის, მისი ეკონომიური ძლიერების ზრდის, მისი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის ახალ პერსპექტივებს.

ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხუთწლიანი გეგმა მიიღეს როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათს საარსებო ინტერესებს შეესაბამება. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი.

ვაჩაღებთ რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხრიკები საერთაშორისო რეაქციისა, რომელიც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს. საჭიროა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ, გადავდივართ რა მშვიდობიან შრომაზე, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა—ჩვენმა სახმელეთო ჯარებმა, სამხედრო-საჰაერო ძალებმა და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა—შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე დიდ სამამულო ომში.

ახლა ჩვენი შეიარაღებული ძალების წინაშე დგას არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა—ფხიზლად დაიცვან მოპოვებული მშვიდობა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომა, იყვნენ საბჭოთა კავშირის ინტერესთა საიმედო დასაყრდენი.

ამ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი არმიის, ჩვენი ფლოტის, ჩვენი ავიაციის მებრძოლთა და მეთაურთა სამხედრო კულტურისა და სამხედრო ოსტატობის შემდგომი ზრდის პირობით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, ომის გამოცდილების საფუძველზე, სამხედრო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საფუძველზე, დღითიდღე უნდა აიმაღლონ თავიანთი სამხედრო ხელოვნების დონე.

შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ჩვენი არმია, ჩვენი ფლოტი და ჩვენი ავიაცია ღირსეულად შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო მუშებო, გლეხებო, ინტელიგენტური შრომის ადამიანებო!

წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებულო მეომრებო!

მთავრობისა და კომუნისტური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ პირველი მაისის დღეს!

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად—

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დღეს, 1 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე ლვოვში, კენიგსბერგში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი **ი. სტალინი**

ბრძანება

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

1946 წლის 9 მაისი № 11 ქალაქი მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო და ზემდეგებო! ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელნო!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ პირველ წლისთავს ჩვენი ხალხის დიადი გამარჯვებისას ფაშისტურ გერმანიაზე, რომელმაც ხელჰყო ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი კომუნისტური პარტიის სახელით მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს—გერმანიის ფაშიზმზე **გამარჯვების** დღესასწაულს.

გამარჯვების დღესასწაულის აღსანიშნავად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

დღეს, 9 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე ლვოვში, კენიგსბერგში და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცდაათი საარტილერიო ზალპით.

დიდება ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა და მოიპოვეს გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე!

დიდება საკავშირო კომუნისტურ პარტიას—ჩვენი გამარჯვებების ხელისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი **ი. სტალინი.**

3. მ. მოლოტოვის განცხადება

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირის შედეგთა შესახებ საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისადმი

„იზვესტიისა“ და „პრავდის“ კორესპონდენტების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირის შედეგთა შესახებ დასმული საკითხებისა და იმ განმარტების გამო, რომელსაც ამ შედეგებს უკანასკნელ ხანს სხვა ქვეყნებში აძლევენ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის თათბირი შეიდგა სამი საგარეო საქმეთა მინისტრის გასული წლის დეკემბრის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებიბ შესაბამისად. როგორც ცნობილია, მოსკოვის თათბირმა, იხელმძღვანელა რა სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციის მითითებებით, მიიღო გარკვეული გადაწყვეტილება იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთსა და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა მომზადების საკითხზე. პარიზის სესიაზე საბჭოთა დელეგაცია ხელმძღვანელობდა მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების ზუსტი შესრულების აუცილებლობით, რომლის (გადაწყვეტილებების) თანახმად გათვალისწინებულია კონფერენციის მოწვევა ზემოხსენებულ საზავო ხელშეკრულებათა განსახილველად მას შემდეგ, რაც დამთავრდება შესაბამისი პროექტების მომზადება. მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების თანახმად, საჭიროა, რომ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატების მთავრობებს, ხოლო იტალიის მიმართ საფრანგეთის მთავრობას შორისაც, მიღწეულ იქნას აუცილებელი შეთანხმება აღნიშნულ საზავო ხელშეკრულებათა შემუშავებისას. ეს იმას ნიშნავს, რომ 21 სახელმწიფოს წარმომადგენელთა საზავო კონფერენციის მოწვევამდე ამ მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ მათ შორის შეთანხმებული პროექტები საზავო ხელშეკრულებებისა. სხვაგვარი გაგება იმას გამოიწვევდა, რომ, ვთქვათ, იტალიასთან საზავო ხელშეკრულების ერთი პროექტის ნაცვლად კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნებოდა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების ორი პროექტი. ამ შემთხვევაში კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ხელს მოაწერდა ერთ საზავო ხელშეკრულებას, ხოლო კონფერენციის მონაწილეთა მეორე ჯგუფი—მეორე საზავო ხელშეკრულებას, რაც სინამდვილეში ერთიანი საზავო კონფერენციის იდეის კრახი იქნებოდა. თუ ამ გზით ვიქცევით, მივიღებდით არა ერთ საზავო კონფერენციას, არამედ ორ საზავო კონფერენციას და ამით ძირი გამოეთხრებოდა ხალხების მისწრაფებას მტკიცე მშვიდობისადმი. ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობა სრულიად აშკარაა. ამიტომ საბჭოთა დელეგაციას არ შეეძლო დათანხმებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადებას კონფერენციის მოწვევის ვადის დანიშვნის შესახებ, თუ არ იქნებოდა წინასწარი შეთანხმება საზავო ხელშეკრულებათა მომზადებიაას. სრულიად აშკარაა აგრეთვე, რომ ამერიკის დელეგაციის ეს წინადადება, რომელსაც მხარს უჭერდა ბრიტანეთის დელეგაციაც, ეწინააღმდეგებოდა ბერლინის კონფერენციისა და მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს და საერთოდ შეიძლებოდა უაღრესად არასასურველი შედეგი ჰქონოდა იმ ერებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, რომლებიც მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ ისწრაფვიან.

ამიტომ საბჭოთა დელეგაციის ღონისძიებანი პარიზის თათბირზე სწორედ იქით იყო მიმართული, რომ გამონახულიყო შეთანხმებული გადაწყვეტილებანი იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთსა და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტების ძირითად საკითხებზე. უნდა ვალიაროთ, რომ ამ მხრივ მიღწეულია ერთგვარი დადებითი შედეგები, თუმცა იგინი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ.

პარიზის თათბირის მუშაობის შედეგად **რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთისათვის საზავო ხელშეკრულებათა** მომზადება, გარდა იმ ეკონომიური მუხლებისა, რომლებიც ჯერ კიდევ განუხილველი დარჩნენ, ძირითადად შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. მთავრობებს შორის, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ამ ხელშეკრულებათა მომზადება, შეთანხმებულია ყველა ძირითადი საკითხი: ტერიტორიული, სამხედრო შეზღუდვანი, რეპარაციები და სხვა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ, საბჭოთა მთავრობის წინადადების თანახმად, აღნიშნულ საზავო ხელშეკრულებებს საფუძვლად უდევს დროებითი ზავის პირობები, რომლებშიც თავის დროზე შეტანილ იქნენ სატელიტი სახელმწიფოების მხოლოდ ძირითადი ვალდებულებანი, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს მოკავშირეთა კანონიერ ინტერესებს, მაგრამ რომლებიც არ იწვევენ ამ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში გარედან ჩარევას. საკითხები, რომლებიც შეუთანხმებელი დარჩნენ რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთსა და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა გამო, უმთავრესად ეკუთვნიან ხელშეკრულებათა ეკონომიურ ნაწილს, რომელიც ჯერ არ განხილულა მინისტრთა საბჭოში, მაგრამ განიხილეს სპეციალურმა კომისიებმა, სადაც უთანხმოება გამომჟღავნდა. სხვათა შორის, იყეთი საკითხი, როგორიც არის ვაჭრობისა და დუნაის ნაოსნობის საკითხი, რომელიც შეეხება დუნაისპირა სახელმწიფოთა საარსებო ინტერესებს, უკვე არაერთხელ განხილულა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში. საბჭოთა დელეგაციის აზრით, ამ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა არ შეიძლება დუნაისპირა სახელმწიფოთა მონაწილეობის მიუღებლად, თუ ვიხელმძღვანელებთ სურვილით, რომ განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა ამ ქვეყნებთან. დუნაის ნაოსნობის რეჟიმის საკითხი, უწინარეს ყოვლისა, თვითონ დუნაისპირა სახელმწიფოთა საქმეა და მისი გადაწყვეტა არ შეიძლება ცალკეულ დუნაისპირა სახელმწიფოებთან საზავო ხელშეკრულებებით. არ შეიძლება სწორად მივიჩნიოთ, რომ ზოგიერთმა არადუნაისპირა სახელმწიფომ მიითვისოს უფლება—უკარნახოს დუნაისპირა სახელმწიფოებს თავიანთი ნება და იყეთი რეჟიმი დუნაიზე, რომელიც ანგარიშს არ გაუწევს დუნაისპირა სახელმწიფოთა ინტერესებს, განსაკუთრებით დუნაისპირა მოკავშირე სახელმწიფოებს (ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია).

იტალიასთან საზავო ხელშეკრულების საქმე გაცილებით უფრო რთული. აქ გამოვლინდა უთანხმოება მთელ რიგ ძირითად საკითხებზე, როგორც, მაგალითად, რეპარაციების საკითხზე, იტალიის ყოფილ კოლონიათა ბედის საკითხზე, იტალია-იუგოსლავიის საზღვრის, ტრიესტის ბედისა და ზოგიერთ სხვა საკითხზე.

ავიღოთ **რეპარაციების** საკითხი. 1941-1942 წლებში ფაშისტური იტალიის რამდენიმე ასეულათასიანი ჯარი შემოიჭრა ასრ კავშირის ტერიტორიაზე. მათ ჰიტლერელებთან ერთად აოხრეს საბჭოთა ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი, აოხრეს უკრაინაში ხარკოვი და მრავალი სხვა ქალაქი და სოფელი, მოვიდნენ დონამდე და უდიდესი ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას. იტალიის ფაშისტური ჯარები იუგოსლავიას, საბერძნეთსა და ალბანეთსაც შეესივნენ და მათაც უდიდესი უბედურება მიაყენეს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა მხედველობაში მიიღო იტალიაში ფაშიზმის დამხობის ფაქტი, და სცნო, რომ ომის უკანასკნელ წლებში მოკავშირეთა

მხარეზე დემოკრატიული იტალიის მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თავისი სარეპარაციო მოთხოვნები ექვსი წლის განმავლობაში განსაზღვრა მეტად მცირე თანხით — ასი მილიონი დოლარით, რაც გაფრთხილებას მაინც უნდა წარმოადგენდეს იმის შესახებ, რომ დაუსჯელი არ შეიძლება დარჩეს აგრესია და სხვის ტერიტორიაზე შეჭრა. ამავე დროს საბჭოთა კავშირი იცავს 200 მილიონი დოლარის რეპარაციის მოთხოვნების საჭართლიანობას იუგოსლავიის, საბერძნეთისა და ალბანეთისათვის. ეს ციფრები მოწმობენ, რომ ჩვენი სარეპარაციო მოთხოვნები იტალიის მიმართ მხოლოდ მცირეოდნად ანაზღაურებენ ომიანობის წლებში მის მიერ მოყენებულ ზიანს. იტალიისადმი საბჭოთა კავშირის სარეპარაციო მოთხოვნებს პარიზის თათბირზე მხარი დაუჭირა მხოლოდ საფრანგეთის დელეგაციამ. ამერიკის დელეგაციამ და მასთან ერთად ინგლისის დელეგაციამ საბჭოთა კავშირის ამ სამართლიან მოთხოვნებსაც კი არ დაუჭირეს მთლიანად მხარი. საკმარისია ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ წინადადება წამოაყენა შეეტანათ სსრ კავშირისათვის რეპარაციათა თანხაში იმ სამხედრო ხომალდების ღირებულება, რომლებიც განკუთვნილია საბჭოთა კავშირისათვის იტალიაში მიღებული ნადავლიდან, თუმცა ჯერ კიდევ ბერლინის კონფერენციაზე გერმანიის საკითხის განხილვის დროს ამერიკის, ბრიტანეთისა და საბჭოთა მთავრობებმა სამართლიანად ცნეს, რომ მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩაითვალოს ისეთ ნადავლად, რომელიც რეპარაციების ანგარიშში არ შედის.

რეპარაციათა საკითხის განხილვისას ჩვენ უკვე პირველად როდი ვხვდებით ისეთ მდგომარეობას, როცა იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთაც არ განუცდიათ თავიანთ ტერიტორიაზე მტრის შეჭრა, ამ საკითხს ისე არ უდგებიან, როგორც საბჭოთა კავშირი. მართლაც, შეუძლებელია, საქმე განისაზღვროს მტრის შეჭრით დაზარალებული ხალხებისადმი თანაგრძნობის სიტყვებით და ამავე დროს მოუწოდებდნენ „დაივიწყონ რეპარაციები“. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს რუსული ანდაზის სისწორეს: „მაძღარს მშიერი მაძღარი ეგონაო“. ამავე დროს, იტალიის პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადებებიდან ცნობილია, თუ რა უდიდეს საოკუპაციო ხარჯებს ეწევა იტალია ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. საოკუპაციო ხარჯების ამ თანხის, რაც რამდენიმე მილიარდი დოლარით აღირიცხება, ცოტაოდნად შემცირებაც კი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ იტალიამ შეასრულოს საბჭოთა კავშირის სარეპარაციო მოთხოვნები. მეორე მხრივ ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ იტალიის მრეწველობას შეკვეთები ესაჭიროება. საბჭოთა კავშირის მიერ წარდგენილი სარეპარაციო მოთხოვნების შესრულება იტალიის მრეწველობას მნიშვნელოვან დაკვეთებს მისცემს მთელი რიგი წლების მანძილზე და ეს დიდ სიმძიმეს არ შეადგენს იტალიის სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. მაგრამ რატომღაც ამერიკა და ინგლისი უმთავრესად სწორედ იმის წინააღმდეგი არიან, რომ იტალიამ რეპარაციები შეასრულოს საბჭოთა კავშირისათვის საჭონლის ჩაბარების გზით. განცხადება, თითქოს იტალიის მრეწველობის ასეთი მიწოდებანი მოხდება შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მხრივ იტალიის დაფინანსების გზით, სრულიად უნიადაგოა. მეორე მხრივ, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, რომ იტალიის მრეწველობა მიიჩნიონ ამერიკისა და ბრიტანეთის სამრეწველო წრეების ინტერესებისათვის დაქვემდებარებულად. იტალიის ნაციონალურ მრეწველობას მდიდარი წარსული აქვს და ახლა მას უნდა გაეხსნას განვითარების ახალი დიდმნიშვნელოვანი პერსპექტივები. თუ ჩვენ ხელს არ შეგვიშლიან, საბჭოთა კავშირსა და იტალიას დიდად არ გაუძნელდებათ რეპარაციათა საკითხზე შეთანხმება.

იტალიის **ყოფილი კოლონიების** საკითხს დიდი ყურადღება ეთმობოდა მინისტრთა როგორც ლონდონის, ისე პარიზის თათბირზე. ჩვენ დაჟინებით

არ მოგვითხოვნია, რომ მარტო საბჭოთა კავშირს, ანდა თუნდაც იტალიასთან ერთად, გადასცემოდა სამეურვეოდ რამდენიმე წლით ტრიპოლიტანია, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საბჭოთა სავაჭრო გემებისათვის ხმელთაშუა ზღვის გზებზე და საკუთარი უზრუნველჰყოფდა ტრიპოლიტანიის ეროვნული დამოუკიდებლობის მოკლე ხანში დამყარების ინტერესებს. საბჭოთა კავშირმა, ისევე როგორც საფრანგეთმა, სასურველად სცნო, რომ იტალიის ყოფილი კოლონიები სამეურვეოდ გადაეცემოდა თვითონ იტალიას, რომელიც ახლა დემოკრატიული სახელმწიფო გახდა და შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით შეასრულოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ამ ქვეყნების მომზადების ამოცანა. ამ წინადადებას თავდაპირველად მხარი დაუჭირა ამერიკის დელეგაციამაც, მაგრამ მან მალე უარი სთქვა ამ პოზიციაზე, მოიშიზეზა რა ბრიტანეთის დელეგაციის საწინააღმდეგო აზრი. ამის გამო იტალიის კოლონიათა ბედის საკითხი გადაუჭრელი დარჩა, ხოლო საბჭოთა კავშირის ამ საკითხში დათმობამ ვერ ჰპოვა სათანადო შეფასება და სამართლიანი აღიარება.

იტალიის ყოფილ კოლონიათა საკითხში განსაკუთრებით გეცემოდათ თვალში, რომ ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციები ჩვეულებრივად მოქმედებდნენ ურთიერთშორის შეთანხმების წესით, თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა სხვა ქვეყნების კანონიერ ინტერესებს. პარიზის თათბირზე ჩამოყალიბებულ იქნა ბრიტანეთის პროექტი, რომლის მიხედვით იტალიის თითქმის ყველა კოლონია ფაქტიურად უნდა დაქვემდებარებოდა ინგლისის კონტროლს. მოითხოვდნენ, რომ გამოცხადებულიყო „დამოუკიდებლობა ლიბიისა“, რომელშიც უნდა შესულიყო ტრიპოლიტანია და კირენაიკა, მაგრამ ამ ტერიტორიიდან ბრიტანეთის ჯარები არ უნდა გაეყვანათ. მოითხოვდნენ აგრეთვე შექმნილიყო „დიდი სომალი“, მოექციათ მასში იტალიის სომალი და ორი ტერიტორია ეთიოპიის ხარჯზე (ოგადენი და „რეზერვირებული ტერიტორიები“), ამასთან „დიდი სომალი“ გადაეცათ დიდი ბრიტანეთის სამეურვეოდ. ამრიგად, დიდი ბრიტანეთის კოლონიური იმპერია მოიპოვებდა თავის უფლებათა ახალ გაფართოებას ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი მოთხოვნა უნდა განხორციელებულიყო არა მარტო დამარცხებული იტალიის ხარჯზე, არამედ ეთიოპიის ხარჯზეც, რომელიც, როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. ასეთი გეგმების განხორციელება გამოიწვევდა დიდი ბრიტანეთის თითქმის მონოპოლიური მდგომარეობის შემდგომ განმტკიცებას ხმელთაშუა ზღვისა და მეწამული ზღვის მთელ უზარმაზარ რაიონში. ბრიტანეთის ამ გეგმებს კრიტიკა არ გამოუწვევია ამერიკის დელეგაციის მხრივ. პირიქით, ყოველგვარი წინადადება, რომელიც დიდი ბრიტანეთისათვის არასასურველი სჩანდა ხმელთაშუა ზღვაში დიდი ბრიტანეთის მონოპოლიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და შემდგომი განმტკიცების თვალსაზრისით, მტკიცე წინააღმდეგობას იწვევდა არა მარტო ბრიტანეთის, არამედ ამერიკის მხრივაც. იტალიის კოლონიათა საკითხი გადაუჭრელი დარჩა, ხოლო ბრიტანეთის ჯარები კვლავ მდგომარეობის ბატონ-პატრონი არიან ამ ტერიტორიაზე და ეთიოპიის ზოგიერთ ტერიტორიაზე.

იტალია-იუგოსლავიის საზღვრისა და ტრიესტის საკითხიც პარიზის თათბირის ძირითად პრობლემებს უნდა მიეკუთვნოს. ამ საკითხში მხოლოდ საბჭოთა დელეგაციამ დაუჭირა მხარი იუგოსლავიას. იულიის კრაინაზე იუგოსლავიის პრეტენზიის სამართლიანობა არავის სადავოდ არ მიაჩნდა. არავინ არ იცავდა იტალიისათვის იულიის კრაინის გადაცემის შესახებ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ეს არის იუგოსლავიის ეროვნული ტერიტორიის ნაწილი, რომ ამ ტერიტორიაზე სლოვენები და ხორვატები სჭარბობენ, მაგრამ, ამერიკის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის ექსპერტთა წინადადებით, იულიის კრაინა იყოფო-

და ორ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად. ამასთან, დასავლეთ ნაწილთან ერთად, რომელიც, საფრანგეთის პროექტის მიხედვით, იულიის კრაინის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს, იუგოსლავიას სწყვეტდნენ ტრიესტს, რომელიც მთელი იულიის კრაინის თავია. ამავე დროს, ქალაქ ტრიესტი, მიუხედავად იმისა, რომ იქ იტალიელი მოსახლეობა სჭარბობს, არ შეიძლება ჩამოშორდეს იულიის კრაინაა, იუგოსლავიის დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესების დაურღვეველად და თვით ტრიესტისათვის სერიოზული ეკონომიური ზიანის მიუყენებლად. იტალია-იუგოსლავიის საზღვრის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა. მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ იგი მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაჭრას ჩვენი საერთო მოკავშირის — იუგოსლავიის ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილების საფუძველზე.

არ შეიძლება შევამციროთ იტალიასთან ხელშეკრულების **ეკონომიურ საკითხთა** მნიშვნელობაც. მით უმეტეს, რომ სხვა ასპავო ხელშეკრულებებში ისმება ეკონომიური ხასიათის ანალოგიური საკითხები. სასპავო ხელშეკრულებათა მომზადების პროცესში გამოვლინდა ტენდენცია, რომელიც საომით დასუსტებული ქვეყნებისათვის, რამდენადაც ინგლისამერიკის კაპიტალი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ თავის გავლენას დაუმორჩილოს დიდ და მცირე სახელმწიფოთა ეკონომიკა, ხოლო ამ ქვეყნებისათვის გაწეული ეგრეთწოდებული ეკონომიური დახმარება ამ მიზნების განხორციელების იარაღად გადააქციოს. გამომჟღავნდა იმის სურვილი, რომ ხელშეკრულებებში შეტანილი ყოფილიყო მრავალი ეკონომიური, ფინანსური და სხვა მუხლი, რომლებიც ძლიერ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ იმისათვის, რომ თავიანთი ნება თავს მოახვიონ ეკონომიურად სუსტ სახელმწიფოებს, რომლებიც ამასთან ომის შემდეგ წელში არ გამართულან. ჩვეულებრივ ასეთ წინადადებათა დასასაბუთებლად მოჰყავთ მოსაზრება, რომ სასარგებლოა სავაჭრო და სხვა შეზღუდვათა გაუქმება. აგრეთვე მოსაზრებანი უცხოეთის კაპიტალისათვის მოქმედების თავისუფლების მინიჭების შესახებ და სხვ. მეორე მხრივ, საბჭოთა დელეგაციას არ შეეძლო უგულებელეყო ყოფილ სატელიტ სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესები, რომლებიც ახლა დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიური აღორძინების გზას დაადგნენ, — რამდენადაც საბჭოთა კავშირი მხარს ვერ დაუჭერს რომელიმე სახელმწიფოს მისწრაფებას სხვა ქვეყნების ეკონომიური დამონებისადმი, თუნდაც ეს ქვეყნები ომის პირველ წლებში მტრის მხარეზეც ყოფილიყვნენ. მართლაც, შეუძლებელია იტალია ან რომელიმე სხვა მსგავსი სახელმწიფო მივიჩნიოთ რაღაც კოლონიად, სადაც მაოკუპირებელი სახელმწიფოები ითარეშებდნენ თავიანთი მიხედულებით, ანგარიშს არ გაუწევდნენ ამ სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს.

დიდი ყურადღება დაეთმო შეერთებული შტატების, ინგლისის, სსრ კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან იტალიაში **„სახელშეკრულებო კომისიის“** შექმნის საკითხს. ამერიკის პროექტის მიხედვით, „სახელშეკრულებო კომისია“ 18 თვის მანძილზე ზავის დადების შემდეგ უნდა ასრულებდეს იმეთ ფუნქციებს, რომლებსაც მას დაავალებს სასპავო ხელშეკრულება სხვადასხვა სამხედრო საკითხების, რეპარაციების, რესტიტუციების, სამხედრო დამნაშავეების და სხვათა მიმართ. ამასთან მოითხოვდნენ, რომ კომისიას ჰქონოდა როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო რწმუნებანი, ესე-იგი ჰქონოდა განსაკუთრებით ფართო უფლებანი უცხო დემოკრატიული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მისი მეტისმეტად ფართო რწმუნებანი საწინააღმდეგო იქნებოდა იტალიის სახელმწიფო სუვერენიტეტისა, რომელსაც (იტალიას) სასპავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გზა უნდა მისცემოდა გაერთიანებული ერების რიგებში შესასვლელად. საბჭოთა დე-

ლეგაცია სთვლიდა, რომ როგორც აღმასრულებელ, ისე სასამართლო რწმუნებათა მქონე კომისიის შექმნა იქნებოდა იტალიისათვის რაღაც კაპიტულაციის რეჟიმის მსგავსი, რაც სრულებით არ შეესაბამება იტალიის სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს. ჩვენ აგრეთვე აღვნიშნავდით, რომ ასეთი კომისიის შექმნა ეწინააღმდეგება წინადადებას დროებითი ზავის იმ პირობების შემსუბუქების შესახებ, რომლებიც ხელმოწერილ იქნა პარიზში. შეთანხმების მიღწევა ამ საკითხშიც ვერ მოხერხდა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ შემდგომი დაფიქრება დაარწმუნებს ამ წინადადების ავტორებს, რომ მიზანშეუწონელია „სახელშეკრულებო კომისიის“ შექმნის დაჟინებით მოთხოვნა.

როგორც ცნობილია, საფრანგეთის დელეგაციის ინიციატივით თათბირზე განხილულ იქნა აგრეთვე **გერმანიის საკითხი.** საფრანგეთი კვლავ მოითხოვდა გერმანიისაგან რურის, რაინის და საარის ოლქების ჩამოშორებას, მაგრამ პარიზის სესიაზე ამ საკითხის განხილვა ფართოდ არ გაშლილა. მეორე მხრივ, ამერიკის დელეგაციამ წამოაყენა წინადადება, რომ განხილული ყოფილიყო პროექტი შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულებისა და გერმანიის 25 წლის ვადით განიარაღების და დემილიტარიზაციის შესახებ სენატორ ვანდენბერგის ცნობილ წინადადებათა საფუძველზე. ამასთან ბ-ნმა ბირნამა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, მოსკოვში ყოფნის დროს, იგი შეეკითხა სტალინს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება ასეთი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობისადმი და მისგან ამის შესახებ პრინციპული თანხმობა მიიღო. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი ბირნსი აქ ერთგვარ არასიზუსტეს იჩენს, ვინაიდან დეკემბერში ბ-ნ ბირნსს ჯერ კიდევ არ ჰქონია ასეთი ხელშეკრულების პროექტი და, მაშასადამე, არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა სტალინის „თანხმობას“ არარსებულ ხელშეკრულებაზე, და მაშინ საქმე ამოიწურა თვალსაზრისთა მხოლოდ მოკლე გაცვლა-გამოცვლით **ურთიერთდახმარების** ხელშეკრულების იდეის შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ განახლდება **გერმანიის ან იაპონიის აგრესია.** ბ-ნ ბირნსის მიერ უფრო გვიან წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი გამორიცხავს გერმანიისა და იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების საკითხს. მასში ლაპარაკია მხოლოდ განიარაღების შესახებ და რატომღაც არაფერია ნათქვამი გერმანიის მიმართ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოკავშირეებმა თეირანსა, იალტასა და ბერლინში მიიღეს, და მას შეუძლია შეასუსტოს გერმანიის აგრესიის აღორძინების დაუშვებლობისაკენ მიმართული სამოკავშირეთაშორისო კონტროლი, მაშინ როდესაც ასეთი კონტროლის შესუსტება, რა თქმა უნდა, სრულიად შეუწყნარებელია. საბჭოთა დელეგაციამ აზრი გამოსთქვა, რომ ხელშეკრულების პროექტი წინასწარ იქნას შესწავლილი სათანადო მთავრობების მიერ და ნაჩქარევად არ იქნას მიღებული გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების შესახებ. მით უმეტეს, რომ ბ-ნმა ბირნსმა განმარტა, რომ ამ ხელშეკრულებას ძალა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელმოწერილ იქნება საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, ხოლო გერმანიაში, როგორც ცნობილია, ჯერ ჩანასახიც კი არ არის მთავრობისა, რომელთანაც შეიძლებოდეს საზავო ხელშეკრულების დადება. აი რატომ იყო, რომ საბჭოთა დელეგაციამ სხვა წინადადება წამოაყენა. მან აღნიშნა, რომ ვიდრე დაიწყებოდეს ლაპარაკი ახალ ხელშეკ-

რულებაზე გერმანიის განიარაღებისა და დემილიტარიზაციის შესახებ, საჭიროა შემოწმებულ იქნას, თუ როგორ შესრულდა მოკავშირეთა უწინდელი გადაწყვეტილებანი გერმანიის განიარაღების ჩატარებაზე. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ეს წინადადება იქნა მიღებული. და ახლა საკონტროლო საბჭო გერმანიაში განიხილავს ისეთი კომისიის შექმნის პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომელიც გერმანიის ოკუპაციის ყველა ზონაში შეამოწმებდა, თუ სინამდვილეში სახელდობრ როგორ ჩატარდა გერმანიის შეიარაღებული ძალების განიარაღება გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ განვლილი წლის მანძილზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შემოწმება ხელს შეუწყობა გერმანიის კაპიტულაციის პირობების ზუსტად შესრულებას და შემდგომ ღონისძიებათა შემუშავებას ევროპაში უშიშროების უზრუნველსაყოფად.

პარიზის თათბირი ის-ის იყო უნდა დახურულიყო, რომ ბ-ნმა ბირნსმა შეიტანა კიდევ ერთი პროექტი, — ამჯერად შეტანილ იქნა პროექტი მიმდინარე წლის დეკემბერში მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევის შესახებ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების განსახილველად. ეს წინადადება მით უმეტეს მოულოდნელი იყო, რომ მანამდე არც ბ-ნ ბირნსს და არც სხვა ვინმეს არ შეუტანია არავითარი წინადადება ასეთი საზავო ხელშეკრულების საკითხზე, თუ აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს გერმანიის რაიმე მთავრობა, რომელთანაც შეიძლებოდეს საზავო ხელშეკრულების დადება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ი. ბ. სტალინმა ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში ბერლინის კონფერენციაზე შეიტანა წინადადება რაიმე ცენტრალური საერთო-გერმანული ადმინისტრაციის შექმნის შესახებ. ბერლინის კონფერენციაც სხვა მონაწილეებმა მაშინ აზრი გამოსთქვეს ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგ. მას შემდეგ ეს საკითხი არავის დაუყენებია. ასეთი ვითარების დროს ბუნებრივია, რომ ბ-ნ ბირნსის წინადადება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების განსახილველად კონფერენციის მოწვევის შესახებ არ შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო პარიზის თათბირზე. ეს საკითხიც, რასაკვირველია, არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნას ნაჩქარევად.

რას მოწმობენ პარიზის **თათბირის შედეგები?**

თათბირის შედეგები გვიჩვენებენ, რომ პირველი ხუთი საზავო ხელშეკრულების პროექტთა განხილვისას თავი იჩინა ერთგვარმა უთანხმოებამ მთავრობებს შორის, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ამ ხელშეკრულებათა მომზადებისათვის. ამასთან ცხადი გახდა, რომ რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტებში, სადაც მთავარი პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირს აკისრია, დარჩა აზრთა მხოლოდ ერთგვარი სხვადასხვაობა, რომელიც არ უნდა გავაზვიადოთ, ხოლო იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტში, სადაც მთავარი პასუხისმგებლობა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს აკისრიათ, დარჩა მთელი რიგი დიდი მნიშვნელობის შეუთანხმებელი საკითხები. ამ შემთხვევაშიც საბჭოთა კავშირმა მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა საერთო შეთანხმების მისაღწევად. შესაძლოა, რომ ეს, ბოლოს და ბოლოს, გააადვილებს ასეთი შეთანხმების მიღწევას ამ პროექტზეც.

პარიზის თათბირმა დაგვანახვა, რომ არის სრულიად არასასურველი ტენდენციებიც საზავო ხელშეკრულებათა მომზადების დროს. გამოირკვა, რომ ამერიკის ზოგიერთ წრეში გამოცხადებული ეგრეთწოდებული „შეტევა მშვიდობისათვის“ ზოგჯერ გამოიხატება სურვილით თავს მოახვიონ ორი მთავრობის ნება მესამე სახელმწიფოს მთავრობას. ასე მოხდა, მაგალითად, ყოფი-

'ლი იტალიის კოლონიების ბედის საკითხის გადაჭრისას, რომელშიც საბჭოთა 'კავშირმა სავსებით უარი სთქვა თავის პრეტენზიებზე, და მაინც ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციებმა, რომლებიც ბლოკით შეეკრნენ ერთმანეთს, შესაძლებლობა არ მოგვცეს მივეღო შეთანხმებული გადაწყვეტილება. იტალიისაგან რეპერაციების მიღების საკითხში კვლავ შევხვდით ინგლის-ამერიკის ბლოკს, რომელიც აქაც ეწეოდა არა „შეტევას მშვიდობისათვის", არამედ შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკისა და ბრიტანეთის დელეგაციებმა, 'რომლებმაც ბლოკი შეჰკრეს სურვილით თავს მოეხვიათ საბჭოთა კავშირისათვის თავიანთი ნება, არ მოისურვეს ანგარიში გაეწიათ საბჭოთა კავშირის უალრესად კანონიერი სურვილებისათვის და ჩაშალეს შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა რეპარაციის საკითხშიც.

პარიზის თათბირმა ამასთან ერთად გვიჩვენა, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ცდა, თავს მოეხვია თავისი ნება სხვა სახელმწიფოსათვის, ბუნებრივ წინააღმდეგობას იწვევდა. არც ერთი მოკავშირე სახელმწიფო, რომელიც პატივსა სცემს თავის თავს, რა თქმა უნდა, არ დაუშვებს, რომ მას თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა სახელმწიფომ. სწორედ ასეთ სახელმწიფოებს ეკუთვნის საბჭოთა კავშირი, რომელმაც, მეორე მხრივ, საკმაოდ ცხადჰყო თავისი მისწრაფება სხვა ქვეყნებთან შეთანხმებული მოქმედებისადმი როგორც ომის დროს—მოკავშირეთა გამარჯვების ინტერესებისათვის, ისე ომის შემდეგ — ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ძნელია ზღვარის გავლება უშიშროებისადმი მისწრაფებასა და ექსპანსიისადმი მისწრაფებას შორის. მართლაც, ზოგჯერ ეს მეტად ძნელია. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების რა ინტერესებით არის ნაკარნახევი სამხედრო ბაზების მოთხოვნა კუნძულ ისლანდიაზე? ცხადია, რომ საქმე აქ სრულიადაც არ ეხება შეერთებული შტატების უშიშროების უზრუნველყოფას, არამედ სულ სხვაგვარ მისწრაფებებს. მსოფლიო პრესა სავსეა ცნობებით იმის შესახებ, რომ ზოგიერთი წრეები შეერთებულ შტატებში, რომლებიც ბლოკს ჰქმნიან თავიანთ მეგობრებთან დიდ ბრიტანეთში, ცდილობენ შეჰქმნან სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საავიაციო ბაზები დედამიწის ყველა ნაწილში—წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების კუნძულებზე, დასავლეთი და აღმოსავლეთი ნახევარ'სფეროების სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. ზოგიერთ ქვეყანაში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ბატონობის ჰქადაგებლებმა ტყუილად როდი მოიპოვეს ახლა დიდი გავლენა, არ ერიდებიან სენატორისა და დეპუტატის ოფიციალურ მდგომარეობას და გაჰკივიან თავიანთ ექსპანსიონისტურ გეგმებზე, აქეზებენ ახალი აგრესიული ომებისათვის და ქარაფშუტულად არ უწევენ ანგარიშს იმპერიალისტური გერმანიის და მისი მსოფლიო ბატონობის გეგმების უსახელო კრახის გაკვეთილებს. მომავალი ახლა ამ ვაჟბატონთა მხარეზე კი არა, არამედ იმ ხალხთა მხარეზეა, რომლებიც, როგორც საბჭოთა კავშირი, ესწრაფვიან მტკიცე მშვიდობას და თავიანთი უშიშროების ინტერესებს უკავშირებენ სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთა უშიშროების ინტერესებს. ზოგიერთი ძლიერი სახელმწიფოს მისწრაფება თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა ხალხებს შემდგომშიც იქნება, მაგრამ საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორც წინათ, ისე მომავალშიც. ეს ცდა განწირულია ჩა-

საფუძვლად. მხოლოდ მისწრაფება მეგობრული თანამშრომლობისადმი, სადაც არ არის სხვა სახელმწიფოსათვის ერთი სახელმწიფოს ან ორი სხვა სახელმწიფოს ნების თავს მოხვევა, შეიძლება გახდეს საბჭოთა სახელმწიფოს და სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარების საიმედო საფუძველი. შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ იმაში, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის ეს პრინციპები სულ უფრო მეტ აღიარებას ჰპოებენ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

როგორც ცნობილია, ომის დროს გამომუშავდა მოკავშირეთა შორის შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღების გარკვეული წესი. თეირანის, იალტისა და ბერლინის კონფერენციებზე, ისე როგორც მოსკოვის 1943 წლის კონფერენციაზე, მიღებულ იქნა შეთანხმებული ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს გადაწყვეტილებანი მიღებული იყვნენ არა ერთი მთავრობის ნების მეორე მთავრობისათვის თავს მოხვევის წესით, არამედ მეგობრული თანხმობისა და ურთიერთგაგების წესით. თანამშრომლობის ამ მეთოდმა დადებითი შედეგები მოგვცა. ახლა ზოგიერთ წრეში არსებობს მისწრაფება დაარღვიონ ეს წესი. მიმართავენ სულ ახალ-ახალ ცდას—იმოქმედონ მუშაობის ამ მეთოდის საწინააღმდეგოდ, რომელმაც გაამართლა თავისი თავი. პარიზის კონფერენციაზე შემოტანილი იყო წინადადება არ ველოდოთ იმ მთავრობათა შორის საზავო ხელშეკრულებათა პროექტების შეთანხმებას, რომლებმაც ამ პროექტების მომზადება იკისრეს. წინადადება იყო შემოტანილი შეუთანხმებელი პროექტები პირდაპირ გადასცემოდა განსახილველად 21 სახელმწიფოს წარმომადგენელთა საზავო კონფერენციას და იქ გაჩაღებულიყო დავა და ბრძოლა. საბჭოთა დელეგაციამ უარჰყო ეს ცდები, რომლებიც არღვევდნენ მოკავშირეთა ერთობლივი მუშაობის დამკვიდრებულ პრინციპებს. პარიზის კონფერენციის შემდეგ ბ-ნმა ბირნსმა წამოაყენა ახალი გეგმა, რომელიც უფრო შორს მიდის. წამოყენებულია წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განსახილველად გადაეცეს საზავო ხელშეკრულებათა პროექტები, რომლებზეც მიღწეულ არ იქნება შეთანხმება, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციას დამოკიდებულება არა აქვს საზავო ხელშეკრულებათა საკითხებთან. ეს არის კიდევ ერთი ცდა—დაარღვიონ უკანასკნელ წლებში დამყარებული შეთანხმებული მუშაობის წესრიგი და გამოიყენონ ზეგავლენის, მუქარისა და დაშინების მეთოდები. ამ დაშინების უსაფუძვლობა საბჭოთა კავშირის მიმართ ცხადია და უკვე ბევრჯერ იყო დამტკიცებული. მაგრამ აეთი ცდები მოწმობენ უცხოეთის ზოგიერთი წრის ძლიერ მისწრაფებას დაარღვიონ უკანასკნელ წლებში დამყარებული პრინციპები საბჭოთა კავშირსა და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ერთობლივი მუშაობისა და შეეცადონ სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მიმართ გამოიყენონ მეთოდები, რომლებიც უცხოა სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობისათვის. ცდები, ასეთ საქმეებში ჩაითრიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ყველასათვის უკვე ცნობილია. ასეთი რამეები შეიძლება გაკეთდეს, თუ ანგარიშს არ გაუწევენ რისკს სახელი გაუტეხონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს და გაეტაცებიან საერთაშორისო ორგანიზაციაში ხმების ახალ-ახალი კომბინაციების გამოყენებით. ამისი მაგალითები ჩვენ ამჟამად გვაქვს, და არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უშიშროების საბჭოს პრესტიჟი უკვე ჩავარდა სერიოზულ განსაცდელში.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პირველ საზავო ხელშეკრულებათა მომზადება უკვე წააწყდა ბევრ სიძნელეებს. ეს სიძნელეები შემთხვევითი რამდია. უცხოეთის ზოგიერთ წრეებში არსებობს მისწრაფება ხელი ააღებინონ საბჭოთა კავშირს მის მიერ სამართლიანად დაკავებულ საპატრო ადგილზე საერთაშორისო საქმეებში და ზიანი მიაყენონ სსრ კავშირის საერთაშორისო პრესტიჟს. მაგრამ ასე მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ ბეც, რეაქციულ წრეებს, რომლებიც განწირული არიან, რომ დამარცხდებიან. მათ ვერ შეუგნიათ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს, რომელმაც გადაიტანა ფაშიზმის ტირანიისაგან კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლის მთავარი სიმძიმე, ახლა სამართლიანად უკავია ისეთი მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობაში, რომელიც შეეფერება დიდი და პატარა ქვეყნების თანასწორუფლებიანობის ინტერესებს მშვიდობისა და უშიშროებისადმი მათს მისწრაფებაში. იცავს რა საბჭოთა კავშირის კანონიერ ინტერესებს და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან მეგობრული თანამშრომლობის პრინციპებს და ეწინააღმდეგება რა იმპერიალისტურ რეაქციულ ცდებს, საიდანაც უნდა გამომდინარეობდნენ ეს ცდები,—საბჭოთა კავშირი საესებით დარწმუნებულია თავისი პოლიტიკის სისწორეში, რაც მიმართულია მშვიდობის საქმისა და კაცობრიობის პროგრესის დაცვისაკენ.

მეოთხე სჯაღინური ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის დარგში და ჩვენი ამოცანები

ერთი წლის წინათ ჩვენმა ქვეყანამ ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო რამოდენიმე თვის შემდეგ ჩვენმა გმირმა წითელმა არმიამ, მოკავშირე სახელმწიფოების არმიებთან ერთად, გაანადგურა იაპონიის იმპერიალიზმი აღმოსავლეთში.

საბჭოთა კავშირის ხალხები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ომის მსვლელობის მთელ პერიოდში თავდადებულად იბრძოდნენ მტრის განადგურებისათვის. საბჭოთა ხალხმა თავის დაუღალავი შრომითა და თავდადებული ბრძოლით დაამტკიცა ერთგულება და სიყვარული საბჭოთა ხელისუფლებისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა ხალხების გამარჯვება ჰიტლერულ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებას, საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების გამარჯვებას, საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებას დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მეორე მსოფლიო ომმა სერიოზული ჭრილობები მიაყენა ჩვენს ქვეყანას, მნიშვნელოვნად დააზიანა საბჭოთა უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, კარელია-ფინეთის სამრეწველო ობიექტები, პოლის მეურნეობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგები.

მაგრამ ომი ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი გამარჯვებით დაგვირგვინდა. დადგა მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. ამჟამად საბჭოთა ხალხების უპირველესი ამოცანაა ომით მიყენებული ჭრილობების სწრაფად მოშუშება და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა.

მიმდინარე წლის 18 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონი ომისშემდგომი პერიოდის უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის დოკუმენტია. კანონში ნათქვამია: „სსრ კავშირი კვლავ შევიდა მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, რომელიც შეწყვეტილი იყო ჰიტლერული გერმანიის თავდასხმით.

საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ სამამულო ომის მსვლელობაში წარმატებით დაიწყო დანგრეული მეურნეობის აღდგენა იმ რაიონებში, რომლებშაც ოკუპაცია განიცადეს.

ომისშემდგომ პერიოდში ივი განაგრძობს სახალხო მეურნეობის აღდგენას და შემდგომ განვითარებას სახელმწიფო პერსპექტიული გეგმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ და წარმართავენ სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებას.

1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები ის არის, რომ აღდგენილ იქნას ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღდგენილ იქნას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ეს დონე გადაჭარბებულ იქნას მნიშვნელოვანი ოდენობით".

ასეთია, მოკლედ, 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონით მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1950 წლისათვის განსაზღვრულია 205 მილიარდი მანეთის რაოდენობით (1926/27 წლების ფასებში), ანუ 66,5 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1940 წელს.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1950 წელს 48 პროცენტით გადააჭარბებს 1940 წლის დონეს. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდებას 27 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

ეს ციფრები თავისთავად ლაპარაკობენ იმ დიდ სამრეწველო და სამეურნეო აღმავლობაზე, რომელიც გათვალისწინებულია მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონით.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის კანონში ნათქვამია: „უზრუნველყოფილ იქნას პირველ რიგში მძიმე მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა და განვითარება, ურომლისოდაც შეუძლებელია სსრ კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი და წარმატებითი აღდგენა და განვითარება".

ხუთწლიანი გეგმის კანონის ამ მუხლის შესაბამისად, 1946-1950 წლების განმავლობაში უნდა აიგოს და მწყობრში ჩადგეს მთელი რიგი ახალი დიდი სამრეწველო საწარმოები და აშენდეს ათასეული კილომეტრი ახალი რკინიგზები.

1946-1950 წლების განმავლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა საქართველოს სს რესპუბლიკაში 4 მილიარდ 120 მილიონი მანეთით განისაზღვრება. კანონი ითვალისწინებს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დამთავრებას, 3,2 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტების აშენებას და ამოქმედებას, ქვანახშირის 22 ახალი უბნის მომზადებას 6,8 მილიონი ტონის სიმძლავრით, ნავთის სამრეწველო მარაგის გადიდებას 340 ჰაბურღილწერტით, ახალი ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნისა და საავტომობილო ქარხნის აგებას, 4 ჰიდროელექტროსადგურის, აგრეთვე 21,5 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის, მცირე ელექტროსადგურების აშენებას და ამოქმედებას, მარგანეცის სამრეწველო მარაგის 30 მილიონი ტონით გადიდებას და სხვ.

მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს დაზგათმშენებლობის ქარხნების აგრეთვე მსუბუქი და საფეიქრო ქარხნების წარმადობა. რესპუბლიკურ დაქვემდებარების მრეწველობის ხაზით ფართოდ უნდა მოეწყოს მცირე ჰიდროტურბინების, ჩაისა და მეღვინეობის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება; აშენდეს ზომა-წონის მოწყობილობის და სიმხურვალის გამძლე ჭურჭლის ქარხანა; გაფართოვდეს ჩაის გადამმუშავებელ და მეღვინეობის საწარმოთა ქსელი. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქციის საერთო

რაოდენობა 1950 წლისათვის განისაზღვრება 1,1 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის ითვალისწინებს პროდუქციის გამოშვების შემდეგ ოდენობას: თუჯი (ათას ტონობით)—330, ფოლადი (ათას ტონობით)—185, ქვანახშირი (ათას ტონობით)—2.400, ნავთი (ათას ტონობით)—110, ელექტროენერგია (მილიონ კილოვატსაათობით) 1.300, მარგანეცის მადანი (ათას ტონობით)—2.040, კოქსი (ათას ტონობით)—450, ავტომობილები (ათას ცალობით)—15, შალის ქსოვილი (ათას მეტრობით) — 3.795, ჩაის პირველადი დამუშავება (ტონობით)—17.900.

ასეთია მრეწველობის ძირითადი სახეების პროდუქციის მაჩვენებლები 1950 წლისათვის.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს სთქვა: „ხუთწლიანი გეგმის კანონის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა საქართველოს ეხება, ყურადღებას იპყრობს ნუსხა ნატურალური პროდუქციის ძირითადი სახეებისა 1950 წლისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურაში პირველად ჩნდება შავი ლითონები—თუჯი, ფოლადი, ჩნდება კოქსი, ჩნდება ავტომობილები“, და მოიყვანა სათანადო ციფრები 1950 წლისათვის.

„ზემო მოყვანილი ციფრები, — განაგრძობდა ამხანაგი ჩარკვიანი, — ჰოწმობენ, ჯერ ერთი, იმას, რომ მიმდინარე ხუთწლედში განუზომლად იზრდება საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის ნატურალური პროდუქციის ყველა ძირითადი სახე; მეორე, და რაც მთავარია, ეს ციფრები მოწმობენ ჩვენი მრეწველობის ხარისხობრივ ზრდას, მრეწველობისა რომლის დამახასიათებელ თავისებურებად ხდება ის, რომ სჭარბობს შავი მეტალურგია და მანქანათმშენებლობა“.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა ამჟამად გაშლილია მთელი სისრულით. როგორც ცნობილია ამ ქარხნის მშენებლობა დაიწყო 1940 წელს, მაგრამ გერმანელ ავაზაკთა თავდასხმის გამო იგი დროებით შეწყდა. 1944 წლის პირველ ნახევარში მშენებლობა კვლავ განახლდა და ამჟამად ის სწრაფი ტემპით ვითარდება; მშენებლობას გააჩნია ყველა პირობა იმისათვის, რომ ქარხანა ვადაზე ადრე ამუშავდეს. მშენებლობის მრავალათასიანი კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს და მთელი რიგი ობიექტების აგება მთავრდება. ფართოდ არის გაშლილი საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა. გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება, მშენებელთა კოლექტივი იბრძვის ახალ-ახალი წარმატებებისათვის.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა სრული სიმძლავრით დატვირთვის დროს უზრუნველჰყოფს: 430 ათასი ტონა თუჯის, 500 ათასი ტონა ფოლადის, 450 ათასი ტონა კოქსის და 380 ათას ტონაზე მეტი სხვადასხვა ნაგლინის გამოშვებას წელიწადში.

გაცხოველებული ტემპებით მიმდინარეობს მშენებლობა ქუთაისის საავტომობილო ქარხნისა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი საწარმო იქნება მან-

ქანათმშენებლობის დარგში საქართველოს სს რესპუბლიკაში.

ქარხანა სრული დატვირთვის პირობებში ყოველწლიურად გამოუშვებს 30 ათას ცალ 3,5 ტონიან საბარგო ავტომანქანას.

სამრეწველო ობიექტების მშენებლობასთან ერთად გაშლილია საბინაო მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ მომავალი ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების მნიშვნელოვანი ნაწილი ქარხანას უკვე მიღებული აქვს. ამჟამად, სამრეწველო ობიექტების მშენებლობასთან ერთად, მიმდინარეობს მიღებული აგრეგატების მონტაჟი მშენებლობის დამთავრებულ საამქროებში.

ცნობილია, რომ მრეწველობის განვითარება ენერგეტიკული ბაზის გარეშე შეუძლებელია. იმისათვის, რომ დაწესებულ ვადაზე ამუშავდეს ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი, საავტომობილო ქარხანა, პლასტიკური მასის ქარხანა, გადიდდეს მარგანეცის გამოღება, ლითონმჭრელი დაზგების ქარხნების წარმადობა, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის ქარხნების, აგრეთვე მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების წარმადობა, საჭიროა რესპუბლიკის ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელოვნად გაზრდა. სწორედ ამიტომ რესპუბლიკის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოქცეულია ახალი ჰიდროელექტროსადგურებისა და ქვანახშირის შახტების მშენებლობის საკითხები.

ამჟამად დიდი სამუშაოები ტარდება ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის ნახშირის საბადოებში. ახალი შახტების მშენებლობა იმ ანგარიშით მიმდინარეობს, რომ 1947 წლის დამლევისათვის უზრუნველყოთ დღე-ღამის განმავლობაში 6.500 ტონა ნახშირის გამოღება, ნაცვლად 2.000 ტონისა 1945 წლის დეკემბერში. 1946 და 1947 წლებში უნდა დამთავრდეს ხუთი ახალი შახტის მშენებლობა, რომელთა საერთო წლიური სიმძლავრე იქნება 1.450 ათასი ტონა ქვანახშირი.

ჩვენი მრეწველობის სათბობით და ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ქვანახშირის მრეწველობის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოს ახალი შახტების მშენებლობის გეგმები, უზრუნველჰყოს ქვანახშირის სამრეწველო მარაგის გამოვლინება და გადიდება. ამ ამოცანის შესრულება დაძაბულ მუშაობას მოითხოვს, როგორც თვით შახტების, ისე საბინაო მშენებლობის დარგში. საჭიროა შახტების მშენებლობასთან ერთად მეშახტე მუშები უზრუნველვყოთ კეთილმოწყობილი ბინებით.

საქართველოს სსრ ჰიდრო-ელექტრო რესურსებით უმდიდრესი ერთერთი რესპუბლიკაა. ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში მოიპოვება ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი მდინარე, რომელზეც შესაძლებელია მოეწყოს ჰიდროელექტროსადგური. უდავოა, რომ რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი აღორძინება და ზრდა ამ იაფფასიან და ხელმისაწვდომი ენერგიის ხარჯზე უნდა მოხდეს.

ამჟამად საქართველოში სამი ჰიდროელსადგური შენდება. 1947 წლის პირველი ნახევრისათვის ამუშავდება ხრამჰესის პირველი აგრეგატი, ხოლო სადგურის მშენებლობა მთლიანად დამთავრდება და ის საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1948 წელს. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ბორჯომის რაიონში, მტკვრის ხეობაში შენდება ჩითახევჰესი. ახლო მომავალში დაიწყება ტყიბულჰესის აგება.

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით უნდა აიგოს ოთხი ახალი ჰიდროელექტროსადგური 36 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით; გარდა ამისა მიმდინარე ხუთწლედში განზრახულია აგება დიღმის ჰიდროელექტროსადგურისა 30 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრით.

ამრიგად, ახალ სტალინურ ხუთწლედში ხდება საქართველოს მთელი მრეწველობის, განსაკუთრებით კი მისი მძიმე ინდუსტრიის მძლავრი განვითარება, ჩვენი რესპუბლიკა ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ თავისი სოციალისტური განვითარების გზაზე.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შეუსრულებლად საჭიროა მთელი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მობილიზაცია. საჭიროა ყოველ მუშას, ინჟინერსა და ტექნიკოსს ფართოდ გავაცნოთ კანონით გათვალისწინებული გეგმები, დავრაზმოთ ისინი ყოველთვიური, კვარტალური და წლიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. 1946 წლის, როგორც ახალი ხუთწლედის პირველი წლის, გეგმების შესრულება უზრუნველჰყოფს შემდგომი წლების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საჭირო წინაპირობების მომზადებას.

„პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა,—ნათქვამია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაში,—გააჩაღონ ბრძოლა თვითეული რესპუბლიკის და ოლქის, სახალხო მეურნეობის თვითეული დარგის მიერ, ყველა ქარხნის, ფაბრიკის, ახალი მშენებლობის, შახტის, მაღაროს, რკინიგზის მიერ 1946 წლის გეგმების, კვარტალური და თვიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

ამისათვის საჭიროა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ყოველ ქარხანაში, ფაბრიკაში, მშენებლობაზე, დანერგონ შრომის სოციალისტური მეთოდები, გააჩაღონ სტახანოვური მოძრაობა და იბრძოლონ ყოველდღიური გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ამოცანაა ფართოდ ჩაებან ხუთწლიანი გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობა, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადების შექმნას. მშენებლობის პროცესში მყოფი ქარხნები და ფაბრიკები მოითხოვენ ათეულ ათასობით კვალიფიციურ მუშას, ტექნიკოსს და ინჟინერს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ერთერთი საპატიო ამოცანაა ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობათა მუშა-ხელით უზრუნველყოფა, რისთვისაც პარტიულმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა გაშალონ ფართო საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა მოსახლეობაში.

ყოველი კომუნისტისა და კომკავშირელის ვალდებულებაა სათავეში ჩაუდგეს ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას, იყოს მოწინავე და მაგალითის მაჩვენებელი შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვისა და ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში. თვითეული კომუნისტი ვალდებულია სისტემატურად განუმარტავდეს მშრომელთ ხუთწლიანი გეგმის ძი-

რითად საკითხებს, რაზმავდეს მათ მორიგი პოლიტიკური და სამეურნეო-ამოცანების შესასრულებლად.

ჩვენს რესპუბლიკას ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ დასახული გეგმები გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ.

საქართველოს ბოლშევიკები, აღზრდილნი სახელოვანი სტალინელის, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულდეს. ამის საწინდარია ჩვენი ხალხის ურყევი ერთიანობა და დარაზმულობა თავის გენიალური ბელადის და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო.

ვ. გრიგოლიანი

ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან

მთელ თავის მუშაობაში ჩვენი პრესა განუხრელად იცავს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის სახელოვან ტრადიციებს, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ლენინმა და სტალინმა ჩვენი პარტიის შექმნის დასაწყისში.

სტატიაში „რით დავიწყოთ?“, რომელიც ლენინმა 1901 წლის მაისში დასწერა, კლასიკურად არის განსაზღვრული გაზეთის, როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის ამოცანები.

ცნობილია, რა გამძაფრებით დაესხნენ თავს „ეკონომისტები“ ლენინის თეზისს პრესის ორგანიზატორული ფუნქციების, საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის შექმნის შესახებ, გაზეთისა, რომელიც მოწოდებული იქნებოდა განეერთიანებინა და განემტკიცებინა რევოლუციური ორგანიზაცია.

ამ თავდასხმებში გაზეთის ამოცანების ლენინისეულ ფორმულირებაზე, თავი იჩინა „ეკონომისტების“ მიერ მუშათა ერთიანი პოლიტიკური პარტიის საჭიროების უარყოფამ, მათმა მისწრაფებამ—შეენარჩუნებინათ ცალკეული წრეებისა და წრეების დაქუცმაცებულობა და კუსტარულობა.

ლენინი სთვლიდა, რომ „საქმიანობის გამოსავალი პუნქტი, საჭურველი ორგანიზაციის შექმნისაკენ გადადგმული პირველი პრაქტიკული ნაბიჯი, ბოლოს, ძირითადი ძაფი, რომელზეც ხელჩაკიდებულნი ჩვენ შეგძლებდით ამ ორგანიზაციის განუხრელად განვითარებას, გაღრმავებას და გაფართოებას,—უნდა იყოს საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის მოწყობა“ (თხზ., ტ. IV, გვ. 110).

თავისი აღმოცენების პირველი დღეებიდანვე ბოლშევიკური პრესა განუხრელად ცდილობს გააფართოვოს და განამტკიცოს თავისი კავშირი მასებთან და იყოს ერთ-ერთი მამოძრავებელი ღვედი, რომელიც პარტიას მასებთან აკავშირებს.

ამხანაგმა სტალინმა 1925 წელს, თავის მოხსენებაში მოსკოვის პარტიული ორგანიზაციისადმი გადაჭრით დაჰგმო გაზეთის, როგორც კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და მასების ორგანიზატორის როლის შეუფასებლობა.

„ამასწინათ,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა,—ერთ-ერთი თემუჯრედის მდივანმა საგუბერნიო კომიტეტის წარმომადგენლის შეკითხვაზე, რატომ არ არის თემში გაზეთებიო, თურმე, უპასუხა: „რათ გვინდა ჩვენ გაზეთი? უგაზეთებოდ უფრო მშვიდად და უკეთესად ვართ, თორემ წაიკითხავენ გლეხები და დაიწყება ათასგვარი გამოკითხვა და შემდეგ იმათ დავიდარაბას თავს ვეღარ გაართმევ“. და ამ მდივანს ეწოდება კომუნისტი! ზედმეტია მტკიცება, რომ ეს კომუნისტი კი არა, არამედ უბედურებაა. საქმე ის არის, ამხანაგებო, რომ ახლა ხელმძღვანელობა უდავიდარაბოდ არაფრით არ შეიძლე-

ბა, ხოლო უგაზეთოდ—მით უმეტეს". („ლენინიზმის საკითხები", მე-9 გამოცემა, გვ. 130).

პრესის ორგანიზატორული როლი ჩვენი პარტიის ისტორიის მთელ მანძილზე უდიდესი იყო და არის.

ბოლშევიკური პრესის გარშემო იქმნება ფართო აქტივი, იზრდება კორესპონდენტთა მრავალრიცხოვანი კადრები. ლენინი სთვლიდა, რომ პარტიული ორგანო „ცოცხალი და ცხოველმყოფელი იქნება მაშინ, როდესაც ხუთიოდე ხელმძღვანელ ლიტერატორზე, რომლებიც ყოველთვის წერენ, მოდის ხუთასი და ხუთიათასი არა ლიტერატორი მუშაკი". (თხზ., ტ. VI, გვ. 374).

ამხანაგმა სტალინმა გაზეთ „ბრძოლის" პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელი ჯგუფის სახელით რწმენა გამოსთქვა, რომ „ყოველი შეგნებული მკითხველი სიამოვნებით მიეგებება ამგვარ გამოცემას და თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს..."

შემდეგ ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ გაზეთის სათანადოდ დასაყენებლად „საჭიროა თვით მკითხველების და თანამგრძნობელების დახმარება".

სტატია თავდება ყველა მებრძოლი ქართველი სოციალ-დემოკრატისადმი მოწოდებით—„მიიღონ მხურვალე მონაწილეობა „ბრძოლის" ბედიღბალში, აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება მის გამოცემა-გავრცელებაში და ამით პირველი თავისუფალი ქართული გაზეთი „ბრძოლა" გახადონ რევოლუციონური ბრძოლის იარაღათ".

აფასებდა რა „ბრძოლის" პირველ ნომერს, ამხანაგი სტალინი ხაზს უსვამდა გაზეთის საშინაო ქრონიკის სისუსტეს. ეს საკითხი ამხანაგმა სტალინმა დაუკავშირა თვით მკითხველის მხრივ დახმარებას, კორესპონდენციების ბლომად შემოსვლას.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა გაზეთებმა შესძლეს მუშა კორესპონდენტთა ფართო აქტივის აღზრდა და შემოკრება. არალეგალურ გაზეთში „პროლეტარიატის ბრძოლა" იყო სპეციალური განყოფილება—„კორესპონდენციები". გაზეთის მეორე, 1905 წლის 15 (28) ივლისის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენციები შორაპნიდან, ჭიათურიდან, ბაქოდან, ამხაბადიდან, ტაშკენტიდან.

პრესის გავლენა მასებზე სულ უფრო და უფრო მატულობდა. ასე, მაგალითად, მუშებში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა გაზეთი „გუდოკი", რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა. ამ გაზეთმა, რომელიც ბაქოში გამოდიოდა 1907 წელს, დიდი როლი შეასრულა რევოლუციურ მოძრაობაში.

1908 წელს, ამხანაგ სტალინის ინიციატივით დაარსებულ „ბაკინსკი რაბოჩის" გამოსვლის განახლებასთან დაკავშირებით, გაზეთის რედაქციამ მუშებს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

„„ბაკინსკი რაბოჩი" იქნება **თქვენი** გაზეთი, როგორც თქვენი გაზეთი იყო წინანდელი „გუდოკი", და ამიტომ რაც უფრო მეტი ინტერესით მოეკიდებით თქვენ მას, რაც უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ მასში, მით უფრო სრულყოფილად ასახავს ის თქვენს საჭიროებებსა და სურვილებს... არ დაივიწყოთ ეს და ეცადეთ, რომ **თქვენმა** გაზეთმა მოგიტანოთ **მთელი** ის სარგებლობა, რომლის მოტანაც მას შეუძლია".

კიდევ უფრო მეტი ძალით გაუსვა ხაზი თავის განუყრელ კავშირს პროლეტარულ მასებთან ბაქოს ბოლშევიკურმა ჟურნალმა „ვოლნამ“, რომელიც „ბაკინსკი რაბოჩის“ აკრძალვის შემდეგ გამოდიოდა.

„ჩვენ შენთან მოვდივართ,—სწერდა რედაქცია,—გერო აწმყოსავ, ბატონ-პატრონო საკუთარი მომავლისა, შენი ჭირი—ჩვენი ჭირი იქნება, შენი ლხინი კი—ჩვენი ლხინი. შენი განვითარება, შენი ინტერესები, შენი გამარჯვებანი და დამარცხებანი იმავე დროს ჩვენიც იქნება, და მხოლოდ მარტოოდენ შენი იმედი გვაქვს ჩვენ. ვიმედოვნებთ, რომ მხარს დაგვიჭერ ჩვენ, რომ ჩვენი საქმე შენი საქმე იქნება“.

ეს უბრალო, გულთბილი სიტყვები მკითხველში ნერგავდა იმედს, მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების რწმენას, ისინი გამოხატულება იყო ბოლშევიკური პრესის მჭიდრო, განუყრელი კავშირისა მასებთან.

ბოლშევიკურ პრესას, რომელიც ლენინმა და სტალინმა შეჰქმნეს და რომელსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ, სოციალისტური შეგნება შეჰქონდა მუშათა მოძრაობაში, იგი ზრდიდა და ამზადებდა პარტიის მებრძოლ კადრებს.

ამხანაგი სტალინი, აწყობდა რა ამიერკავკასიის დიდ ცენტრებში ბოლშევიკურ კომიტეტებს, მათთან ჰქმნიდა პროპაგანდისტთა ჯგუფებს, მუშათა აქტივის ჯგუფებს გლეხთა შორის სამუშაოდ. მაგალითად, ასე შომზადდა ჰიათურის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან პროპაგანდისტთა ჯგუფი რევოლუციურ მუშაობაში შემოწმებულ მოწინავე მემაღაროე მუშათაგან.

ჰიათურის ერთ-ერთი მუშა იგონებს არალეგალურ კრებას, რომელსაც იგი დაესწრო:

„... ამხანაგმა სტალინმა დაწვრილებით გვიამბო რევოლუციურ მოძრაობაზე საქართველოსა და კავკასიაში, რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლაზე. შთამაგონებლად ლაპარაკობდა ამხანაგი სტალინი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინზე, ლენინის იდეებზე, გვიხსნიდა ჩვენ, როგორ უნდა გავხდეთ ამ იდეების გამტარებლად მუშათა და გლეხთა ფართო მასებში“.

ბათუმის მუშებმა, რომლებიც რევოლუციური ბრძოლის სტალინური სკოლის ტრადიციებზე აღიზარდნენ, მას შემდეგ, რაც ისინი 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციის მერმე თავიანთ სოფლებში გააძევეს და თავიანთ კიდევ უფრო გაღატაკებულ და გაპარტახებულ სახლ-კარს დაუბრუნეს, ფართო აგიტაცია გააჩაღეს გლეხთა შორის; ისინი გლეხებს უკითხავდნენ ბათუმში არალეგალურად დაბეჭდილ სტალინურ პროკლამაციებს.

თბილისელი მუშა ე. ხუბულური, რომელიც გაფიცვაში მონაწილეობისათვის 1900 წელს რკინიგზის მთავარ სახელოსნოდან დაითხოვეს და სოფელში გააძევეს, აგიტაციას ეწეოდა იქ, თანასოფლელთა შორის, მოუთხრობდა მათ მუშათა მძიმე ცხოვრების შესახებ.

„გლეხები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ,—იგონებს ძველი მუშა.—იმათ იცოდნენ, რომ მათი მდგომარეობა უკეთესი არაა, და მოწიწებით ლაპარაკობდნენ მუშებზე, რომლებიც საბრძოლველად ამხედრდნენ“.

ეს მაგალითები ნათლად გვიჩვენებს ზეპირი და ბეჭდვითი ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის უდიდეს გამარევოლუციურებელ ძალას.

ახალ დაბეჭდილ გაზეთებს, ფურცლებსა და ბროშურებს თავისი პირველი მკითხველები უკვე თვით არალეგალურ სტამბაში ჰყავდა.

არალეგალურად მომუშავე ძველი ბოლშევიკი, მბეჭდავი გ. ლელაშვილი მოგვითხრობს:

„ლიტერატურა, რომელსაც ვბეჭდავდით, პოლიტიკურად გვზრდიდა ჩვენ, გვაიარაღებდა მეწმევიკებთან საბრძოლველად, ეწეოდა პროლეტარული პარტიის შესახებ ლენინისა და სტალინის მოძღვრების პროპაგანდას.

ფურცლის ან ბროშურის ასაწყობად და დასაბეჭდად ჩვენ მეტად მოკლე ვადა გვქონდა. შეუძლებელია დავივიწყოთ, რა მოუთმენლად მოელოდნენ ახალ პარტიულ ლიტერატურას რევოლუციური მუშები!

ასაწყობად გამზადებულ ხელნაწერს, თუ ის დიდი არ იყო, ჩვენ ხშამაღლა ვკითხულობდით, ვიდრე მუშაობას შევუდგებოდით. ეს ჩვენთვის პოლიტიკური სკოლა იყო. თუ ხელნაწერი დიდი იყო, წყობა რომ არ შეგვეფერხებინა და დრო არ დაგვეკარგა, მაშინვე საქმეს შევუდგებოდით და მხოლოდ შემდეგ ვკითხულობდით დაბეჭდილ ბროშურის ეგზემპლარს. ამხანაგ სტალინის ნაშრომი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ ჩვენ ახალამოღებულ ანაბეჭდებში წავიკითხეთ, რადგან ის იყო პირველი წიგნი ქართულ ენაზე, რომელიც მენშევიზმის განმანადგურებელ კრიტიკას შეიცავდა“.

ძველი მუშის ეს წარმტაცი ნაამბობი ყველაზე უფრო სრულად გადმოგვცემს მუშათა მგზნებარე, ღრმა სიყვარულს მათი ღვიძლი ბოლშევიკური პრესისადმი.

* * *

ბოლშევიკური პრესა თავისი ჩასახვიდანვე ლენინისა და სტალინის მიერ აღზრდილია მეგბრძოლი ბოლშევიკური პარტიულობის, სხვადასხვა ანტიმარქსისტული და ოპორტუნისტული მიმართულებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას აკისრებდა ვ. ი. ლენინი არალეგალურ პრესას პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

ქართულ მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაცია „მესამე დასში“ პირველი მწვავე უთანხმოება არალეგალური პრესის საკითხზე წარმოიშვა 1898 წელს. ამხანაგი სტალინი, ალექსანდრე წულუკიძე და ლადო კეცხოველი, რომლებიც ამ ორგანიზაციის რევოლუციურ უმცირესობას ხელმძღვანელობდნენ, აყენებდნენ არალეგალური პრესის შექმნის ამოცანას.

ქართველ „ლეგალურ მარქსისტებთან“ ბრძოლაში, ამჟღავნებდა რა მათი შეხედულებების ოპორტუნისტულ არსს, ამხანაგი სტალინი თანმიმდევრულად იცავდა იმ აზრს, რომ არალეგალურ პრესას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში, თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური აგიტაციისა, მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის ორგანიზაციისა და ნამდვილად პროლეტარული რევოლუციური პარტიის მშენებლობის საქმეში.

1901 წლის შემოდგომაზე ამხანაგმა სტალინმა და მისმა უახლოესმა მეგობარმა და თანამოსაგრემ ლადო კეცხოველმა შესძლეს გამოეცათ „ბრძოლა“—ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი რევოლუციური გაზეთი

ამიერკავკასიაში. არალეგალური „ბრძოლის“ გამოსვლა თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დიდი იდეურ-პოლიტიკური გამარჯვება იყო.

მოწინავე სტატიაში—„რედაქციისაგან“, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასწერა, აღნიშნული იყო, რომ „ქართული თავისუფალი პერიოდული გამოცემა აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სოციალდემოკრატიული მოძრაობისათვის“.

ეს სიტყვები ახალი ძალით უსვამდნენ ხაზს პრესის როლსა და მნიშვნელობას მუშათა კლასის ბრძოლაში, რევოლუციური მარქსისტული პარტიის ბრძოლაში.

„ბრძოლის“ პირველი ნომრის სარედაქციო სტატია იძლევა გაზეთის კლასობრივი მიმართულებისა და პარტიულობის, მისი როგორც კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და ორგანიზატორის როლის კლასიკურად მკაფიო და ნათელ განსაზღვრას.

ამხანაგმა სტალინმა გაზეთის პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში აღნიშნა, რომ „გაზეთი, როგორც სოციალ-დემოკრატების ორგანო, უნდა უდგეს სათავეში მუშების მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს შას თავიდგან ტაქტიკურ შეცდომებს; ერთი სიტყვით გაზეთის უპირველესი მოვალეობაა, რომ იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასასთან. ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მაზედ გავლენა, იყვეს მის შევნებულ და ზელმძღვანელ ცენტრად“.

მოითხოვდა რა გაზეთისაგან მაღალ იდეურობას, ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშების მოძრაობიდან გამოწვეულ ყოველ კითხვაზედ, გაურკვიოს პრინციპიალური კითხვები, აუხსნას ტეორიულად მუშათა კლასის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზმის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავს მუშა“.

დამახასიათებელია, რომ თითქმის ამავე სიტყვებით განსაზღვრა 1905 წელს თავისი როლი და დანიშნულება ბოლშევიკურმა გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკმა“, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა. სარედაქციო სტატიაში ამ გაზეთმა თავის მთავარ ამოცანებად ჩასთვალა შემდეგი: „მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით გაარკვიოს მუშათა კლასის საჭიროებანი და ინტერესები, მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანი და უახლოესი ამოცანები, მოახდინოს მუშებისა და რევოლუციური ხალხის სხვა ფენების ფართო მასებში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მორიგი ლოზუნგების პოპულარიზაცია“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ყოველთვის მტკიცედ და თანმიმდევრულად ასაბუთებდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მეცნიერული სოციალიზმის იდეების როლსა და მნიშვნელობას მუშათა კლასისათვის და ასწავლიდა, როგორ დაეკავშირებინათ ეს იდეები მუშათა მოძრაობასთან.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური პარტიული პრესა ნამდვილად მეცნიერულ მარქსისტულ პოზიციებზე იდგა და ამ პოზიციებიდან ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას ოპორტუნიზმის ყველა სახის წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის მიერ გამოწრთობილი ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესა რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებს ზრდიდა პარტიის საქმისადმი ურყევი ერთგულების, პარტიის წესდების მოთხოვნებისადმი პატივისცემის, მუშათა კლასის პარტიის ინტერესების დაცვის სულისკვეთებით. ამ მხრივ შესანიშნავი დოკუმენტია რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მიერ 1905 წლის აპრილში გამოცემული პროკლამაცია, რომელიც მიმართულია ბათუმის ყველა მუშისადმი. პროკლამაცია დაწერილია გამოთიშულ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის დეზორგანიზატორულ მოქმედებისთან დაკავშირებით წამოჭრილ პარტიულ უთანხმოებათა საკითხზე. „პარტიული წესდების აბუჩად აღება,—ნათქვამია პროკლამაციაში,—მისი დარღვევა კერძო პირების ან ორგანიზაციების მხრით დანაშაულია პარტიის წინაშე, დანაშაულია იმ დიადი მიზნების წინაშე, რომელთა განხორციელებას პარტია ემსახურება“.

შემდეგ ბოლშევიკურ პროკლამაციაში ნათქვამი იყო, პარტიის მომავალი მესამე ყრილობა, უეჭველია, ყოველ ღონისძიებას იხმარს იმისათვის, რომ შეამჭიდროვოს და განამტკიცოს პარტია. ეს დოკუმენტი მთავრდება შემდეგი მოწოდებით: „გულდადებით ვიმუშაოთ... იმ წესების თანახმათ, რომელსაც გამოიმუშავებს პარტიის მესამე კრება, იმ გადაწყვეტილებათა თანახმათ, რომელსაც მიიღებს ეს კრება, რომ მით შევქმნათ ფაქტიურად გაერთიანებული და ძლიერი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც შეეძლოს შეასრულოს თავისი დიადი ისტორიული დანიშნულება“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა პრესამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ფართო აგიტაცია და ბრძოლა გასწია მესამე პარტიული ყრილობის მოსაწვევად.

ამიერკავკასიის არალეგალური ბოლშევიკური პრესა გახდა პარტიის შესახებ ლენინის მოძღვრებისათვის, ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლის მძლავრი ტრიბუნა.

როცა არალეგალურ გაზეთ „ბრძოლას“ პირველი ქართული თავისუფალი გაზეთი უწოდა, ამხანაგმა სტალინმა ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ მეფის რუსეთის პირობებში თავისუფალი, პირდაპირი, თანმიმდევრულად პარტიული გაზეთი შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის არალეგალური პრესა.

საჭირო იყო უდიდესი სიძნელეების გადალახვა არალეგალური ტექნიკის მოწყობის, საკუთარი ტრიბუნის შექმნის გზაზე. მაგრამ, როგორც ამას ამხანაგ სტალინის მიერ დაარსებული არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი“ აღნიშნავდა 1906 წელს, ყველა ამ სიძნელეს ანაზღაურებდა „ჩვენი გამოცემის სრული დამოუკიდებლობა და სიტყვის სრული თავისუფლება, რაც ჩვენ გვაქვს“.

ეს დამოუკიდებლობა, ეს სიტყვის თავისუფლება ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლის მიზნით, კავკასიაში პირველად დაამკვიდრა სტალინურმა „ბრძოლამ“ და მისმა ღირსეულმა მემკვიდრემ—გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამ“.

1905 წლის ნოემბერში ვ. ი. ლენინი „ნოვაია ჟიზნის“ ფურცლებზე აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ახალ პირობებში, რომლებიც რუსეთში ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის შემდეგ შეიქმნენ, საჭიროა დაუყოვნებლივ შევუდგეთ პარტიული ლიტერატურის საქმის ხელახლა მოწყობასო. „ლიტერატურას,—სწერდა ლენინი,—შეუძლია ახლა, „ლეგალურადაც“ კი, ცხრა მეათედით პარტიული იყოს. ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს“ (ლენინი, თხზ., ტ. VIII, გვ. 387).

საკითხის ამ ლენინური დაყენების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენციის გადაწყვეტილებანი გამომცემლობის შესახებ. კონფერენციამ კავკასიის პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ გამოაცხადა რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდ. გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო იმით, „რომ ძალით განხორციელებული „პრესის თავისუფლება“ ერთგვარ ასპარეზს აძლევს სოციალ-დემოკრატიულ სიტყვასაც“ და „რომ ეს გარემოება უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ რაც შეიძლება ფართოდ“.

როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ ბოლშევიკურ პრესას ამიერკავკასიაში მაღლა ეჭირა ბოლშევიკური პარტიულობის დროშა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა ჩვენი პარტიის შექმნის დასაწყისს აღმართა.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური პრესის მიერ პარტიულობისათვის გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიო ფურცელია საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მზადება რსდმპ V ყრილობისათვის. ამ მზადებას ხელმძღვანელობდა ბოლშევიკური სალიტერატურო ბიურო, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა.

ყოველდღიურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „დროშ“, რომელიც თბილისში გამოდიოდა ქართულ ენაზე, მთელი რიგი სტატიები მოათავსა და მათში ფართოდ განმარტა მომავალი ყრილობის მნიშვნელობა.

ამ სტატიებში გაზეთი „დრო“ მხურვალედ უჭერდა მხარს პეტერბურგისა და მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ლენინის გარშემო შემჭიდროვდნენ.

ანიშნებდა რა უდიდეს მნიშვნელობას ბეჭდვითი სიტყვის, თბილისის ბოლშევიკურმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამხანაგმა სტალინმა მოამზადა და რომელიც 1909 წლის ნოემბერში შესდგა, დღის წესრიგში შეიტანა საკითხი ამიერკავკასიის არალეგალური პარტიული ორგანოს გამოცემის შესახებ. კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ბაქოს კომიტეტთან ერთობლივად გამოცემული ყოფილიყო „ორგანო, რომელიც ხელმძღვანელებს პარტიული დადგენილებებით“.

თბილისის ბოლშევიკური კონფერენციის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით, 1910 წლის 5 იანვარს გამოვიდა პირველი ნომერი „ტიფლისკი პროლეტარისა“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მენშევიკების და სხვა კონტრრევოლუციურ პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლშევიკებს მტკიცედ სწამდათ ახალი რევოლუციური აღმავლობის გარდუვალობა და თავის მოვალეობად სთვლიდნენ მასების მომზადებას ბრძოლისათვის.

ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანი იყო საკითხი, რომელიც დაყენებული იყო „ტიფლისკი პროლეტარის“ მოწინავე სტატიაში „ვის მივმართოთ ჩვენ, რომელ მკითხველს?“, და პასუხი ამ კითხვაზე:

„რასაკვირველია, არა იმათ, რომლებიც ბრძოლით დაიღალნენ და ახლა .... „ისვენებენ“.

არა იმათ, რომელთაც აღარ სწამთ პარტია და თავისი „პირადი მე“ იწამეს.

მით უმეტეს არა იმათ, რომელთაც თავისი მდგომარეობით პროლეტარიატთან საერთო არაფერი აქვთ.

არა, ისინი როდი არიან ჩვენი მკითხველები.

ჩვენ მივმართავთ პროლეტარებს და მათგან სახელდობრ იმათ, რომელთაც სურთ ბრძოლა, რომელთაც სწამთ პარტია, მისი მომავალი, რომელთაც სწყურიათ ცოდნა და ეძებენ გზებს ახლანდელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად, მტრის ძალთა გასანადგურებლად, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის“.

რა შესანიშნავი, აღმაფრთოვანებელი სიტყვებია! ისინი წარმოადგენენ ბოლშევიკური პრესის მებრძოლი პარტიულობის მკაფიო გამოხატულებას, ისინი აღვიძებდნენ მუშა მკითხველში ახალ ძალებს საბრძოლველად.

* * *

რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების წლებში, ბოლშევიკური პარტიის არალეგალობის პირობებში, ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს დიდი და ძვირფასი გამოცდილება ჰქონდათ ადგილობრივს ეროვნებათა ენებზე პარტიული პრესის ორგანიზაციის დარგში.

შემდეგში ვ. ი. ლენინი რუსეთის ყველა სოციალ-დემოკრატს ურჩევდა „... ცხოვრებაში გაეტარებინა პრინციპი ს.-დ. მუშათა ინტერნაციონალური ერთიანობისა ადგილებზე, პრინციპი, რომელიც ასე ბრწყინვალედ გამოსცადეს კავკასიაში 1898 წლიდან“. (ლენინი, თხზ., ტ. XVII, გვ. 559), ესე იგი იმ წლიდან, როდესაც ამხანაგი სტალინი სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შევიდა და იქ სათავეში ჩაუდგა რევოლუციურ-მარქსისტულ ინტერნაციონალისტურ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ჩანასახს ამიერკავკასიაში.

ლენინს სამაგალითოდ მიაჩნდა ერთობლივი, შემჭიდროებული მუშაობა კავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისა, რომლებმაც გვიჩვენეს ნაციონალური საკითხის ნამდვილი პროლეტარული გადაჭრა.

ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირი, რომელიც 1913 წლის იანვარში შესდგა, ნაციონალური საკითხის გამო მიღებულ რეზოლუციაში ყველა პარტიულ ორგანიზაციას ურჩევდა საქმით განეხორციელებინა ერთიანობა „ქვემოდან, როგორც ეს დიდი ხანია ხდება კავკასიაში“ („საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციებში...“, გამოცემა მე-6, ნაწ. I, გვ. 199).

არალეგალური ბოლშევიკური პრესის ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითს მუშაობას მრავალერიანი ამიერკავკასიის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი არალეგალურ ფურცლებში აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა ეროვნების მუშებს აერთიანებს ერთიანი გრძნობა სიძულვილისა კაპიტალიზმთან თვითმპყრობელობის კავ-

შირისადმი, ერთი მგზნებარე მისწრაფება სოციალისტური იდეალისადმიო. არალეგალური ბოლშევიკური პრესა მუშათა შორის ნერგავდა მათი მართალი საქმის გამარჯვების რწმენას, და ამით კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებოდა რევოლუციურ მუშათა რიგები, კიდევ უფრო მტკიცე ხდებოდა ურთიერთ ნდობა და მეგობრობა ცარიზმის მიერ ჩაგრულ ეროვნებათა შორის, კიდევ უფრო ძლიერდებოდა არარუსი ეროვნების მუშათა მისწრაფება თავისი უფროსი ძმის—„რუსეთის დევგმირი პროლეტარიატის“ გარშემო უფრო მეტად შემჭიდროებისადმი.

ამხანაგი სტალინი, რომელიც ჰქმნიდა ბოლშევიკურ პრესას და ხელმძღვანელობდა მის მუშაობას ამიერკავკასიაში, ამომწურავი სისრულით განსაზღვრავდა გაზეთების როლს, შინაარსს, მიმართულებასა და თეორიულ ამოცანებს.

გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ამხანაგი სტალინი სწერდა: „ქართულმა გაზეთმა უნდა ითამაშოს საერთო პარტიული და მასთანვე რაიონული, ადგილობრივი ორგანოების როლი ერთს და იმავე დროს. რადგან მომეტებულ ნაწილს ქართველი მუშა მკითხველებისას არ შეუძლიან თავისუფლად ისარგებლოს რუსული გაზეთით, ქართული გაზეთის ხელმძღვანელებს არა აქვთ ნება აუხსნელი დასტოვონ ყველა ის კითხვები, რასაც ეხება და უნდა შეეხოს რუსეთის პარტიის საერთო გაზეთი. ამ გვარათ ქართული გაზეთი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს ყველა პრინციპიული თეორეტიული და ტაქტიკური კითხვები. ამავე დროს ვალდებულია უდგეს სათავეში ადგილობრივ მოძრაობას და ყოველ მოვლენას ააშკარავებდეს ჯეროვანად. არ დასტოვოს არც ერთი ფაქტი აუხსნელად და მისცეს პასუხი ყოველ კითხვაზედ, რაიცა აწუხებთ ადგილობრიულ მუშებს. ქართული გაზეთი უნდა იყოს შუამავალი, შემაერთებელი ქართველ და რუს მებრძოლ მუშებისა. გაზეთმა უნდა აცნობოს მკითხველებს ყოველი მოვლენა, რაც კი საჭირო იქნება მათთვის ადგილობრივ, რუსეთის და უცხოეთის ცხოვრებიდან“.

მხურვალედ მიესალმებოდა რა „ბრძოლის“ გამოსვლას, ლენინური „ისკრა“ აღნიშნავდა მისი სტატიების პრინციპულ ხასიათს. „ისკრა“ აღტაცებით სწერდა რსდმპ თბილისის კომიტეტის უდიდეს ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობაზე, პროკლამაციების მაღალ დონეზე, მუშათა ინტერნაციონალურ ერთიანობაზე.

ითვალისწინებდა რა პოლიტიკური პარტიული ლიტერატურით ადგილობრივი ორგანიზაციების უზრუნველყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი 1903 წლის შემოდგომაზე კავკასიის კავშირის კომიტეტს სწერდა: „ჩვენ გაძლიერებით ვფიქრობთ ახლა იმაზე, რომ აქ მოვაწყოთ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა“ (ლენინი, თხზ., ტ. XXVIII გვ. 353).

ლენინის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ამხანაგ სტალინის ინიციატივით აქ, ადგილზე მოწყობილმა მძლავრმა არალეგალურმა ბეჭდვითი ტექნიკამ.

რსდმპ კავკასიის კავშირის ჩრაგალი გამოცემა, მათ შორის გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლამ“, გამოდიოდა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებ-

ზე. 1905 წელს გადაწყდა და ნაწილობრივ განხორციელდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მცირე არალეგალური ბიბლიოთეკის გამოცემა სამ ენაზე საერთო სახელწოდებით: „ბროშურები პარტიულ საკითხებზე". ამ ბიბლიოთეკაში ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე პირველი გამოვიდა ამხანაგ სტალინის შრომა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე".

ამიერკავკასიის ბოლშევიკები, რომლებიც ყოველნაირად განამტკიცებდნენ თავიანთ არალეგალურ ორგანიზაციებს და ლეგალურ შესაძლებლობებსაც იყენებდნენ, ცდილობდნენ პრესის საშუალებით თავიანთი გავლენით მოეცვათ ამიერკავკასიის მრავალეროვანი პროლეტარული მასა. 1905 წლის ნოემბერში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკურმა კონფერენციამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია პარტიული გამომცემლობის შესახებ და წინადადება მისცა კავკასიის კავშირის კომიტეტს დაუყოვნებლივ შესდგომოდა ქართულ და სომხურ ენებზე ისეთივე ორგანოების მოწყობას, როგორიც იყო „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი", აგრეთვე ბაქოში აზერბაიჯანულ ენაზე შეექმნა ყოველკვირეული ორგანო. ეს გადაწყვეტილებანი ბოლშევიკებმა წარმატებით განახორციელეს 1906-1907 წლებში.

ამიერკავკასიის ეროვნებათა ენებზე ზეპირი და, უმთავრესად, ბეჭდვითი აგიტაციის ორგანიზაციის აუცილებლობაზე ამხანაგი სტალინი სწერდა თავის სტატიაში „წერილი კავკასიიდან", რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა „სოციალ-დემოკრატის" მე-11 ნომერში. ამავე სტატიაში ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ პარტიის ბაქოს კომიტეტმა მიიღო თბილისის კომიტეტის წინადადება „საერთო ორგანოს გამოცემის შესახებ შესაძლებლობისამებრ ოთხ ან სამ ენაზე".

აფართოებდნენ და განამტკიცებდნენ რა პარტიულ პრესას, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ ლენინურ-სტალინურ პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ 1901 წელს „ბრძოლის" პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში.

ადგილობრივი არალეგალური ბოლშევიკური პრესის, როგორც ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის იდეისათვის მებრძოლის, როლი მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე იმ მჭიდრო კავშირის მეოხებით, რომელიც ამიერკავკასიის ბოლშევიკურ პრესასა და საერთო პარტიულ ორგანოს შორის არსებობდა. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები თანმიმდევრულად ასრულებდნენ ლენინის მითითებას იმის შესახებ, რომ აუცილებლად ცდილიყვნენ ყოველნაირად გამოეყენებინათ პარტიის ცენტრალური ორგანო ადგილობრივს აგიტაციაში „არა მხოლოდ გადაბეჭდვით, არამედ აზრებისა და ლოზუნგების თხრობითაც ფურცლებში, მათი **განვითარებით** ან სახის შეცვლით შესატყვისად ადგილობრივი პირობებისა და სხვ." (თხზ., ტ. VIII, გვ. 165).

ვ. ი. ლენინი გულდასმით ადევნებდა თვალყურს ბოლშევიკური პრესის ზრდას ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით აღნიშნავდა მის მარქსისტულად გამართულობას, ამ პრესაში თეორიული საკითხების ღრმა, პრინციპულ დაყენებას და ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლის შეუპოვარ ხასიათს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები იზრდებოდნენ შეურიგებელ ბრძოლაში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, მათ მაღლა ეჭირათ ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის დროშა.

1909 წელს დაკავშირებით იმასთან, რომ რეაქციამ გაანადგურა ბოლშევიკური მუშათა გაზეთები რუსეთში, ამხანაგი სტალინი არალეგალურ გაზეთში „ბაკინსკი პროლეტარი“ სწერდა საერთო რუსული ლეგალური გაზეთის შექმნის საჭიროებაზე, ვინაიდან „... პეტერბურგმა არ იცის, რა ხდება კავკასიაში, კავკასიამ არ იცის, რა ხდება ურალში და ა. შ., ყოველი კუთხე თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს“.

საერთო რუსული ორგანოს შექმნის იდეა ამხანაგმა სტალინმა ღრმად დაასაბუთა სტატიაში „წერილი კავკასიიდან“, რომელიც 1909 წლის დამლევს დაიწერა და 1910 წლის თებერვალს გამოქვეყნდა.

„პარტიულ მასაზე ცუდად მოქმედებს,—სწერდა ამხანაგი სტალინი,—პარტიისაგან მოწყვეტა, სრული უცოდინარობა პარტიული ორგანიზაციების საქმეებისა რუსეთში. საერთო რუსული ორგანო, რეგულარულად გამართული საერთო პარტიული კონფერენციები და ც. კ-ის წევრთა სისტემატური მისვლა-მოსვლა საქმეს დაეხმარებოდა... ბ(აქოს) კ(ომიტეტი), რომელიც აღნიშნავს ორგანიზაციების მოწყვეტას ერთმანეთისაგან და ფიქრობს, რომ მხოლოდ **საერთო რუსულ ორგანოს**, რუსეთში გამომავალს, შეეძლო პარტიული ორგანიზაციები შეეკავშირებინა ერთ მთელად,—წინადადებას აყენებს, რომ პარტიამ ხელი მოჰკიდოს ასეთი გაზეთის ორგანიზაციას“.

* * *

ლენინი და სტალინი უდიდესი მზრუნველობით ეკიდებოდნენ პარტიული პრესის პირველ ყლორტებს, ღრმად წვდებოდნენ საქმის დეტალებსა და ტექნიკას.

თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის არალეგალური ფურცლები ფართოდ ვრცელდებოდა ჯერ კიდევ 1900 წელს—ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშათა აგვისტოს გაფიცვის დროს და 1901 წელს—თბილისის მუშათა საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაციის დროს. მუშათა ამ გამოსვლებს და არალეგალური პროკლამაციების გამოცემას ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი.

„საუცხოოდ დაწერილი პროკლამაციები,—იუწყებოდა ლენინური „ისკრა“,—გამოდიოდა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე და თბილისის ყველა უბანს ეფინებოდა“.

კიდევ უფრო ფართოდ იყო მოწყობილი ბეჭდვითი პარტიული პროპაგანდა და აგიტაცია რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და ჩატარების წლებში.

პარტიის თბილისის კომიტეტი პროკლამაციაში, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასწერა 1905 წლის 13 თებერვალს თბილისში მომხდარი პოლიტიკური დემონსტრაციის გამო, იუწყებოდა, ამ დღეს კომიტეტმა 3.000 ფურცელი გაავრცელა.

მეორე დღეს პროკლამაციები ასევე აშკარად ვრცელდებოდა ხალხში. „მასა ჯგუფებად იყოფა და პროკლამაციის შინაარსზე მსჯელობს. წარმოსთქვამენ სიტყვებს. მასის განწყობილება მაღლდება...“,—სწერს ამხანაგი

სტალინი. 1905 წლის 14 თებერვალს თბილისის ქუჩებში გავრცელებულ იქნა 12.000 პროკლამაცია.

სტალინური ბეჭდვითი სიტყვის ნაპერწკლები მასებს ამხედრებდნენ მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მკაფიო, მოკლე და თანაც მარტივი და მისაწვდომი სტალინური სტრიქონები აღრმავებდნენ მწვავე სიძულვილს მტრისადმი, დიად რწმენას მუშათა კლასის საქმის გამარჯვებისადმი.

სტალინის პროპაგანდისტული წერის ერთ-ერთი მსმენელი, ძველი მუშა გ. ნინუა მოგვითხრობს მეცადინეობის ჩატარების სტილსა და მეთოდზე, რითაც გარკვეულად განირჩეოდა პრესაც:

„თემას, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ის, ამხანაგ სტალინი ყოველთვის ჰყოფდა საკითხებად... ამხანაგ სტალინის გამოსვლა ჰგავდა საუბარს. ხანდახან იგი ახალ საკითხზე მანამდე არ გადავიდოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ჩვენ გავიგეთ ის, შევითვისეთ მისი სიტყვები... იგი მუშებს მრავალ შეკითხვას აძლევდა, შემდეგ კი დასკვნებს აკეთებდა. ამ დასკვნებს გადამწყვეტი, სახელმძღვანელო მნიშვნელობა ჰქონდათ რევოლუციური მოძრაობისათვის“.

მეტყველი და მოკლე სათაურები, წერილებისა და შენიშვნების მარტივად და მისაწვდომად გადმოცემა არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში—საგაზეთო მასალაზე გულმოდგინე, ღრმად მოფიქრებული მუშაობის ნიმუშია. არა მშრალი, უგულო, არამედ მეტყველი, ცოცხალი, მხატვრული ენით ელაპარაკებოდა გაზეთი მუშა მკითხველებს, აღაფრთოვანებდა მათ, უჩვენებდა ბრძოლის საიმედო, ნაცად გზებს.

ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამომავალი გაზეთების საქმიანობას საფუძვლად ედო გეგმიანობის, საგაზეთო მასალის თემატიკის წინასწარ, ღრმად მოფიქრებული განსაზღვრის პრინციპი.

დიდად საინტერესოა გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სარედაქციო გეგმა, შედგენილი ამხანაგ სტალინის მიერ 1905 წელს. ამ გეგმაში ჩამოთვლილია წერილები და განყოფილებანი გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ სამი ნომრისათვის, დასახულია სტატიების თემები.

აი სტალინის ხელნაწერის პირველი სტრიქონი: „რეაქცია ძლიერდება“. გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ მეთორმეტე ნომერში ამავე სათაურით მოთავსებულია მოწინავე წერილი. წერილში ლაპარაკია რეაქციის გაძლიერებაზე, იმაზე, რომ „რეფორმები“—ეს არის სწორედ იმ ტყვიებისა და მათრახების შენილბვა, რომლებითაც ასე გულუხვად გვიმასპინძლდება გამხეცებული მეფის მთავრობა“.

მოწინავე წერილი იცავს პროლეტარიატის საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას, ეწევა მის პროპაგანდას და ამხილებს მენშევიკებს.

გაზეთის სტალინური გეგმის ამავე პირველ ფურცელზე დასახულია სხვა სტატიების თემები. თვითეული ნომრის გეგმაში არის განყოფილება პარტიის ცხოვრების შესახებ.

მეორე გვერდზე მოცემულია გაზეთის თვითეული ნომრის შინაარსის მოწყობრი მონახაზი. ხუთი დანომრილი სათაური, მთლიანი ხაზი მთელ გვერდ-

ზე და შემდეგ—გაზეთის ახალი ნომრის გეგმა. მარჯვნივ აღნიშნულია ციფრები, რომლებიც, ალბათ, მასალის ზომას უჩვენებენ. ციფრები შეჯამებულია თვითეული ნომრის მიხედვით.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გამომავალ გაზეთებში უმნიშვნელოვანესი იყო განყოფილება „პარტიიდან“, რომელშიც შეჯდებოდა პარტიული ორგანიზაციების მიმდინარე ცხოვრება.

გაზეთებში ფართოდ იყო წარმოდგენილი ისეთი განყოფილებანი, როგორიცაა: „რუსეთში“, „კავკასიაში“, „საზღვარგარეთ“. უკვე მარტო ამ სათაურების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორ ასრულებდა პრესა ამხანაგ სტალინის მიერ „ბრძოლის“ პირველ ნომერში მიცემულ მითითებას იმის შესახებ, რომ „გაზეთმა უნდა აცნობოს მკითხველებს ყოველი მოვლენა, რაც კი საჭირო იქნება მათთვის ადგილობრივ, რუსეთის და უცხოეთის ცხოვრებიდგან“.

ქართულმა ლეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ჩვენმა ცხოვრებამ“ შემოიღო განყოფილებანი: „პარტიის ცხოვრება“, „მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები“, „სახელმწიფო სათათბირო“, „პრესა“, „ახალი ამბები“, „რუსეთში“, „პროვინცია“, „საზღვარგარეთ“, „დეპეშები“.

„პრესის“, „პრესის მიმოხილვის“ სახელწოდებით ხშირად იბეჭდებოდა მწვავე პოლემიკური სტატიები, რომლებიც მენშევიკური, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური გაზეთების ოპორტუნისტულ ბუნებას ამხილებდნენ.

ყოველკვირეულ ბოლშევიკურ გაზეთ „ახალ დროებას“ ჰქონდა ორგვერდიანი დამატება, სადაც უმთავრესად მოთავსებული იყო ტექსტში ნახმარი სიტყვების ახსნა-განმარტება.

ქართულ არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ ყოველ ნომერში თავსდებოდა ლექსი. პირველ ნომერში დაბეჭდილი ლექსი „22 აპრილი“ მიძღვნილია 1901 წელს გამართულ პროლეტარიატის საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაციისადმი. აქტუალური, საჭირბოროტო ლიტერატურული მასალის მოთავსება ამიერკავკასიის ბოლშევიკური გაზეთების ტრადიცია იყო.

ბოლშევიკური ორგანიზაციები ცდილობდნენ თავისი გავლენით მოეცვათ მებრძოლი ხალხის ყველა ფენა.

1906-1907 წლებში ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია რუსულ ენაზე უშვებდა მასობრივ პოპულარულ გაზეთს „რიადოვოი“, რომლიც ეწეოდა ბოლშევიზმის იდეების პროპაგანდას არმიაში, ფლოტში, კაზაკთა შორის. ამ გაზეთის სტატიები დაწერილი იყო გასაგები, ნათელი, მარტივი ენით, მათში სანიმუშო მაგალითებით, ცალკეული მარჯვე შედარებებით იყო განმარტებული პოლიტიკური ცხოვრების ურთულესი საკითხები. საკმარისია აქ მოვიტანოთ გაზეთ „რიადოვოიში“ მოთავსებული სტატიების ლაკონური, ღრმად მოფიქრებული და ინტერესის გამომწვევი რამდენიმე სათაური, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ იმ მწვავე საკითხების თემატიკა, რომელთაც გაზეთი აყენებდა და განმარტავდა. აი ზოგიერთი ამ სათაურთაგანი: „როგორ გაჩნდნენ თვითმპყრობელი მეფეები?“, „მუშის წერილი ჯარისკაცებს“, „ვისი მომხრეა მეფე?“, „ოფიცრული არითმეტიკა“, „არმია და პოლიტიკა“, „სოფლის ამბები“, „კაზაკი იღვიძებს“, „როგორ უნდა გავერთიანდეთ“ და სხვ.

• • •

თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პირველი ფურცლები უბრალო ხელის დაზგაზე იბეჭდებოდა. კვადრატულ დაფაზე გადაჭონდათ ანაწყობი, ზემოდან ქაღალდის სველ ფურცელს ადებდნენ და ჯაგრისით იღებდნენ ანაბეჭდს. დღეღამეში ამ წესით ბეჭდავდნენ 700-დე ფურცელს.

ამხანაგი სტალინი ეხმარებოდა არალეგალურად მომუშავე მბეჭდავებს, ღრმად წვდებოდა მათი მუშაობის ყველა დეტალს, უსასტიკეს კონსპირაციას ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა, რომ საჭიროა ბეჭდონ რაც შეიძლება მეტი, რადგან რევოლუციური მარქსიზმის ბეჭდვითი პროპაგანდის საჭიროება უდიდესიაო.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით თბილისის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელმა ჯგუფმა ლადო კეცხოველი მოამარაგა შრიფტით, მოწყობილობით, ფულით და დახმარება გაუწია მას ბაქოში 1901 წლის დამდეგს არალეგალური სტამბის მოწყობის საქმეში.

1902 წელს, უდიდეს პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა რა ბათუმში, ამხანაგი სტალინი სწერდა პროკლამაციებს და აწყობდა მათს არალეგალურად ბეჭდვას ხელის დაზგაზე. ძველი ბათუმელი მუშები თავიანთ მოგონებებში მოგვითხრობენ პარტიული პრესის საქმისადმი სიყვარულით აღსავსე, მზრუნველი დამოკიდებულების სტალინურ ნიმუშებზე.

ვიწრო ოთახში, სადაც ბეჭტავდა ნავთის ლამფა, ამხანაგი სტალინი უჯდა პატარა მრგვალ მაგიდას და სწერდა. იმავე ოთახში იდგა სასტამბო დაზგა, რომლის მახლობლად ასოთამწყობნი მუშაობდნენ. შრიფტი ეწყო ასანთისა და პაპიროსის კოლოფებში, რომლებიც იმავე წესით იყო განლაგებული, როგორც საამწყობო სალაროს უჯრები. ამხანაგი სტალინი ნაწილ-ნაწილ აწვდიდა ასოთამწყობებს დაწერილს. იგი განსაკუთრებით მკაფიოდ სწერდა, რათა ასოთამწყობთა შრომა გაეადვილებინა.

შემდგომ წლებში, ამხანაგ სტალინის იდეით, მოწინავე მუშებმა—რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა თბილისში მოაწყეს ავლაბრის განთქმული არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, რომელიც რსდმპ კავკასიის კავშირს ემსახურებოდა. ეს სტამბა ბოლშევიკური კონსპირაციის შესანიშნავი ნიმუში და ხალხის ფართო მასებში ლენინურ-სტალინური იდეების პროპაგანდის მძლავრი კერა იყო.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გამოცემანი, მიუხედავად არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებისა, უპასუხებდნენ ბეჭდვითი ტექნიკის ძირითად მოთხოვნებს. ამას შეცდომაში შეჰყავდა მეფის ოხრანკის აგენტები, რომლებიც ცდილობდნენ გაზეთის ან ფურცლის გარეგნობით განესაზღვრათ სტამბის ხასიათი და ადგილსამყოფელიც კი.

1910 წელს თბილისის ოხრანკის განყოფილება ამაოდ შეეცადა აღმოეჩინა სტამბა, რომელიც ბეჭდავდა არალეგალურ გაზეთს „ტიფლისკი პროლეტარს“, და ბოლოს მან თავის მოხსენებაში ჩასწერა:

„გაზეთ „ტიფლისკი პროლეტარის“ № 1 დაიბეჭდა ბაქოს ერთ-ერთ სტამბაში. ძნელი საფიქრებელია, რომ ეს გაზეთი არალეგალურ სტამბაში იყოს დაბეჭდილი. როგორც ანაბეჭდის სისუფთავე,... ისე ხაზების ზუსტი დამთხვევაც ნაბეჭდი ფურცლის ორივე მხარეზე... მოწმობს, რომ გაზეთის

ბეჭდვის დროს იყენებდნენ არა ხელის დაზგას, არამედ საბეჭდავ მანქანას".

ბაქოს ოხრანკის განყოფილება კი თავის მხრივ ფიქრობდა, რომ გაზეთი თბილისში დაიბეჭდა.

პოლიციის დეპარტამენტმა, როცა ასეთი ურთიერთ საწინააღმდეგო მოხსენებები მიიღო, შეკითხვით მიმართა კავკასიის ოხრანკას: „ბოლოს და ბოლოს, სად დაიბეჭდა „ტიფლისკი პროლეტარი"—ბაქოში თუ თბილისში?"

მეფის ხელისუფალთ დიდად გაუჭირდათ აღმოჩენა არალეგალური ბოლშევიკური სტამბისა, რომელიც მოთავსებული იყო თბილისის განაპირა უბანში, საეკლესიო აღმართზე მდებარე № 8 სახლში.

რას წარმოადგენდა ის სასტამბო მანქანა, რომელზეც „ტიფლისკი პროლეტარი" იბეჭდებოდა? აღმოჩნდა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი ხელის დაზგა „ბოსტონკა", რომელიც სამწყობო სალაროებიანად და ყველა საჭირო ხელსაწყოებითურთ მოთავსებული იყო გარედან შპალერგაკრულ კედლის განჯინაში.

გამოიყენეს რა 1905-1907 წლებში ლეგალური შესაძლებლობანი, ბოლშევიკებმა მთელი რიგი გაზეთები გამოსცეს. და როგორც კი გაზეთს აკრძალვის საფრთხე დაემუქრებოდა, ბოლშევიკები საჭირო ზომებს ღებულობდნენ იმისათვის, რომ განეახლებინათ გაზეთის გამოცემა სხვა სახელწოდებით. მოელოდა რა 1907 წლის მარტში ქართული ბოლშევიკური გაზეთის „ჩვენი ცხოვრების" აკრძალვას, რედაქციამ, რომელიც ამხანაგ სტალინის მითითებებით ხელმძღვანელობდა, წინასწარ მოამზადა ახალი გაზეთი სახელწოდებით „დრო", სხვა „რედაქტორის" ხელმოწერით. ეს ახალი გაზეთი გამოვიდა გაზეთ „ჩვენი ცხოვრების" აკრძალვის მეხუთე დღეს.

ლეგალური ბოლშევიკური გაზეთები, რომლებიც დროგამოშვებით გამოდიოდნენ და სახელწოდებებს იცვლიდნენ, თანმიმდევრულობას ინარჩუნებდნენ და კვლავ მაღლა ეჭირათ ბოლშევიკური პარტიულობის დროშა.

* * *

ბოლშევიკური პრესის გზა გაცისკროვნებულია ლენინისა და სტალინის შიერ გამოჭედილი სახელოვანი ტრადიციებით.

ჩვენი პრესა ამ ტრადიციებით ხელმძღვანელობს და განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან, ფართო პოლიტიკურ, ახსნა-განმარტებითს მუშაობას უწევა მათ შორის, რაზმავს მათ მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიადი ამოცანების შესასრულებლად.

მაღლა უჭირავთ რა ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ლენინურ-სტალინური ტრადიციების დროშა, ჩვენი გაზეთები წარმატებით ასრულებენ უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომელთაც ჩვენ დღეს პარტია გვისახავს.

ტ. კვარაცხელია

საქ. სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი

სუბტროპიკული მოძრაობა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა

დედამიწის მოსახლეობის გადიდებასთან დაკავშირებით მიწის ნაყოფიერების პროგრესული ზრდის პრობლემა ყოველთვის იპყრობდა მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღებას უფრო მეტად, ვიდრე პრობლემა ჩვენი მზის თანდათანობით გაცივებისა რაც შესაძლოა მრავალი მილიონი წლების შემდეგ მოხდეს.

ცნობილია ტენდენცია კონსერვატორი მეცნიერებისა, რომლებიც, მოსახლეობის ზრდისა და ჩვენს პლანეტაზე მიწის ტერიტორიის განსაზღვრულობასთან დაკავშირებით, კაცობრიობას ავებედითს „თეორიებს" სთავაზობენ.

ცნობილია ისიც, რომ ყველა ეს „თეორია", როგორც უსაფუძვლონი, უკუაგდეს მოწინავე მეცნიერებმა, რომელთა შორის საბჭოთა მეცნიერთ პირველი ადგილი უჭირავთ.

ყველა ჩვენგანს წაუკითხავს დიდი საბჭოთა მეცნიერის კ. ა. ტიმირიაზევის ნაშრომები: „ნამდვილად მოელის თუ არა კაცობრიობას ახლო მომავალში დაღუპვა?", „მეცნიერება და მიწათმოქმედი" და სხვა.

ჩვენ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მუშაკებს, გვესმის აკადემიკოს ვ. რ. ვილიამსის კრიტიკა ეგრეთწოდებული „ნიადაგის კვებადი ნაყოფიერების კანონისა" და მისი თეორია ნიადაგთა ნაყოფიერებისა და მცენარეთა მოსავლიანობის განუწყვეტელი გადიდებისა.

გასული მსოფლიო ომის დროს განთქმული როტამსტედის საცდელი სადგურის ყოფილი დირექტორი—პროფესორი ჰოლი, ხოლო მისი შემცვლელი, პროფესორი რესელი—ცდილობდნენ პასუხი გაეცათ კითხვაზე: „რა უნდა გააკეთოს კაცობრიობამ თავისი მომავალი არსებობის უზრუნველსაყოფად?"

რესელს, როცა ის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაზე ლაპარაკობს, მხედველობაში ჰყავს მხოლოდ ინგლისელი ფერმერი მისი მინდვრებით, მდელოებითა და ჭაობებით; მას ყველაფერი გადაჰყავს ფულად ანგარიშზე და უკანასკნელ იმედს მაინც ადგილობრივს სასოფლო-სამეურნეო ინსტრუქტორზე ამყარებს.

ჰოლს მხედველობაში ჰყავს ჩვენი პლანეტის მთელი კაცობრიობა და მას მიმართავს კიდეც. ჰოლი საკითხს ეხება ისე, რომ თავს არ იზღუდავს დროსა და სივრცის პირობებით. მიწის მწარმოებლობის გადიდების ამოცანებს იგი ყველა თვალსაზრისით უდგება: სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწების, ეგრეთწოდებული უნაყოფო და უვარგისი მიწების, მათ შორის ჭაობების, ნახევრად უდაბნოების და უდაბნოების დაპ-

ყრობის თვალსაზრისით, აგრეთვე ფართობის ერთეულზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის პროგრესული გადიდების თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ტროპიკებსა და სუბტროპიკებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ვარგისი მთელი მიწიდან გამოყენებულია მხოლოდ 18 პროცენტი. რომ არაფერი ვთქვათ ტროპიკებისა და სუბტროპიკების, უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების, ჭაობებისა და ჩრდილოეთის ტუნდრის უდიდესი სივრცეების ახალ, ჯერ კიდევ აუთვისებელ მიწებზე, ჭარბად დასახლებულ ევროპაშიც კი არის ეგრეთწოდებული მეორეხარისხოვანი და უვარგისი მიწების დიდი სივრცეები. ლონდონის გარშემოც კი არის დაახლოებით ათასი ჰექტარი უდაბური მიწა, ხოლო ევროპის ყველაზე უფრო დასახლებულ ქვეყნებში—ბელგიასა და ჰოლანდიაში უდაბური მიწები ბლომად მოიპოვება. გერმანიას, რომელიც ასე დიდხანს და ასე ხარბად ცდილობდა სხვისი ტერიტორიების ხელში ჩაგდებას, ჯერ კიდევ აქვს ოთხი მილიონი ჰექტარი თავისუფალი მიწა.

აქ არ შევეხებით სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწების გამოყენების საკითხს და პირდაპირ გადავალთ სათესი და სარგავი ფართობის ერთეულზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საკითხზე.

ამ უკანასკნელი საკითხის თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის მოწინავე სტახანოველთა მიღწევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის. ჩვენ ყველას წაგვიკითხავს და ვიცით, რა სარეკორდო მოსავალი მიიღეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დარგში. საინტერესოა ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარეკორდო მოსავალი სოფლის მეურნეობის სტახანოველებმა მიიღეს სსრ კავშირის უდიდესი ტერიტორიის სულ სხვადასხვაგვარ ნიადაგ-ჰავის პირობებში—როგორც ციმბირსა და იაკუტიაში, ისე მცხუნვარე სამხრეთში, როგორც ჰოლანდიაში, სადაც მყარი ზომიერი ჰავაა, ისე შორეულ აღმოსავლეთის მხარეში, სადაც ჰავა ცვალებადია. საინტერესოა ისიც, რომ სტახანოველთა სარეკორდო მოსავალი შემთხვევითი არ არის; ამ მოსავალს იღებენ არა პერიოდულად, არამედ სისტემატურად, და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთსა და იმავე ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი წლითიწლობით იზრდება. დავასახელოთ ზოგიერთი მაგალითი. სოფლის მეურნეობაში სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთმა ინიციატორმა ეფრემოვმა ალტაის მხარის ბელოგლაზის რაიონში 1936 წელს მიიღო 60 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი, წინააღმდეგ 6-8 ცენტნერისა ჰექტარიდან მეზობელ არასტახანოვურ ნაკვეთებზე.

ამ მხარის სოფლის მეურნეობის სხვა სტახანოველებმა ჰექტარზე მიიღეს 15-დან 80 ცენტნერამდე მოსავალი, შესაბამისად ჰექტარების რაოდენობისა და გაზაფხულის ხორბლის მოვლის ინტენსივობისა.

საშუალო მოსავალმა რაიონში 1936 წელს ჰექტარზე 8 ცენტნერს მიაღწია, წინააღმდეგ 1935 წლის 2,1 ცენტნერისა. 1937 წელს სტახანოვური მოსავალი მერყეობდა 30-დან 86 ცენტნერამდე. მხარის მრავალ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხორბლის საშუალო მოსავალმა ამ სამ წელს ჰექტარზე 25-დან 38,5 ცენტნერამდე მიაღწია. ასეთსავე მოსავალს იღებდნენ სოფლის მეურნეობის სტახანოველები ციმბირის სხვა მხარეებსა და ოლქებშიც.

თუ განვაზოგადებთ სსრ კავშირის ყველა რაიონის, ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო კულტურების სარეკორდო მოსავლის ცნობებს, ასეთ სურათს მივიღებთ: **საგაზაფხულო ხორბლის** სარეკორდო მოსავალი მერყეობდა ჰექტარზე 32-დან 86 ცენტნერამდე, მაშინ როდესაც სსრ კავშირში საშუალო მოსავალი იყო ჰექტარზე 10 ცენტნერი, ხოლო ცალკეულ რაიონებში—16 ცენტნერი; **შემოდგომის ხორბლისა**—48-დან 80 ცენტნერამდე ჰექტარზე, იმ დროს, როცა საშუალო მოსავალი ზოგიერთ რაიონში 16-17 ცენტნერს შეადგენდა; **ჭვავისა**—34-დან 47 ცენტნერამდე (სსრ კავშირში საშუალო მოსავალი—10 ცენტნერი და ცალკეულ რაიონებში 12-16 ცენტნერი); **ქერისა**—52-დან 119 ცენტნერამდე ჰექტარზე, (საშუალო მოსავალი სსრ კავშირში—11 ცენტნერი, ხოლო ცალკეულ რაიონებში 19 ცენტნერი); **შვრიისა**—43-დან 76 ცენტნერამდე ჰექტარზე, (საშუალო მოსავალი — 10 ცენტნერი და ხოლო ცალკეულ რაიონებში 14-16 ცენტნერი); **ბრინჯისა** — 90-დან 156,5 ცენტნერამდე ჰექტარზე (საშუალო მოსავალი სსრ კავშირში 21 ცენტნერი); **სიმინდისა**—70-დან 218 ცენტნერამდე ჰექტარზე, (სსრ კავშირის საცდელ სადგურებში 23-54 ცენტნერი); **შაქრის ჭარხლისა** მოურწყავ ნაკვეთებზე—1.000 ცენტნერი, ხოლო მორწყულზე—1.460 ცენტნერი ჰექტარზე, (სსრ კავშირის ცალკეულ რაიონებში საშუალო მოსავალი 300-600 ცენტნერი); **ნედლი ბამბისა**—25-151 ცენტნერი ჰექტარზე, **სელის ბოჭკოსი** —7-23 ცენტნერი ჰექტარზე, **კარტოფილისა**—600-890 ცენტნერი ჰექტარზე, **ხახვისა**—720 ცენტნერი ჰექტარზე, **კომბოსტოსი**—2.051 ცენტნერი ჰექტარზე, **პომიდორისა**—370 ცენტნერი ჰექტარზე და ა. შ.

მრავალწლიანი მერქნიანი კულტურებიდან მაგალითისათვის ავიღოთ ნაყოფის მომცემი ხეების სარეკორდო მოსავალი.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ხეხილის ბაღის 1 ჰექტარიდან 25-30 ცენტნერ ნაყოფს იღებდნენ. მხოლოდ ყირიმში აღწევდა ეს მოსავალი ჰექტარზე 60-80 ცენტნერს. ამჟამად ნაყოფის საშუალო მოსავალმა 1 ჰექტარზე ცალკეულ შემთხვევებში მიაღწია: **ჭერამისამ**—324 ცენტნერს (ტაჯიკეთის სსრ), **ატმისამ**—95 ცენტნერს (სომხეთის სსრ), **მსხლისამ**—116 ცენტნერს (ყირიმი), **ვაშლისამ**—191 ცენტნერს (ორიოლის ოლქი). ცალკეულ ნაკვეთებზე 1 ჰექტარიდან მიღებულია ვაშლის შემდეგი მოსავალი: თეთრი რაზმარინისა—1.000 ცენტნერი (უზბეკეთის სსრ), ანტონოვკისა—520-620 ცენტნერი (ლენინგრადის ოლქი), 544 ცენტნერი (ორიოლის ოლქი), 480 ცენტნერი (ვორონეჟის ოლქი), 560 ცენტნერი (კრასნოდარის მხარე), მაშინ როდესაც ვაშლის საშუალო მოსავალი 1 ჰექტარზე კოლმეურნეობებში 140 ცენტნერი და უფრო ნაკლებია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა სთქვა: „ციტრუსების ხეების მოსავალი მატულობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის კვლავ დაბალია. 1939 წელს ერთი სრულასაკოვანი ხიდან საშუალოდ მივიღეთ 388 ცალი ნაყოფი, ნაცვლად 1938 წლის 269 ცალისა. ამავე დროს ჩვენ გვაქვს მრავალი ფაქტი, როცა ცალკეული მეურნეობანი ორ, სამჯერ მეტ მოსავალს ღებულობენ ერთი ხიდან". შემდეგ ამხანაგ ჩარკვიანს მოჰყავს რამდენიმე ციფრობრივი ცნობა ციტრუსოვანი მცენარეების მოსავლის ზრდის

შესახებ სტახანოვურ ნაკვეთებზე და დაასკვნის: „შეიძლება კიდევ მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსავლიანობის ზრდის მხრივ ჩვენს ციტრუსოვანთა მეურნეობას ფართო პერსპექტივები აქვს".

ჩვენ მრავალი ფაქტი გვაქვს, როცა მცირე ნაკვეთებზე საშუალო მოსავალი 1 ხიდან აღწევდა 3.000 ცალ მანდარინს, 2.500 ცალ ლიმონს, ხოლო მანდარინის ცალკეული ხეების მოსავალი აღწევდა 5-7 ათასს, ფორთოხლისა —10 ათასს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტახანოვურ ნაკვეთებზე მოსავალი წლითიწლობით მატულობს და არავითარ პერიოდულობას ადგილი არა აქვს. მაგალითად, ვინნიცის ოლქის მინკოვის რაიონის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში შემოდგომის ხორბლის საშუალო მოსავალი ხუთი წლის მანძილზე ჰექტარზე გადიდდა 6 ცენტნერიდან 17 ცენტნერამდე. კრასნოდარის მხარის სოჩი-ადლერის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვოე რაზდოლნოეში" შავქლიავის საშუალო მოსავალი თანდათან მატულობდა და ოთხი წლის განმავლობაში ჰექტარზე 5 ცენტნერიდან 112 ცენტნერს მიაღწია. იმავე მხარის შაპსუგის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზვეზდაში" ოთხი წლის მანძილზე შავქლიავის მოსავალი ჰექტარზე გადიდდა 22 ცენტნერიდან 190 ცენტნერამდე.

აგროტექნიკის თანდათანობითი გაუმჯობესების მეოხებით, ციტრუსოვანთა საშუალო მოსავალი საქართველოს სს რესპუბლიკაში 10 წლის მანძილზე გადიდდა 48 ნაყოფიდან 388 ნაყოფამდე ერთ ხეზე. ერთი ხის საშუალო მოსავალი ცალკეულ მეურნეობებში შემდეგნაირად გამოიხატა: საბჭოთა მეურნეობა „ილიჩი"—422 ცალი, ურეკის საბჭოთა მეურნეობა—709 ცალი, ალამბრის საბჭოთა მეურნეობა—666 ცალი, ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობა—646 ცალი. გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესმა" მანდარინის საშუალო მოსავალი ერთ ხეზე მიიღო: 1934 წელს—295 ცალი, 1935 წელს—460 ცალი, 1936 წელს—515 ცალი.

ისეთ ნაკვეთებზე, სადაც სწორ და მაღალხარისხოვან აგროტექნიკას იყენებდნენ, ციტრუსოვანი ხეების მოსავალი წლითიწლობით იზრდებოდა და პერიოდულობას ადგილი არ ჰქონია. მაგალითისათვის ავიღოთ 1910 წელს დარგული მანდარინის ხეები (26 წლისა). პლანტაციის სწორი მოვლა დაიწყო 1934 წელს. ხეების მოსავლის ცნობები 3 წელს (1934, 1935 და 1936 წწ.) შეეხება. ყველა საცდელი ხე შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ: ხეების პირველი ჯგუფი—თვითეულ ხეზე 1.000 ნაყოფზე მეტი საშუალო მოსავლით; მეორე ჯგუფის ხეები, რომელთა საშუალო მოსავალი თვითეულზე 1.000 ნაყოფზე ნაკლებია, მაგრამ 500 ცალს აღემატება; მესამე ჯგუფი—საშუალო მოსავალი თვითეულ ხეზე 500 ნაყოფზე ნაკლებია. ჩვენს ცდებში პირველი ჯგუფის ხეები აღმოჩნდა 28,5 პროცენტი, მეორე ჯგუფისა—45,5 პროცენტი და მესამე ჯგუფისა—26 პროცენტი. იმ ხეებმა, რომლებიც ყველაზე ნაკლებ მოსავალს იძლეოდნენ, მესამე წლის დამლევს გაადიდეს მოსავალი 955-დან 2.078 ნაყოფამდე ერთ ხეზე; იმ ხეებმა, რომლებიც საშუალოდ იძლეოდნენ 216-დან 350 ნაყოფამდე მოსავალს, გაადიდეს 1.420—2.233 ნაყოფამდე თითო ხეზე, ხოლო დიდმოსავლიანმა ხეებმა, რომელთაგან თვითეულის მოსავალი 693-780 ნაყოფს უდრიდა, ის 1.457-2.835 ნაყოფამდე გაადიდეს. 1934 წლამდე

ამ ნაკვეთის მანდარინის ხეები მკვეთრად გამოხატული პერიოდულობით, ხოლო მათი უმრავლესობა მეტად დაბალი მოსავლიანობით განირჩეოდა. დიდ მოსავლიანი ხეები მდინარისპირა ტრასაზეა, ღრმა დაურეცხავ ნიადაგზე, ხოლო მცირემოსავლიანი ხეები—წარეცხილ ფერდობზე. აქ არც ის ხეები ირწყვებოდა, რომლებიც ფერდობის მახლობლად და თვით ფერდობზეა, და ყოველწლიურად ადგილი ჰქონდა ბუტკოების უხვად დაცვენას წყლის ნაკლებობის გამო.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ცალკეული მოწინავენი სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მაღალ მოსავალს იღებდნენ არა მხოლოდ ციტრუსების, არამედ სხვა კულტურების ხაზითაც, როგორც, მაგალითად, აღმოსავლურ (იაპონური) ხურმის—(400 ცენტნერს ჰექტარზე) შაქრის ჭარხლის—(1.000-1.200 ცენტნერი ჰექტარზე. როგორც ცნობილია, შაქრის ჭარხლის პირველი სტახანოველის მარიამ დემჩენკოს სარეკორდო მოსავალი იყო 527 ცენტნერი ჰექტარზე), სიმინდის—100, 142 და 157,5 ცენტნერიც კი და სხვ.

ასეთი სარეკორდო მოსავალი სსრ კავშირის სტახანოვურ ნაკვეთებზე მიღებულ იქნა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ხაზით.

ისმის კითხვა: როგორ მიაღწიეს სტახანოველებმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთ დიდ მოსავალს?

ზოგჯერ ასეთი ლაპარაკი გვესმის: „ასეთი დიდი მოსავლის მიღება შეუძლებელია“, „სასოფლო-სამეურნეო კულტურების ასეთ დიდ მოსავალს ყველგან ვერ მიიღებთო“ და სხვა.

ასეთი ლაპარაკი, უსაფუძვლო და ძირფესვიანად შემცდარია. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დიდი მოსავლის მიღება ყველგან და ყველას შეუძლია. ამისათვის საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღების მტკიცე სურვილი, მიზანდასახულება და დაჟინებულობა მიზნის მიღწევაში, აგრონომიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევების ცოდნა და უნარი, ამ ცოდნის მაქსიმალური გამოყენებისა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. სწორედ ეს თვისებები გააჩნიათ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს—სტახანოველებს. **სტახანოვურ მოძრაობას, როგორც სოციალისტური შეჯიბრების ახალ, უმაღლეს ეტაპს, როცა ის უკავშირდება აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის დაუფლებას, შეუძლია და უნდა მოგვცეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ფრიად მაღალი მაჩვენებლები ჩვენს მინდვრებსა და პლანტაციებზე.**

კრემლის სასახლეში, წითელი არმიის აკადემიკოსების გამოშვებაზე, 1935 წლის 4 მაისს ამხანაგმა სტალინმა სთქვა:

„წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ „ტექნიკა სწყვეტს ყველაფერს“... ეს ძალიან კარგია. მაგრამ ეს სრულებით და სრულებით არ არის საკმარისი. ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით. ტექნიკა უადამიანებოდ, რომელთაც დაუფლებული აქვთ ტექნიკა,—მკვდარია. ტექნიკას იმ ადამიანების მეთაურობით, რომელნიც ტექნიკას დაეუფლნენ, შეუძლია და კიდეც უნდა მოახდინოს სასწაულები... ჩვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში... საკმაო რაოდენობით რომ გვყავდეს კადრები,

რომელთაც შეეძლებათ ამ ტექნიკის დაუფლება, მაშინ ჩვენი ქვეყანა სამჯერ და ოთხჯერ მეტ ეფექტს მიიღებდა, ვიდრე ახლა აქვს. აი ამიტომ ახლა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს, კადრებს, მუშაკებს, რომლებიც დაეუფლნენ ტექნიკას“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, გვ. 610-611, სახელგამი, 1939 წ.).

აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის გამოყენებით სოფლის მეურნეობის სტახანოველებმა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მაღალ მოსავალს მიაღწიეს.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა დამუშავება და მასობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში. ამ ღონისძიებათა ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოსავლის მაქსიმალური თვისობრივი გაუმჯობესება და რაოდენობრივი გადიდება ნიადაგის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მეშვეობით.

ჩვენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემისა და მისი შემადგენელი ნაწილის—დიფერენცირებული აგროტექნიკის მასობრივი დანერგვის მხრივ ძალიან დიდი მუშაობა მოგველის. ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებანი ამ მხრივ ჯერ კიდევ არ არის შესრულებული. 1934 წლის 19 იანვარს ამხ. ლ. პ. ბერიამ, საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე სთქვა: „ჩვენი სისუსტე ჯერ კიდევ იმაშია, რომ ჩვენ საკმაოდ ვერ დავეუფლეთ ციტრუსოვანი კულტურების აგროტექნიკას“. ასევე, საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე 1937 წლის 15 მაისს, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში ამხ. ბერიამ აღნიშნა: „... ჩვენმა სამიწათმოქმედო ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს აგროტექნიკურ ღონისძიებათა დიფერენცირებულად გამოყენება... უნდა მოვაწყოთ ციტრუსების მოვლა ისე, რომ ისინი ნორმალურად იზრდებოდნენ, ნორმალურად ვითარდებოდნენ და უხვ მოსავალს იძლეოდნენ, მოვსპოთ მოსავლის პერიოდულობა. ამისათვის საჭიროა რომ ჩვენი კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები უკეთესად დაეუფლონ აგროტექნიკას, უკეთესად იყენებდნენ მას, გამომდინარე ცალკეული პლანტაციებისა და თვითეული ციტრუსოვანი ხის თავისებურებისგან“.

ამხანაგი ბერია კვლავ შეეხო ამ საკითხს ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე 1938 წლის 16 ივნისს: „ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ მთელი ამოცანა ის არის, რომ შეასრულოს პლანტაციების გაშენების გეგმა. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად შემცდარია ეს აზრი. პლანტაციის გაშენება, ბოლოს და ბოლოს, არც ისე ძნელია. ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგში პლანტაციების სისტემატური ყოველდღიური მოვლის უზრუნველყოფა ყველა საჭირო აგროწესის დაცვით“. ამხანაგ ბერიას მითითებანი საფუძვლად დაედო საქართველოს ბოლშევიკების შემდგომ მუშაობას.

თავის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1940 წლის 19 აგვისტოს ამხანაგ ჩარკვიანმა განაცხადა: „ამხანაგი ბერია ჩვენ ყოველთვის მოგვაგონებდა, რომ საჭიროა ყურადღებითა და მზრუნველობით მოვეკიდოთ თვითეულ ჩაის ბუჩქს, თვითეულ ციტრუსების ხეს, თვითეულ ევკალიპტს. არც ერთს ჩვენგანს უფლება არა აქვს დაივიწყოს ამხანაგ ბერიას ეს მითითება“.

სოფლის მეურნეობის მაღალ საფეხურზე აყვანის და მოსავლიანობის რადიკალური გადიდების საკითხი ყოველთვის აინტერესებდა ბოლშევიკურ პარტიას და მის ბელადებს. სამიწათმოქმედო განყოფილებების, ღარიბთა კომიტეტებისა და კომუნების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე გამოსვლისას დიდმა ლენინმა სთქვა: „ჩვენი ვალდებულება და მოვალეობაა... რომ ყველაზე ჩამორჩენილი წარმოება, სამიწათმოქმედო, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ახალ რელსებზე დავაყენოთ, რომ ის გარდავქმნათ და მიწათმოქმედება ისეთი წარმოებიდან, რომელსაც შეუგნებლად, ძველებურად უძღვებიან გადავაქციოთ ისეთ წარმოებად, რომელიც დამყარებულია მეცნიერებაზე და ტექნიკის მონაპოვრებზე“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXIII, გვ. 424).

ამის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. ამ ხნის მანძილზე ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ და უდიდესი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობის დარგში. ეს დადასტურდა სამამულო ომის პირობებში.

ამჟამად, ჩვენი ქვეყნის უბოროტეს მტერთან დაძაბული ბრძოლისა და ჩვენი სახელოვანი გამარჯვების შემდეგ, მშვიდობიან შრომაზე გადასვლის პერიოდში ჩვენს წინაშე დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგას, რათა განვახორციელოთ ლოზუნგი—„მივაღწიოთ პროდუქტების სიუხვეს“.

როცა ვეცნობით სოფლის მეურნეობის სტახანოველთა ანგარიშებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღების შესახებ სსრ კავშირის უაღრესად სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში, ჩვენ შემდეგ დასკვნებამდე მივდივართ:

1. მოშენებულ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მაღალი მოსავლის მიღება შეიძლება ქედამიწის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონში.

2. სათანადო სამელიორაციო ღონისძიებათა გატარებისა და ნიადაგის სათანადო მოვლის პირობებში ყოველ მოშენებულ მცენარეს ყოველგვარ ნიადაგზე შეუძლია დიდი ნაყოფიერება გამოიჩინოს და მაღალი მოსავალი მოგვცეს.

3. მაღალი მოსავლის მიღება შეიძლება აგრონომიული მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის ცნობილ აგროღონისძიებათა სწორი და დროული გამოყენების საშუალებით. თუ ნიადაგის ნაყოფიერებას სათანადო დონეზე შევინარჩუნებთ და საჭირო აგროღონისძიებებს გავატარებთ, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოსავალი წლითიწლობით გადიდდება და მოსავლის პერიოდულობას ადგილი არ ექნება.

4. მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება შევნიშნოთ, რომ რაც უფრო დიდია ფართობი, რომელზეც გაშენებულია ესა თუ ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, მით უფრო ნაკლებია საშუალო მოსავალი ამ ფართობზე. ეს აიხსნება ნიადაგ-გრუნტის პირობების სიჭრელით, რაც, ცხადია, უფრო მეტად იჩენს თავს დიდ ფართობზე და რასაც ხშირად არ ითვალისწინებენ.

5. მყარი და ფართობების მიხედვით თანაბრად დიდი მოსავალი მიიღება მაშინ, როდესაც გათვალისწინებულია მოცემული მიწის ტერიტორიის მიკრონიადაგობრივი, მიკროკლიმატური პირობები მოშენებულ მცენარეთა ბიო-

ლოგიურ თავისებურებებთან დაკავშირებით (დიფერენცირებული აგროტექნიკა).

სტახანოველებმა, სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა დიდი მოსავალი მიიღეს და მოსავლის პერიოდულობა მოსპეს იმის მეოხებით, რომ მათ კარგად შეისწავლეს თავისი ნაკვეთის ბუნებრივი პირობები და მოშენებული მცენარის თვისებები, კარგად შეითვისეს აგრონომიული მეცნიერების მიღწევები და მდიდარი ადგილობრივი აგრონომიული პრაქტიკა და ყოველივე ეს ნამდვილად გამოიყენეს. აფასებდა რა სტახანოვურ მოძრაობას სტახანოველთა პირველ სრულიად საკავშირო თათბირზე 1935 წლის ნოემბერს, ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „სტახანოვური მოძრაობა წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი, უმაღლესი ტექნიკის უქონლად“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, გვ. 614, სახელგამი, 1939 წ.). სტახანოველებმა მაღალ მოსავალს და მოსავლის პერიოდულობის ლიკვიდაციას მიაღწიეს აგროტექნიკის არა ერთი ან რამდენიმე ხერხის გამოყენებით, არამედ, როგორც ამბობენ ხოლმე, აგროღონისძიებათა მთელი „კომპლექსით“. ზოგიერთი ჩვენი აგრონომი, რუსეთის ზოგიერთი აგრონომების მიბაძვით, იმეორებს სიტყვებს „აგროღონისძიებათა კომპლექსი“. ასეთი ტერმინი სრულიადაც არ გამოხატავს ჩვენს მიზანდასახულობას, გათვალისწინებულ აგროღონისძიებათა შინაარსს.

უფრო სწორი იქნება ვთქვათ არა „აგროღონისძიებათა კომპლექსი“, არამედ აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა. სასოფლო-სამეურნეო წლის განმავლობაში, მოსავლის სტრუქტურის პერიოდში შეიძლება გავატაროთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, თუ ჩვენ უმთავრესად დაინტერესებული ვართ გეგმის რაოდენობრივად, ვიდრე მაღალხარისხოვნად და თავის დროზე შესრულებაში. აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი შეიძლება გატარდეს, მაგრამ არა იმ ვადაში, არა ისე მაღალხარისხოვნად, როგორც ამას აგრონომიული მეცნიერება და ადგილობრივი პრაქტიკა მოითხოვს. საქმე მარტო აგროტექნიკის ყველა ელემენტის თავმოყრა და გამოყენება კი არ არის, არამედ მათი გამოყენება თავის დროზე და მაღალხარისხოვნად, მოშენებული მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებათა და მისი გარემო პირობების გათვალისწინებით. საქმე შეეხება ადამიანის აქტიურ და გონივრულ მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მოსავლის ფორმირებაში, განუწყვეტელ აქტიურ ზემოქმედებას მცენარის მიწისქვეშა და მიწისზედა გარემოზე და უშუალოდ მცენარეზე, ნიადაგ-გრუნტისა და მოცემული ნაკვეთის მიკროკლიმატის პირობების სიჭრელის გათვალისწინებით.

ამრიგად, აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემისა და მისი შემადგენელი ნაწილის — დიფერენცირებული აგროტექნიკის გამოყენებით შეიძლება მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა პროგრესულად ზრდად, მაღალ მოსავალს.

მოშენებული მცენარე და მისი გარემო აგროტექნიკას წინათ წარმოედგინა სტატიკურად, ხოლო თანამედროვე აგროტექნიკას ყოველივე ეს წარმოუდგენია დინამიკურად. ამიტომ აგროტექნიკური ხერხების წინანდელი რეცეპტურა, რომელიც დაკავშირებული არ იყო მცენარეთა მოშენებული ჯიშების ბიოლოგიურ თავისებურებებთან, ასაკობრივ პერიოდებთან და გან-

ვითარების ფაზებთან და არ ითვალისწინებდა დროსა და სივრცეში ცვალებად ეკოლოგიურ ფაქტორებს,—უნდა შეიცვალოს თანამედროვე აგროტექნიკის მიხედვით.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემად ჩვენ ვგულისხმობთ აგროტექნიკის ისეთ სისტემას, რომელიც ითვალისწინებს მოშენებული მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებებს, ასაკობრივ პერიოდებსა და განვითარების ფაზებს, აგრეთვე მცენარის დროსა და სივრცეში ცვალებად გარემო პირობებს იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას მყარი და ხარისხობრივად და რაოდენობრივად მაღალი მოსავალი და იმავე დროს მოხდეს ნიადაგის გაუმჯობესება და შრომის ნაყოფიერების გადიდება.

საბჭოთა აგრონომების ღირსების საქმეა ამ სისტემის დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში. ათობით ან ასობით სტახანოველის, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევები ან რამდენიმე საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის მიღწევები შეიძლება განხილულ იქნას როგორც საჩვენებელი ღონისძიებანი, როგორც აგროპროპაგანდის ერთ-ერთი ელემენტი. საჭიროა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ მოსავალს ვღებულობდეთ ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, ყველა ნაკვეთზე და ხეზე, ვღებულობდეთ მასობრივად. ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შევასრულებთ უკვდავი ლენინის ანდერძს და ჩვენი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითებას. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „შრომის ნაყოფიერება—ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის". (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 312).

სტახანოველთა პირველ სრულიად საკავშირო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა: „...ნამდვილად კი სოციალიზმს შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ შრომის მაღალი ნაყოფიერების ბაზაზე, უფრო მაღალი ნაყოფიერებისა, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, პროდუქტებისა და მოხმარების ყოველგვარი საგნის სიუხვის ბაზაზე, საზოგადოების ყველა წევრის შეძლებული და კულტურული ცხოვრების ბაზაზე. მაგრამ იმისათვის, რომ სოციალიზმმა შესძლოს მიაღწიოს ამ თავის მიზანს და ყველაზე შეძლებული გახადოს ჩვენი საბჭოთა საზოგადოება,—საჭიროა ჩვენს ქვეყანაში გვქონდეს შრომის ისეთი ნაყოფიერება, რომელიც უნდა სჭარბობდეს მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას" (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოცემა, გვ. 615-616, სახელგამი, 1939 წ.).

იმავე თათბირზე ამხანაგმა სტალინმა დასახა სტახანოვური მოძრაობის უახლოესი ამოცანები: „ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ სტახანოველებს კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და გაავრცელონ იგი მთელი სიღრმე-სიგანით სსრ კავშირის ყველა ოლქსა და რაიონში. ეს ერთი მხრივ. ხოლო მეორე მხრივ—ლაგამი ამოვდოთ ყველა იმ ელემენტებს სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებში, რომელნიც დაჟინებით ებღაუჭებიან ძველს, არ სურთ წინსვლა და სისტემატურად აფერხებენ სტა-

ხანოვური მოძრაობის გაშლას. სტახანოვური მოძრაობა ყოველმხრივ რომ გავავრცელოთ მთელს ჩვენს ქვეყანაში, ამისათვის მარტო სტახანოველები, რა თქმა უნდა, არ კმარან. საჭიროა ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ჩაებან ამ საქმეში და დაეხმარონ სტახანოველებს ბოლომდე მიიყვანონ მოძრაობა". (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოცემა, გვ. 627, სახელგამი, 1939 წ.).

სოფლად სტახანოვური მოძრაობის გაშლა-განვითარებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნით მიწათმოქმედების მუშაკებს და უწინარეს ყოვლისა აგრონომებს. საქართველოს აგრონომების მთელი კოლექტივი უნდა ჩაებას ამ მუშაობაში, ინიციატივა გამოიჩინოს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სტახანოველების და მოწინავე ადამიანების გამოცდილების შესწავლაში და განზოგადებაში. საჭიროა ყოველმხრივ ხელი შევუწყოთ სტახანოვურ მოძრაობას და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის პოპულარიზაციის გზით სტახანოვური მოსავალი სოფლის მეურნეობაში გავხადოთ მასიური და სისტემატური.

შაქრის ჭარხლის მაღალი მოსავალი (1.000 ცენტნერი ჰექტარზე), რაც მიიღო სოფ. იგოითის კოლმეურნეობა „გლეხის იმედში" კოლმეურნე ქალმა ჩადუნელმა, ხოლო კასპის რაიონის სოფ. ლამისყანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში—რგოლის ხელმძღვანელმა ზაქარია ბეგიაშვილმა (1.200 ცენტნერი ჰექტარზე), ან გალის რაიონის სტახანოველების ჩ. ქვაჩახიას, ტ. აბუხტაიას და დ. რიგვავას მიერ მიღებული სიმინდის მაღალი მოსავალი (100, 142 და 157 ცენტნერი ჰექტარზე)—„პროდუქტების სიუხვის" საკითხს ვერ სწყვეტს. საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობაში იყოს თუნდაც რამოდენიმე კოლმეურნე, რომელიც ისეთ მოსავალს იძლევა როგორც ამხანაგები ჩადუნელი, ბეგიაშვილი, ქვაჩახია, აბუხტაია, რიგვავა და სხვები. ჩვენი აგრონომების ღირსების საქმეა ხელი შეუწყონ ასეთი კოლმეურნეების გამრავლებას თვითეულ კოლმეურნეობაში, დაეხმარონ მათ აგროტექნიკის და სხვა სტახანოველების გამოცდილების დაუფლებაში. თუ ჩვენ თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში გვეყოლება სოფლის მეურნეობის ასეთი მოწინავეები, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მაღალი მოსავლის მიღებას მათგან ისწავლიან კოლმეურნეობის სხვა წევრებიც. მაშინ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალ საშუალო მოსავალს მივიღებთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მთელ ტერიტორიაზე და არა რაიონისა და რესპუბლიკის ცალკეულ ნაკვეთებზე. ჯერჯერობით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის სტახანოველთა მიღწევებს, როგორც ერთეულებს, საჩვენებელი ხასიათი აქვს. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ასეთ მიღწევებს მასობრივი ხასიათი ჰქონდეს.

მინდვრის კულტურების ზემო დასახელებულ სტახანოველთა ნაკვეთების უნახავადაც კი ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ საქმე აქვთ ღრმა, ნაყარ, ტენტევად და სტრუქტურულ ნიადაგებთან, სადაც სასუქის რაციონალურად შეტანის, წყლით თავის დროზე მომარაგების და, მით უმეტეს, დამატებითი გამოკვების პირობებში შეიძლება ძალიან დიდი მოსავალი მივიღოთ. სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ისეთი მაღალი მოსავალი, როგორიც ქვაჩახიამ, აბუხტაიამ და რიგვავამ მიიღეს, შეიძლება

მიღებულ იქნას დასავლეთ საქართველოს კირნარ, წითელმიწა და მსგავს ნიადაგებზე აგროტექნიკურ ღონისძიებათა განსაზღვრული სისტემის გამოყენების პირობებში. როგორ გააკეთონ ეს—კოლმეურნეებს უნდა ასწავლონ აღგილობრივმა აგრონომებმა. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოზეც. დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას დეგრადირებულ, ნარეცხ ნიადაგებზე, რისთვისაც უნდა მოხდეს მათი ნაყოფიერების აღდგენა. ამის გაკეთება შეიძლება. როგორ გაკეთდეს ეს—უნდა იცოდნენ ადგილობრივმა აგრონომებმა, ხოლო თუ იმათ ეს დაავიწყდათ, რჩევა-დარიგებისათვის უნდა მიმართონ სათანადო დაწესებულებებს და სპეციალისტებს. მხოლოდ ამ გზით ამაღლდება ადგილობრივი აგრონომების ავტორიტეტი. რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებით მიწათმოქმედების ორგანოებმა უნდა მოსთხოვონ აგრონომებს, რომ იმათ ეს თავიანთი მოვალეობა შეასრულონ, თანაც ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ მათ.

მე არაერთხელ მივმართე და მივმართავ ხოლმე წარმოებაში მომუშავე აგრონომებს, მათ შორის ჩემს აღზრდილებსაც და ვთხოვ კავშირი იქონიონ ჩემთან, სიძნელეების დროს გამოგზავნონ წერილობითი შეკითხვები და სხვ. მაგრამ ჯერჯერობით ერთეულია ისეთი შემთხვევები, როცა აგრონომები შემმართავენ ხოლმე კონსულტაციისათვის. იქნებ მათ ყველაფერი იციან და პრაქტიკულ ცხოვრებაში სიძნელეებს არ წააწყდომიან? ეს ძალიან სასიამოვნო იქნებოდა. მაგრამ სამწუხაროდ სინამდვილე ამას არ ადასტურებს.

მეოთხე სტალინური ხუთწლედი დიდ და საპატიო ამოცანებს უსახავს საქართველოს მრავალფეროვან სოფლის მეურნეობას. აგრონომიული მეცნიერების წარმომადგენლებმა, როგორც თეორიულ დარგში მომუშავეებმა. ისე პრაქტიკოსებმა ურთიერთ მჭიდრო კავშირით უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ღირსნი ვართ ამ საპატიო ამოცანების შესრულებისა.

ამხანაგ სტალინის ბრძოლა ქართველ მენშევიკ-ეროვნულ-დაშორების წინააღმდეგ რევოლუციის პერიოდში

რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხებით დამთავრდა. თვითმპყრობელობამ ბურჟუაზიასთან კავშირით სისხლში ჩაახრჩო მასობრივი მოძრაობა. დაიწყო რევოლუციის დალმასვლის ხანა. გადაუჭრელი დარჩა რევოლუციის ძირითადი ამოცანა: თვითმპყრობელობის დამხობა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. მიუხედავად რევოლუციის ძირითადი ამოცანის გადაუჭრელობისა და მუშებისა და გლეხების მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობისა, მასებმა განვლილი რევოლუციური ბრძოლებიდან გამოცდილება მიიღეს. „მოსახლეობის მილიონებმა,—სწერდა ლენინი,—პრაქტიკული **გამოცდილება** მოიპოვეს ნამდვილად მასობრივი და უშუალო რევოლუციური ბრძოლის სხვადასხვანაირ ფორმებში, თვით „საყოველთაო გაფიცვებამდე", მემამულეთა განდევნამდე, მათი სახლ-კარის დაწვამდე, აშკარა შეიარაღებულ აჯანყებამდე".[1]

მეორეს მხრივ რევოლუციამ უფრო თვალნათლივ დაუპირისპირა ერთმანეთს კლასები მათი ინტერესების გამომხატველი პარტიებითურთ. რევოლუციამ გამოავლინა ამ კლასებისა და პარტიების ნამდვილი ბუნება. ლენინი სტატიაში „მიმდინარე მომენტის შეფასების შესახებ" აღნიშნავდა, რომ შავრაზმულმა თავადაზნაურობამ, ნაციონალურ-„ლიბერალურმა" ბურჟუაზიამ, წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ და პროლეტარულმა სოციალ-დემოკრატიამ ამ ხნის განმავლობაში დაასრულეს თავიანთი განვითარების „ემბრიონალური" პერიოდი და ფაქტებით გამოავლინეს თავიანთი ნამდვილი ბუნება. იმას, რასაც რევოლუციამდე ეწოდებოდა ლიბერალური და ლიბერალურ-ნაციონალური „საზოგადოება", ანუ „ერის" „განათლებული" ნაწილი, თავადაზნაურული, ინტელიგენტური „ოპოზიციის" ფართო მასა,—რევოლუციაში თავი გამოიჩინა როგორც ბურჟუაზიის იდეოლოგებმა და მომხრეებმა, კონტრრევოლუციური პოზიცია დაიკავეს პროლეტარიატისა და გლეხობის მასობრივი ბრძოლის მიმართ. ბურჟუაზიის კავშირი შავრაზმელ მემამულეებთან და მათი საერთო ფრონტი რევოლუციისა და რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ შეიქმნა არა რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როგორც ამას ამტკიცებდნენ მენშევიკები (მაგ. პოტრესოვი), არამედ რევოლუციის დაწყებიდანვე. ლენინი სწერდა: „ლიბერალიზმი „აღმოჩნდა" ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველაზე უფრო მერყევი ნაწილი არა დღეს, არა სამი წლის—1908-10 წლების განმავლობაში, არამედ სწორედ წინა სამი წლის —განმავლობაში".[2]

---

[1]. ლენინი, თხზ. ტ. XII, გვ 470—471.

[2]. ლენინი, თხზ. ტ. XV, გვ. 93.

რუსეთის ბურჟუაზიას და მის პოლიტიკურ ლაქიას—კადეტების პარტიას, დემოკრატიზმისადმი შიში, რევოლუციისადმი შიში უბიძგებდა მონარქიისაკენ, ამ უკანასკნელში ეძებდა ის დაცვას და დახმარებას მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში. „კადეტები მლიქვნელობდნენ და მონურად ქედს იხრიდნენ მეფის მთავრობის—მათრახისა და საბრჭობელის მთავრობის წინაშე და პირდაპირ სწერდნენ, რომ საჭიროა „დავლოცოთ ეს ხელისუფლება, რომელიც ერთადერთია, რომ თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით კიდევ გვიცავს ჩვენ (ესე-იგი ლიბერალურ ბურჟუაზიას) ხალხის გაფთრებისაგან“.[1]

* * *

მეფის ხელისუფლებამ, ბურჟუაზიასთან ერთად, სასტიკად გააძლიერა მუშათა კლასის ექსპლოატაცია. იგი ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობის ყოველგვარი გამოვლინება, სასტიკად სჯიდა რევოლუციის მონაწილეთ, მასობრივად აპატიმრებდა, ხვრეტდა, საბრჭობელაზე აჰყავდა, კატორღაში გზავნიდა. „მათრახისა და სიბნელის სრული ზეიმი იყო,—სწერს ამხანაგი სტალინი. — „სისაძაგლე მოოხრებისა“ — ასე ხასიათდებოდა მაშინ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება“. „მეფის მთავრობა, მემამულეები და კაპიტალისტები, — სწერდა ლენინი,—გაცოფებით იძიებდნენ შურს რევოლუციური კლასების მიმართ, პირველ რიგში კი პროლეტარიატის მიმართ, რევოლუციისათვის...“.[2]

რევოლუციის დროებითი დამარცხების შედეგად პროლეტარიატის რევოლუციური ორგანიზაციების დანგრევამ, მონარქიის დროებითმა განმტკიცებამ გამოიწვია დაცემულობა და რწმენის უქონლობა პარტიული ინტელიგენციის ერთ ნაწილში, რომელიც სტოვებდა პარტიას. ასეთი ინტელიგენტები თავის თავს მარქსისტებად სთვლიდნენ, მაგრამ არასოდეს მტკიცედ არ მდგარან მარქსიზმის პოზიციებზე. პარტიული ინტელიგენციის ამ ნაწილზე ლაპარაკობდა ლენინი: რომ ამ ხალხს მარქსიზმი მეტად ცალმხრივად და დამახინჯებულად ჰქონდა შეთვისებული, მათ დაიზეპირეს ესა თუ ის „ლოზუნგები“, ესა თუ ის პასუხები ტაქტიკურ კითხვებზე, ვერ გაიგეს ამ პასუხების მარქსისტული კრიტერიუმი. ადამიანთა ეს ნაწილი მოეკედლა პარტიას „არა იმიტომ, რომ მათ ესმოდათ სოციალდემოკრატიული ლოზუნგებისა და ტაქტიკის სისწორის მარქსისტული კრიტერიუმი, არამედ მათი „სიმკვეთრის“ გამო, რომ ახლა, ჩვენთან ტალღების დავარდნისას რჩებიან და დარჩებიან მხოლოდ ნამდვილი მარქსისტები“.[3] წვრილბურჟუაზიული მერყეევი და მიტმასნებული ელემენტები, რომლებიც რეაქციის წლებში გამცემლურად სტოვებდნენ პარტიის რიგებს, იყვნენ მენშევიკები, ბურჟუაზიის აგენტები; მათ ქედი მოიხარეს გაბატონებული კლასების წინაშე. მენშევიკები გადაგვარდნენ ლიკვიდატორებად, რაც ნიშნავდა საბოლოოდ გადასვლას რეფორმიზმის პოზიციებზე. მენშევიზმის ბუნებისათვის, ცხადია, ეს მოვლენა სავსებით კანონზომიერი იყო.

---

[1]. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 118.

[2]. ლენინი, თხზ., ტ. XIV, გვ. 391.

[3]. ლენინი, თხზ., ტ. XII, გვ. 503.

„ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქაში,—სწერდა ლენინი,—აუცილებლად უერთდებიან პროლეტარულ პარტიას წვრილბურჟუაზიული თანამგზავრები..., რომელთაც უფრო ნაკლებად შესწევთ უნარი შეითვისონ პროლეტარული თეორია და ტაქტიკა, უფრო ნაკლებად შესწევთ უნარი ფეხი მოიმაგრონ რღვევის ხანაში, უფრო მეტი მიდრეკილება აქვთ იმისაკენ, რომ ბოლომდე მიიყვანონ ოპორტუნიზმი. დაიწყო დამლა, მასა ინტელიგენტ-მენშევიკებისა და ლიტერატორ-მენშევიკებისა ლიბერალებში გადავიდა. ჩამოშორდა პარტიას ინტელიგენცია. მაშასადამე, დაიშალნენ უფრო მენშევიკური ორგანიზაციები“.[1]

მენშევიკმა ლიკვიდატორებმა ამკარა ბრძოლა გამოუცხადეს რევოლუციურ მარქსიზმს, ცდილობდნენ ამ უკანასკნელისათვის გამოეცალათ რევოლუციური სული. ამ მიზნით მათ იწყეს მარქსიზმის თეორიული საფუძვლების რევიზია. რევოლუციის ამ თანამგზავრებმა (იუშკევიჩი, ვალენტინოვი) ხელი ჩასჭიდეს უკიდურესად რეაქციულ ფილოსოფიას—მახიზმს, რათა „გაეუმჯობესებინათ“ მარქსიზმი მახიზმით შეესებით.

მარქსიზმის თეორიული საფუძვლების რევიზიასთან ერთად, მენშევიკი ლიკვიდატორები ბრძოლას უცხადებენ რევოლუციურ არალეგალურ პარტიას, მოითხოვენ მის ლიკვიდაციას, აშკარად ხელს იღებენ პარტიის პროგრამა-მინიმუმზე და ცდილობენ შეუგუონ ის კადეტების პროგრამას.

მიუხედავად რეაქციის მძიმე პირობებისა და საერთო დაცემულობის გამეფებისა, ბოლშევიკები შეურყეველად იდგნენ რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე. მათ ბრწყინვალედ დაიცვეს და შემდგომ განავითარეს მისი თეორიული საფუძვლები. ლენინმა თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, მოგვცა მარქსიზმის ფილოსოფიის შემდგომი განვითარება და იმავე დროს გვიჩვენა მარქსისტულ-ლენინური პარტიის თეორიული საფუძვლების მნიშვნელობა კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის შრომას „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ და აგრეთვე რევოლუციისა და რეაქციის პერიოდში დაწერილ მის სხვა მრავალ სტატიას, რომლებშიც „ამხანაგი სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს, აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს. ეს ნაშრომები წარმოადგენენ პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს“.[2]

1907-1912 წლების პერიოდში ბოლშევიკებმა, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ ლენინისა და სტალინის მოძღვრებით, მათ მიერ გამომუშავებული რევოლუციური სტრატეგიითა და ტაქტიკით, შესძლეს შეენარჩუნებინათ პარტიის არალეგალური ორგანიზაციები, პარტიის ძირითადი ბირთვი. მათ

---

[1]. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. XIV, გვ. 106.

[2]. ლ. პ. ბ ე რ ი ა, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 149. მე-6 გამოცემა.

4. ბოლშევიკი № 5.

ოსტატურად შესცვალეს ტაქტიკა რევოლუციის დაძმავლობის პირობებთან შეფარდებით, რათა შეენარჩუნებინათ რევოლუციის ძირითადი ძალები და მისი რეზერვები.

„სათათბიროს ბოიკოტის მაგიერ, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — სათათბიროში მონაწილეობა, სათათბიროს გარეთ აშკარა რევოლუციური გამოსვლების მაგიერ—გამოსვლები სათათბიროში და მუშაობა სათათბიროში, საერთო პოლიტიკური გაფიცვების მაგიერ—ნაწილობრივი ეკონომიური გაფიცვები ან და პირდაპირ მიყუჩება. გასაგებია, რომ პარტია ამ პერიოდში არალეგალურ მუშაობაზე უნდა გადასულიყო, მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციები კი შეცვლილ იქნა კულტურულ-განმანათლებელი, კოოპერატიული, სადაზღვევო და კანონით ნებადართული სხვა ორგანიზაციებით“.[1]

ამგვარად, ბოლშევიკების მიერ ახალ ვითარებასთან დაკავშირებით შეცვლილი ტაქტიკა მდგომარეობდა წესრიგით უკანდახევაში, არა დაქსაქსულად, არამედ ორგანიზებულად, აუღელვებლად, ყოველი მცირეოდენი შესაძლებლობის გამოყენებით, რათა კადრებს ასცდენოდათ მტრისაგან დარტყმა და მომხდარიყო ძალთა შემოკრება მტრის წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის.

ისტორიამ სავსებით დაადასტურა ბოლშევიკების ამ ტაქტიკის სისწორე.

* * *

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლას ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ქართული მენშევიზმის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ლენინი ქართველი მენშევიკების ლიდერს ჟორდანიას („ანს“) უწოდებდა მოწინააღმდეგის ოსტატურად დაფარულ ბატარიას, გაქნილ დიპლომატს, რომელიც ამ დიპლომატიის მეშვეობით ატყუებდა მთელ კავკასიას და ლიკვიდატორების ყველაზე სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენდა კავკასიაში.

ამხანაგი სტალინი ქართული მენშევიზმის ლიდერის ნოე ჟორდანიას შეხედულებათა მხილების საფუძველზე გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენენ ლიკვიდატორები საერთოდ. რეაქციის პერიოდში საქართველოში ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლამ აშკარად დაანახვა პროლეტარიატს, რომ მენშევიკები ბურჟუაზიის აგენტები იყვნენ.

აიღეს რა ხელი მომავალ რევოლუციაზე, ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა უარყვეს პარტიის პროგრამა-მინიმუმი, ბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკისა და რვაჯაათიანი სამუშაო დღისათვის.

ჟორდანია სწერს, რომ არ შეიძლება კვლავ წამოვაყენოთ „ძირს თვითმპყრობელობის“ ტაქტიკა, რადგან „... ძალამ რეაქციისამ დიდათ იმატა, ძალამ რევოლუციური პროლეტარიატისამ დიდად იკლო; ასეთ პირობებში პროლეტარიატის ბრძოლა ვეღარ იწარმოებს ძველებურად. პირველყოვლისა ის თავის დროშას ვერ დააწერს მზადებას რევოლუციური გამოსვლებისათვის... ძველ რეჟიმთან ბრძოლა პროლეტარიატის მონოპოლია არ არის“.[2]

ქართველი მენშევიკები უფრო ღრმად ავითარებენ თავიანთ პროგრამულ ლიკვიდატორობას, პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლას უკავშირე-

---

[1]. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 71, მე-11 გამოცემა.

[2]. ‘ გაზ. „დასაწყისი“, № 4. 1908 წ.

ბენ კაპიტალისტური წარმოების განვითარების დონეს და უარყოფენ ამ ბრძოლას; მუშათა კლასს ურჩევენ იბრძოლოს კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის და ხელი აიღოს საკუთარ მოთხოვნაზე.

„ეკონომიური ბრძოლა,—სწერდა მენშევიკური გაზეთი „ნაპერწკალი“, —პირდაპირ დაკავშირებულია წარმოების პირობებთან და ამის შეგნება და გათვალისწინება აუცილებელი პირობაა სერიოზული და აწონ-დაწონილი ბრძოლისათვის, ჩვენში კი ასეთი სერიოზული ბრძოლის მაგივრად გაბატონდა „იოლი“ საშუალებით თავისი ინტერესების დაცვა. ამ შემთხვევაში კი მუშები გამოდიან არა წარმოების განვითარების პრინციპიდან, არამედ მხოლოდ თავის ყალბად გაგებულ ინტერესებიდან. უმრავლესობის შეხედულებით საჭიროა მხოლოდ მუშებმა რაც შეიძლება მეტი მოითხოვონ; და ყოველი საშუალებით თავისი მოთხოვნილებების გატარება. აი მათი მთელი მოქმედების ფილოსოფია“.[1]

გაზეთის აზრით, ასეთ გამოუანგარიშებელ ბრძოლას, გაუთვალისწინებელ მოთხოვნებს ზარალი მოაქვს მუშებისათვის. „... მუშებს ის აზრი დაებადათ, რომ მათი ყოველი მოთხოვნა სამართლიანი და მაშასადამე, მისი მოპოვება აუცილებელია, მათ სრულიად დაივიწყეს ის, რომ მოთხოვნების წამოყენებისათვის საკმარისი არ არის მარტო სამართლიანობა, საჭიროა, რომ იმათი განხორციელება შესაძლებელი იყოს არსებულ პირობებში, წარმოების მდგომარეობის მიხედვით... დროა მუშებმა შეიგნონ ეს ანბანური ჭეშმარიტება და თავისი მოქმედება შეუფარდონ წარმოების მოქმედებას... ამნაირად, ბრძოლა წარმოების განვითარებისათვის არის წმინდა მუშური ბრძოლა კულტურული განვითარებისა და აყვავებისათვის. ესაა ბრძოლა საზოგადოების და მით მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის“.[2]

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია კაპიტალისტურ წესწყობილებაში შრომისა და კაპიტალის ურთიერთ ჰარმონიის, ე. ი. კაპიტალისტისა და მუშის კაპიტალისტური წარმოებით ერთნაირად დაინტერესების იდეა. პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების შეგნებული უარყოფა—აი სად მივიდა ქართული მენშევიზმი. აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას ჟორდანია აშკარად აღიარებდა. იგი სწერდა: „ჩვენ გვიხდება მანევრირება ოპორტუნიზმის სცილასა (ე. ი. მცირე საქმეების, ნაწილობრივ მოთხოვნების პოლიტიკასა) და ბურჟუაზიული რევოლუციონიზმის ხარიბდას (საერთო-დემოკრატიული ამოცანების გულისათვის პროლეტარების განსაკუთრებული კლასობრივი მოთხოვნების დავიწყებას) შორის“.[3]

მენშევიკები მომავალ რევოლუციას სთვლიდნენ პროლეტარიატის უიმედო ცდად და ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატმა უნდა უარჰყოს დამოუკიდებელი ხაზი რევოლუციაში, ე. ი. ხელი უნდა აიღოს ჰეგემონიაზეო. ჟორდანია აღნიშნავდა, რომ 1905 წლის რევოლუციაში მენშევიკები თითქოს აღიარებდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიის ფაქტს, მაგრამ ეს იყო ორივე ფრაქციის მიერ დაშვებული შეცდომა, რომ მენშევიკებს ეს არ სწამდათ, მაგრამ ძალაუნებურად თითქოს „საერთო ნიადაგზე“ იდგნენო. მაგრამ მენ-

---

[1]. გაზ. „ნაპერწკალი“, № 11, 1908 წ.

[2]. გაზ. „ნაპერწკალი“ № 11, 14, 1908 წ.

[3]. ჟურნალი „ბორბა“, № 7—8, გვ. 22. სანკტ-პეტერბურგი, 1914 წ.

შევიზმი ცდილობდა „რაიმე შესწორება შეეტანა, ბურჟუაზიულ ელემენტებისათვის მეტი ყურადღება მიექცია, მარა რადგანაც ეს ელემენტები საკმაოდ მომწიფებული პროლეტარიატთან შედარებით არ იყო, ამიტომ სურვილები რჩებოდა მხოლოდ სურვილებათ და პოლიტიკურად უვიც მასისათვის გაუგებრად". [1]

ამ რით (ბურჟუაზიული ელემენტების სისუსტით) უნდა აიხსნას 1905 წლის რევოლუციაში ჟორდანიას მიერ თითქოს პროლეტარიატის ჰეგემონიის ძალაუნებური აღიარება, ე. ი. „საერთო ნიადაგზე" დგომა.

შეიძლება თუ არა პროლეტარიატი გახდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მეთაური?

ჟორდანიას თვალსაზრისით, თითქოს, ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის აღიარება გამოწვეული იყო რუსი ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლის პირობებით, ვინაიდან ნაროდნიკები რევოლუციის მოხდენას ამპირებდნენ ინტელიგენციის მეთაურობით, გლეხობაზე დაყრდნობით; პროლეტარიატის ჰეგემონობის აღიარებამ კი ამას ბოლო მოუღო. „მაგრამ,—სწერს ჟორდანია,—თუ ის ასე გამოგვადგა წარსულში, ეს კიდევ არ ნიშნავს, ეს ახლაც გამოგვადგება მუდამ, აწმყოში და მომავალშიაც. დროა ამ მთავარ აზროვნებას კრიტიკულად შევხედოთ და ვნახოთ რამდენად მართალია ის". [2]

ამ კრიტიკული აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს მენშევიზმის მიერ პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფა. ჟორდანია სწერს: „რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მის ხელმძღვანელად გამოვა ბურჟუაზია და არა პროლეტარიატი. თუ რევოლუციის სათავეში ისევ პროლეტარიატი ჩადგება, ის დამარცხდება. ჩვენ ახლა წმინდა ევროპული ტაქტიკა უნდა გამოვიმუშაოთ... ჩვენი ტაქტიკა სრულებითაც არ უნდა იყოს შეფარდებული რევოლუციურ გამოსვლებთან. დაე ბურჟუაზიამ თვითონ აკეთოს თავისი რევოლუცია, ჩვენ კი პროლეტარიატის საქმე". [3]

ჟორდანიას აქვს მეორე „დასაბუთებაც", რათა უარჰყოს პროლეტარიატის ჰეგემონობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. მისი აზრით, პროლეტარიატის მეთაურობას ბურჟუაზიულ რევოლუციაში აუცილებლად მივყევართ ნაროდნიკობისაკენ, რადგან პროლეტარიატის მეთაურობა ბურჟუაზიულ რევოლუციაში ნიშნავს სახელმწიფო ძალის პროლეტარიატის ხელში გადაშვლას, ეს კი დამტკიცებაა ნაროდნიკების იმ ძველი აზრისა, რომ რუსეთი უბურჟუაზიოდ გადახტება სოციალისტურ წყობილებაშია. „თუ კი მართლა შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიის დიქტატურამდის, სოციალიზმის დამყარება ბურჟუაზიული პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების სრულ დამკვიდრებამდის, მაშ რაღად ვებრძოდით ნაროდნიკებს? მარტო იმისათვის, რომ ესენი პროლეტარიატის როლს გლეხობას და ინტელიგენციას ანიჭებდნენ? ერთი სიტყვით, პროლეტარიატის მეთაურობას ძლევამოსილ ბურჟუაზიულ რევოლუციაში აუცილებლად მივყევართ ნაროდნიკობისაკენ. ამ ლოგიკის გადახვევა შეუძლებელია". [4]

---

1. გაზ. „ზარი", № 13, 1908 წ.
2. გაზ. „ზარი", № 13. 1908 წ.
3. ჟურნ. „ბრძოლა", № 2—4, გვ. 13, 1908 წ.
4. გაზ. „ზარი", № 17, 1908 წ.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ჟორდანია აქ თავს ესხმის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას, ბოლშევიკებს, რომლებიც თანმიმდევრობით იცავდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონობის იდეას. ლენინის ხანგრძლივი ბრძოლა ნაროდნიკების წინააღმდეგ არა მარტო იმით იყო გამოწვეული, რომ ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის როლს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გლეხობას და ინტელიგენციას, არამედ იმითაც, რომ ნაროდნიკები ცდილობდნენ რუსეთი აეცდინათ ბურჟუაზიული განვითარების გზიდან, მაშინ როდესაც ეს გზა ისტორიულად აუცილებელი იყო.

რუსეთის პოლიტიკური ვითარება, როგორც ეს ხაზგასმით არის აღნიშნული რსდმპ მესამე ყრილობის რეზოლუციებში, რევოლუციის ამ ეტაპზე არ აყენებდა უშუალოდ პროლეტარიატის დიქტატურის საკითხს, არამედ ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხს თვითმპყრობელობის დამხობისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარების გზით, რაც კი არ შეასუსტებდა, არამედ გააძლიერებდა კაპიტალიზმის განვითარებას. ამ დემოკრატიული გადატრიალების შედეგი უნდა ყოფილიყო არა უშუალოდ პროლეტარიატის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატის სასტიკი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, პროლეტარიატის გაბატონებისათვის. ჟორდანია ცდილობს „გააბათილოს“ მარქსიზმის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის შესახებ და სწერს: „... პროლეტარიატი ვერ იქნება თავისი მტერთა წყობილების თავისი ხელით შემომღები, მაშასადამე, ბურჟუაზიული რევოლუციის პროლეტარიატის მიერ ხელმძღვანელობა შეუძლებელია“.[1]

ჟორდანიას ამით სურდა დაესაბუთებინა, რომ რაკი რევოლუცია ბურჟუაზიულია და უშუალოდ არ ისმის საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, რევოლუციის ამ ეტაპზე პროლეტარიატი არ უნდა დაინტერესდეს რევოლუციის განვითარებით, მან უნდა აკეთოს თავისი საქმე, ხოლო ბურჟუაზიამ კიდევ თავისი საქმეო.

ჟორდანიას არ სურდა გაეგო, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით პროლეტარიატი უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ბურჟუაზია.

ლენინი რეაქციულს უწოდებდა აზრს, რომელიც მუშათა კლასის ხსნას სხვა რამეში ეძებდა, თუ არა კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებაში. ლენინი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ რუსეთში მუშათა კლასი იტანჯება არა იმდენად კაპიტალიზმისაგან, რამდენადაც მისი არასაკმაო განვითარებისაგან, ამიტომ მუშათა კლასი დაინტერესებულია ყველა იმ დაბრკოლების გადალახვით, დამსხვრევით, რომლებიც კაპიტალიზმის განვითარებას ხელს უშლიან, რომ ბურჟუაზიული რევოლუციის სრული და თანმიმდევრობითი გამარჯვება აახლოვებს პროლეტარიატს სოციალიზმისათვის ბრძოლასთან. აქედან ლენინი აკეთებდა დასკვნას, რომ „განსაზღვრული აზრით, ბურჟუაზიული რევოლუცია პროლეტარიატისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ბურჟუაზიისათვის“.[2]

---

1. გახ. „ხმა“. № 17, 1908 წ.
2. ლ ე ნ ი ნ ი. „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“, ტვ. 53.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში პროლეტარიატმა უნდა იკისროს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხელმძღვანელობა, ვინაიდან ბურჟუაზიას ეშინია პროლეტარიატისა, ის ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ეყრდნობა წარსულის ნაშთებს, რათა რევოლუცია არ იყოს თანმიმდევრობითი, არ მივიდეს ბოლომდე; ის დაინტერესებულია, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნანი მოხდეს ნელა, ფრთხილად, არა რევოლუციის გზით, არამედ რეფორმების გზით. 1905 წლის რევოლუციამ დაადასტურა ბოლშევიკების ხაზის სისწორე. რევოლუციამ დაადასტურა, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია საიმედოდ იაროს ბოლომდე გლეხობასთან კავშირში, ვინაიდან პროლეტარიატი დემოკრატიულ გადატრიალებაზე გაცილებით შორს მიდის.

ნაცვლად რევოლუციის ხელმძღვანელი როლისა, ჟორდანია პროლეტარიატს ანიჭებს ბურჟუაზიული ოპოზიციისადმი მხარის დამჭერის როლს, მისი მაჩანჩალის როლს. მენშევიკური გაზეთი „აზრი“, უფრო შორს მიდის და სწერს, რომ პროლეტარიატმა მით უფრო უნდა დაუჭიროს მხარი ბურჟუაზიულ ოპოზიციას, რომ თურმე „თვით მუშებიც დაეჭვებულნი არიან პროლეტარულ პოლიტიკაში და რწმუნდებიან „კაპიტალისტთა სიმართლეში“.[1] კადეტური ბურჟუაზია არის რევოლუციის მამოძრავებელი, ხოლო პროლეტარიატი მას კუდში მიჰყვება. გლეხობის როლი კი, როგორც პროლეტარიატის საიმედო მოკავშირისა, გამორიცხულია. ჟორდანია გლეხობას ანიჭებს კადეტური ბურჟუაზიის და მისი კუდში მიმყოლი პროლეტარიატის წისქვილის ამტრიალებლის როლს.[2]

ცნობილია, რომ ლენინი ჟორდანიას ამ „უბადლო ფილოსოფიის“ შესახებ სწერდა: „პროლეტარიატისათვის შესაძლებელ მოკავშირეთაგან ის (ე. ი. ჟორდანია. ს. ბ.) იცნობს და ირჩევს ერობელ მემამულეებს და არ იცნობს გლეხებს. და ეს კავკასიაში! განა მართალი არ ვიყავით, როცა ვთქვით, რომ ახალი „ისკრა“ თავისი მსჯელობით ეშვება მონარჩიულ ბურჟუაზიამდე იმის ნაცვლად, რომ თავის მოკავშირეობამდე აამაღლოს რევოლუციური გლეხობა!“[3]

ჭართველი მენშევიკების სათათბიროს ტაქტიკა ემსახურებოდა სოციალ-დემოკრატიის კადეტებთან კავშირის იდეას. ისინი სათათბიროში ატარებდენ აშკარა ოპორტუნისტულ, შემთანხმებლურ პოლიტიკას, პროლეტარიატის ინტერესების გამცემლობის პოლიტიკას. მენშევიკები რევოლუციის „გაღრმავებას“ ფიქრობდნენ სახელმწიფო სათათბიროს მეშვეობით, მეფაბრიკეებთან და ლიბერალ მემამულეებთან ერთად. ჟორდანიას აზრით, ოქტომბრის დღეებში რომ რაიმე წარმომადგენლობითი დაწესებულება ყოფილიყო, თუნდაც ბულიგინის სათათბირო, ამ უკანასკნელში მოხვდებოდნენ ლიბერალი მეფაბრიკენი, ლიბერალი მემამულეები და „ზემცები“, პროფესორები და სხვ. და ამგვარად სათათბიროც მალე გახდებოდა მოძრაობის იარაღად. „... და როცა 1905 წელს ზაფხულში,—სწერს ის,—თბილისის ორგანიზაციამ

---

[1]. გაზ. „აზრი“, № 21, 1908 წ.

[2]. იქვე.

[3]. ლ ე ნ ი ნ ი, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. გვ. 69—70.

დაადგინა, მიეცდევარ ბულიგინის დუმაშიო, ის სწორედ ასეთი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა".[1]

მენშევიკები სთვლიდნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროს საშუალებით შესაძლებელი იყო დემოკრატიული წყობილების სრული გამარჯვება, რომ სათათბიროს ობიექტიური დანიშნულება რუსეთის განთავისუფლება იყო. მენშევიკური გაზეთი „საყვირი" სწერდა: „... დუმა რევოლუციის მამოძრავებელი ოწინარია, ვამბობთ ჩვენ, და რევოლუციას წინ მიაქანებს. ის მძლავრი იარაღია რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების, გაღრმავების და ასე მისი დემოკრატიული წყობილების სრული გამარჯვებით დასამთავრებლად... დუმის ობიექტური დანიშნულება რუსეთის განთავისუფლებაა. დუმის ბრძოლა მთავრობასთან თანდათან გააღრმავებს უფსკრულს მთავრობასა და ხალხს შორის, რითაც ხელს შეუწყობს მის დამხობას და ძალაუფლების ხელში გადასვლას".[2]

ამგვარად, არა შეიარაღებული ბრძოლისათვის მზადება და ამ გზით ცარიზმის დამხობა, არამედ სათათბიროში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის გზით, სათათბიროს „კანონიერი უფლებების" გზით რევოლუციის „გაღრმავება", „რევოლუციის წინ გაქანება" და რუსეთის განთავისუფლება—ასეთი იყო მენშევიზმის საპარლამენტო კრეტინიზმის არსი. ამიტომ აქებდა მენშევიკებს მემარჯვენე კადეტთა ორგანო „პარუსი", რომელიც აღნიშნავდა, რომ მენშევიკები თავიანთ დეკლარაციებში უკვე აღარ ლაპარაკობენ დამფუძნებელ კრებაზე და ხალხის თვითმპყრობელობაზეო. ან კიდევ, კადეტების ორგანო „რეჩი" სწერდა: „იყო დრო, როდესაც მენშევიკები ბოლშევიკებთან ერთად აღიარებდნენ „საერთო იერიშების" „აუცილებლობას", მაგრამ ახლა დადარბაისლდნენ, „ჭკუა ისწავლეს" და ამისთანა „ბუნტოვშჩიკობას" აღარ გაჰყვებიან".[3]

გასაგებია, რომ ბურჟუაზიას მენშევიკების ასეთი ტაქტიკა უნდა მოსწონებოდა.

* * *

მენშევიკთა პროგრამულ-ტაქტიკური ლიკვიდატორობა უკავშირდებოდა აგრეთვე ორგანიზაციულ ლიკვიდატორობას. ისინი ცდილობდნენ მოესპოთ არალეგალური პარტიული ორგანიზაციები და მათს ნაცვლად ფართო, ღია და ლეგალური მუშათა პარტიის შექმნის იდეას აყენებდნენ. ქართველი მენშევიკი ლიკვიდატორები ეჭვის ქვეშ აყენებდნენ მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობასაც კი. მენშევიკური გაზეთი „წინ" სწერდა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მხოლოდ სახელითაა მუშათა პარტია. არსებითად კი ასეთი არ არის, მას არც კი შეეძლო გამხდარიყო ნამდვილ მუშათა პარტიად თავისი ისტორიული წარსულის გამო, ვინაიდან ამხ. აქსელროდის მოსწრებული თქმის არ იყოს, ის „არ შეადგენს პროლეტარიატის ნაწილს, მის სისხლს და ხორცს...".[4]

რატომ არ შეეძლო რსდმპ გამხდარიყო ნამდვილ მუშათა პარტიად? რატომ არ შეადგენდა ის პროლეტარიატის „სისხლსა და ხორცს"? იმავე გაზე-

---

[1]. გაზ. „აზრი", № 21. 1908 წ.
[2]. გაზ. „საყვირი", № 3, 1907 წ.
[3]. ციტირებულია გაზ. „ცროდან", 1907 წ.
[4]. გაზ. „წინ", № 26. 1907 წ.

თის აზრით, თურმე, იმიტომ, რომ რსდმპ პარტიაში შედიოდა სოციალისტური ინტელიგენცია, რაც ხელს უშლიდა პარტიას დაკავშირებოდა მუშათა მასებს. მხოლოდ მუშათა წრიდან გამოსული მუშათა პარტია, სოციალისტური ინტელიგენციის გარეშე, მჭიდროდ იქნებოდა შეკავშირებული მუშათა მასებთან, მხოლოდ მაშინ შესძლებდა ის ხელმძღვანელობა გაეწია პროლეტარიატისათვისო. თურმე, ლენინის შრომა „რა ვაკეთოთ?“ იმ აზრზეა აგებული, რომ სოციალისტური ინტელიგენციის გარეშე მუშათა კლასს არ შეუძლია თავისი საკუთარი ძალღონით სოციალიზმის გზას დაადგესო, მაგრამ, გაზეთის აზრით, „მუშათა მოძრაობის ისტორია წინააღმდეგს ამტკიცებს“.[1]

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია სტიქიურობის მენშევიკურ-ოპორტუნისტული თეორიის განვითარება, თეორიისა, რომელიც უარყოფს მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიის, პოლიტიკური პარტიის აუცილებლობას, უარჰყოფს მარქსისტულ დებულებას მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ.

ჯერ კიდევ 1905 წელს ამხანაგმა სტალინმა თავის შრომებში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“ და „პასუხად სოციალ-დემოკრატს“ მოგვცა მენშევიზმის ამ ოპორტუნისტული თეორიის განმანადგურებელი კრიტიკა. ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა, რომ მენშევიზმის ეს ოპორტუნისტული თეორია გადმოღებულია „ეკონომიზმის“ ცნობილი სტიქიურობის თეორიისა, რომელსაც მუშათა მოძრაობაში მივყევართ ტრედუნიონიზმისაკენ და რომელიც კაპიტალიზმს იქით ვერ იხედება.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ იმ დროს როგორც ეკონომისტები, მენშევიკებიც, რომელნიც თაყვანსცემენ სტიქიურ მოძრაობას, ორმოსა სთხრიან სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობას შორის. ისინი ამცირებენ სოციალისტური იდეოლოგიის მნიშვნელობას და მუშებს უმორჩილებენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. ამიტომ იყო, რომ ამხანაგი სტალინი ქართველ მენშევიკებს მაშინ უწოდებდა „პაწაწა ბერნშტეინებს“ და „პაწია ეკონომისტებს“.[2]

რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტიის, როგორც მუშათა პარტიის „არ არსებობას“ მენშევიკები „ასაბუთებდნენ“ პარტიის ინტელიგენტური შემადგენლობით, ბოლშევიკების ფრაქციას ისინი ბრალს სდებდნენ ინტელიგენტურ მიდრეკილებაში. ამხანაგმა სტალინმა შრომაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა“, ყრილობის შემადგენლობის გარჩევისას დაამტკიცა, რომ მენშევიკებს, რომლებიც გაჰყვიროდნენ ბოლშევიკების ინტელიგენტურ შემადგენლობაზე, თავიანთ ფრაქციაში გაცილებით ნაკლები მუშა ჰყავდათ, ვიდრე ბოლშევიკებს. ამის გამო ამხანაგი სტალინი შენიშნავდა: „ჩვენ მენშევიკების კივილს იმით ვხსნიდით, რომ „ვისაც რა სატკივარი აქვს იმისი საჩივლელიც ის არისო...“[3]

რსდმპ არალეგალური ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროპაგანდის მხრივ საყურადღებო დოკუმენტია ცნობილი ქართველი მენშევიკის ლიკვიდატორ

---

[1]. გახ. „წინ“, № 11, 1907 წ.

[2]. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, იხ. კრებული: „საქ. კ. პ. (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ“, გვ. 31.

[3]. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის ჩანაწერები)“. გვ. 6, 1940 წ.

სილიბისტრო ჯიბლაძის სტატია „როგორ ვაწარმოოთ ახალი პარტიული მუშაობა". სტატია დაიბეჭდა მენშევიკურ-ლიკვიდატორულ გაზეთ „გოლოს სოციალ-დემოკრატას" № 15-ში 1909 წლის ივნისში.

ს. ჯიბლაძე უარყოფს პარტიის არალეგალური ორგანიზაციების საჭიროებას და პარტიული მუშაობის ძველ მეთოდებს და სწერს, რომ არა პარტიული, არალეგალური ორგანიზაციები, არამედ სახელმწიფო სათათბირო, ღია მუშათა ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, კოოპერატივები, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებები, საფაბრიკო-საქარხნო კომისიები, — მუშათა ეს სხვადასხვა ლეგალური ორგანიზაციები წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის საყრდენს. საჭიროა ზრუნვა არა ძველი პარტიული ორგანიზაციების აღდგენაზე ან მათს გამოცოცხლებაზე, არამედ მთელი პარტიული შენობის გარდაქმნაზე პარტიული მუშაობის ლეგალიზაციის საფუძველზეო.

„... ძველი პარტიული მუშაობა შეუძლებელი გახდა,—სწერს ის,—იგი არ შეესაბამება გამოცვლილ და გართულებულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებს და მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარების მუხრუჭი ხდება".[1] ამგვარად, ს. ჯიბლაძის შეხედულებით, პარტიული ორგანიზაციები წარმოადგენენ მუშათა მოძრაობის მთავარ დაბრკოლებას, ვინაიდან პარტიულ ორგანიზაციებს, მისვე აზრით, „არ გააჩნიათ არავითარი დადებითი სამუშაო".[2] უფრო მეტიც, თავისი არსებობის პირველი დღიდანვე პარტიას, თურმე, არ ჰქონია დამოუკიდებელი ამოცანები და მხოლოდ იმ „რევოლუციური ლოზუნგებით საზრდოობდა, რომლებიც ასე ხშირად გამოჰქონდათ რევოლუციამდელი ან რევოლუციის აღმავლობის ფონზე და რომლებიც დაბალ ფენებში საერთო საქალაქო და რაიონულ კოლექტივებს გადაჰქონდათ".[3]

ამგვარად, ავტორის აზრით, პარტია კი არ წარმოადგენდა მოძრაობის შეგნებულ ხელმძღვანელს, პარტია კი არ ზრდიდა და ამზადებდა მასებს, მასები კი არ ეუფლებოდნენ პარტიის რევოლუციურ ლოზუნგებს, არამედ პარტია სტიქიურად კუდში მისდევდა მოვლენათა განვითარებას, ხოლო როდესაც რევოლუცია დამარცხდა, დაჰკრა ძველი პარტიული ორგანიზაციის უკანასკნელმა საათმა, მუშათა ცხოვრება დაშორდა პარტიულ ცხოვრებას და სულ სხვა მიზნისაკენ წარიმართა.

ს. ჯიბლაძეს არსებული არალეგალური ორგანიზაციების აღდგენა და განმტკიცება მიაჩნდა „ისკრის" პერიოდისაკენ დაბრუნებად, პარტიის მშენებლობის ხელახლა დაწყებად. იგი აყენებს ახალი ორგანიზაციის შექმნის გეგმას. ამ გეგმით, ახალი პარტიული ორგანიზაცია (უკეთესი იქნებოდა გვეთქვა—ახალი პარტიული-უპარტიო ორგანიზაცია! ს. გ.) იქმნებოდა ძველისაგან დამოუკიდებლად და, ამგვარად, მიდიოდა არსებული პარტიული ორგანიზაციების დაშლისაკენ. ს. ჯიბლაძის აზრით, პროფესიულ კავშირებში, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებში, კოოპერატივებში, ურთიერთდამხმარე სალაროებსა და მუშათა სხვა ლეგალურ ორგანიზაციებში, სადაც შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები, უნდა შექმნილიყო განსაკუთრებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებსაც თავიანთი მუშაობა ლე-

---

1. გახ. „გოლოს სოციალ-დემოკრატა", № 15. 1909 წ.
2. იქვე.
3. იქვე.

გალურად უნდა ეწარმოებინათ. ეს ჯგუფები პირველ ხანებში არ იქნებოდნენ გაფორმებული ორგანიზაციები, არ ექნებოდათ წესდება. ყველა ამ ჯგუფთა ერთობლივობას უნდა წარმოედგინა რსდმპ.

„მხოლოდ მაშინ,—აღნიშნავდა ავტორი,—როცა წარმოიშობა რუსეთში შესაძლებლობა თუ ღია არა, ყოველ შემთხვევაში ნახევრად ღია ს. დ. ორგანიზაციისა, ს.-დ. ჯგუფებისა და მათი გავლენის ქვეშ მყოფის ს.-დ. მუშების წარმომადგენელთა ყრილობა საფუძველს ჩაუყრის რუსეთის ნამდვილ პროლეტარულ ს.-დ. მუშათა პარტიას, რომელსაც ექნება გაფორმებული და მტკიცე ორგანიზაცია. ეს არის მუშათა ყრილობის იდეის განხორციელება“.[1]

მუშათა ყრილობას, მენშევიკების აზრით, საფუძველი უნდა დაედო ჭეშმარიტი პროლეტარული პარტიისათვის, რომელიც გახდებოდა პროლეტარიატის ნამდვილი ხელმძღვანელი.

„რაა მუშათა სიეზდი?—სწერს მენშევიკური გაზეთი „წინ“.—ეს ყველაზე შეგნებული და შეუგნებელი მუშების წარმომადგენლობის სიეზდია. სიეზდმა უნდა გადასჭრას დიდი ხნით დასმული კითხვები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ხასიათის, მან უნდა დაუდგას საფუძველი მასიურ მუშათა ორგანიზაციას, ააღორძინოს ის და აქციოს პროლეტარიატის ნამდვილ ხელმძღვანელად“.[2] მაგრამ, დასძენს გაზეთი, „დიდი შეცდომა იქნებოდა ჩვენის მხრით, თუ ჩვენ მუშათა სიეზდს ჩვენს პროგრამას ძალით თავზე მოვახვევთ“.[3] ამგვარად, ახალი მუშათა პარტიის შექმნის იდეა სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა მარქსიზმის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპების სრულ უარყოფას. მენშევიკებს სურდათ შეექმნათ ისეთი პარტია, რომელსაც არ ექნებოდა წესდება (იხ. ს. ჯიბლაძის აღნიშნული სტატია), არ ექნებოდა გარკვეული პროგრამა (იხ. აღნიშნული გაზ. „წინ“).

ს. ჯიბლაძის აღნიშნულმა წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა პრესაში. პლეხანოვმა, რომელიც მაშინ მენშევიკების ორგანიზაციული ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ილაშქრებდა და არალეგალური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცების იდეას იცავდა, თავის ჟურნალ „დნევნიკ სოციალ-დემოკრატას“ № 9-ში (აგვისტო, 1909 წ.) მოათავსა ს. ჯიბლაძის საპასუხო სტატია: „ოპორტუნიზმი, გათიშვა თუ ბრძოლა პარტიაში გავლენისათვის“. ლენინი პლეხანოვის ამ სტატიას, მიმართულს ს. ჯიბლაძის წინააღმდეგ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვინაიდან „მენშევიზმის ერთი ბელადთაგანი საბოლოოდ ამხელს ლიკვიდატორობას“.[4]

ამგვარად, ქართველმა მენშევიკმა ლიკვიდატორებმა, რუს მენშევიკებთად ერთად, რეაქციის პერიოდში საბოლოოდ უარყვეს რევოლუცია, ხელი აიღეს პროლეტარიატის ჰეგემონიაზე, საყოველთაო გაფიცვებსა და შეიარაღებულ აჯანყებაზე, ე. ი. ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე, და ქედი მოიხარეს გაბატონებული კლასების წინაშე. ლიკვიდატორთა პოზიცია იგივე რეფორმიზმის პოზიცია იყო.

ლიკვიდატორებმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს რევოლუციურ მარქსიზმს, რევოლუციურ პოლიტიკას, არალეგალურ პარტიას.

---

[1] გაზ. „გოლოს სოციალ-დემოკრატა“. № 15. 1909 წ.
[2] გაზ. „წინ“, № 11. 1907 წ.
[3] იქვე.
[4] ლენინი, თხზ., ტ. XIV, გვ. 130.

„ამრიგად,—სწერს ლ. პ. ბერია,—რეაქციის წლებში ამიერკავკასიის მენშევიზმი აშკარად და საბოლოოდ გადაიზარდა ლიკვიდატორობაში, ხელი აიღო რევოლუციაზე, მარქსიზმზე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპებზე“.[1]

* * *

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა რეაქციის წლებში უდიდესი მუშაობა გასწიეს ქართველი მენშევიკების ოპორტუნისტული თეორიისა და ტაქტიკის გასაანადგურებლად. „ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა,—სწერს ლ. პ. ბერია,—დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების—ლიკვიდატორობის წინააღმდეგ. ყოველ ნაბიჯზე ხდიდნენ მათ ნიღაბს, როგორც კონტრრევოლუციური, მონარქიული ბურჟუაზიის აშკარა აგენტებსა და ხელის შემწყობთ“.[2]

რსდმპ ლონდონის ყრილობის შემდეგ, 1907 წელს, ამხანაგი სტალინი ჩამოვიდა ბაქოში და უდიდესი იდეური ბრძოლა გააჩაღა მენშევიზმის ლიდერების კონტრრევოლუციური თვალსაზრისის წინააღმდეგ.

საქართველოს ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ამხილებდნენ მენშევიკების ოპორტუნისტულ-რეფორმისტულ შეხედულებებს, განმტკიცებდნენ და ამაგრებდნენ თავიანთ არალეგალურ ორგანიზაციებს, ამზადებდნენ მასებს ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. ბოლშევიკები იბრძოდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის, 8 საათიანი სამუშაო დღის, მიწების კონფისკაციისა და გლეხობისათვის მისი გადაცემის ლოზუნგებით. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ რეაქციის დაწყებამდე და რეაქციის პერიოდში თავის წერილობითს გამოსვლებში იცავს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლენინურ თეორიას და აცამტვერებს რევოლუციის მენშევიკურ-ლიბერალურ-ბურჟუაზიულ „სქემას“. ამხანაგი სტალინი იცავს და ავითარებს ბურჟუაზიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონობის იდეას რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იმ თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე, რომელნიც განასხვავებდნენ მას ყველა წინანდელი ბურჟუაზიული რევოლუციისაგან, სადაც ჰეგემონის როლს ბურჟუაზია ასრულებდა. გაზ. „ახალ ცხოვრებაში“ (1906 წ.) ამხანაგი სტალინი, ეხება რა საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციას, აღნიშნავს, რომ რუსეთის რევოლუცია ძლიერ წააგავს მას, რადგან ორივე რევოლუცია ბურჟუაზიულია. მიუხედავად ამისა მათ შორის დიდი განსხვავებაა. საფრანგეთის რევოლუციას არ გააჩნდა ის დიდი მანჭანური წარმოება, რომლითაც რუსეთის თანამედროვე რევოლუცია ხასიათდება. მსხვილი მანჭანური წარმოების უქონლობა იყო იმის მიზეზი, რომ საფრანგეთში ადგილი არ ჰქონია მწვავე კლასობრივ განხეთქილებას, რითაც ხასიათდება თანამედროვე რუსეთის რევოლუცია. პროლეტარიატი საფრანგეთში ამის გამო უსუსური იყო. მას არ ჰყავდა საკუთარი პარტია და იძულებული იყო ბურჟუაზიას გაჰყოლოდა კუდში. რადგან საფრანგეთის რევოლუციას ბურჟუაზია მეთაურობდა, ის ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

---

[1]. ლ. პ. ბ ე რ ი ა, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 182, მე-6 გამოცემა.

[2]. იქვე.

სულ სხვა პირობებში ვითარდება რუსეთის რევოლუცია. რუსეთში არსებობს და ვითარდება მსხვილი მანქანური წარმოება, მსხვილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი ირაზმება ერთურთის წინააღმდეგ, კლასთა განზეთქილება უმაღლეს წერტილს აღწევს; პროლეტარიატი აქ უფრო ძლიერია, ვიდრე საფრანგეთში; მას ჰყავს საკუთარი პარტია, საკუთარი პროგრამით და ტაქტიკური პრინციპებით შეიარაღებული. ცხადია, რომ ის ბურჟუაზიის მაჩანჩალა ვერ გახდება. ის, პირიქით, მიიღტვის რევოლუციის მეთაურობისაკენ, სოფლისა და ქალაქის რევოლუციური ელემენტები თავს იყრიან პროლეტარიატის გარშემო. პროლეტარიატი, იდეური და პრაქტიკული ცენტრია, საიდანაც სესხულობენ ლოზუნგებს და რომლის გარშემოც იკრიბებიან სოფლის და ქალაქის რევოლუციური ელემენტები. რუსეთის რევოლუციას პროლეტარიატი მეთაურობს და მისი საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მეთაურად მოევლინაც პროლეტარიატი გამოვა.

ამხანაგი სტალინი სტატიაში „ჩვენი უთანხმოება“, ააშკარავებს მენშევიკების სათათბიროს ოპორტუნისტულ ტაქტიკას, ამხელს მათი პარლამენტური კრეტინიზმის შინაარსს, რამაც მენშევიკები მიიყვანა ბურჟუაზიისადმი, კადეტებისადმი მხარის დაჭერამდე და რეფორმიზმამდე. ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ მენშევიკები ვერ აფასებენ მასების რევოლუციურ მოქმედებას, მაგრამ სამაგიეროდ დიდად აზვიადებენ სათათბიროს მნიშვნელობასო. ბოლშევიკები კი უმთავრეს მნიშვნელობას აკუთვნებენ მასების რევოლუციურ მოქმედებას და ამაზე ამყარებენ იმედებს და სათათბიროსაგან ბევრს არაფერს გამოელიან. არსებობს ორი ტაქტიკა: რევოლუციისა და რეფორმების ტაქტიკა. მენშევიკები მიჰყვებიან ბერნშტეინისა და ჟორესის რეფორმისტულ ტაქტიკას, ვინაიდან ისინი აზვიადებენ სათათბიროს მნიშვნელობას. ბერნშტეინისა და ჟორესის აზრით მუშათა დეპუტატების გამრავლება და წვრილ-ბურჟუაზიული საპარლამენტო რეფორმები ის იარაღია, რომლითაც პოზიციას პოზიციაზე წავართმევთ კაპიტალიზმს და ასე ნელ-ნელა შევალთ სოციალიზმშიო. ასე რომ სოციალისტური რევოლუცია ზედმეტი ბარგიაო, ასევე მსჯელობენ მენშევიკები, რაც დასტურდება მათი კადეტებისადმი დამოკიდებულებით. კადეტები არ ცდილობდნენ რეაქციის მოსპობას, ისინი მოითხოვდნენ წვრილ-წვრილ რეფორმებს, მათ სურდათ ძველის შეკეთება. მენშევიკები კი მხარს უჭერდნენ ამ მოთხოვნას, მათ ეს მოთხოვნა დღიურ ლოზუნგად გაიხადეს, მენშევიკების აზრით კადეტების სამინისტრო ძირიანად შლიდა თვითმპყრობელობას, კადეტების სამინისტრო თვითმპყრობელობის კედლის გვერდის შენგრევა იქნებოდა, ე. ი. პატარ-პატარა რეფორმებით ნიადაგი გამოეცლებოდა თვითმყრობელობას და ამგვარად შეუმჩნეველად შევიდოდით თავისუფლების სამეფოში. რევოლუცია ზედმეტი ბარგიაო,—ესეც იგივე ბერნშტეინისა და ჟორესის ოპორტუნისტული თეორიის გამეორება იყო. მენშევიკები ფეხდაფეხ მისდევდნენ ევროპის ოპორტუნისტებს. ბერნშტეინი და ჟორესი წვრილ რეფორმებზე ახურდავებდნენ სოციალისტურ რევოლუციას, რითაც აჩლუნგებდნენ კლასთა წინააღმდეგობას, აბნელებდნენ პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას. მენშევიკებს სურდათ რეფორმებით დაეშალათ თვითმპყრობელობა, მაშასადამე, ისინი წვრილ რე-

ფორმებზე ახურდავებდნენ რუსეთის რევოლუციას, და ამით აფუჩეჩებდნენ კლასთა წინააღმდეგობას, აბნელებდნენ მუშების კლასობრივ და გლეხობის რევოლუციურ თვითშეგნებას. სტალინი აღნიშნავდა, რომ რევოლუციური სოციალ-დემოკრატია სრულიად არ უარყოფს რეფორმების მნიშვნელობას. „ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ თავი და თავი იარაღი რევოლუციაა და არა რეფორმა“.[1]

ამხანაგი სტალინი თავის სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლონდონის ყრილობა“ (დელეგატის ჩანაწერები), რომელიც პირველად 1907 წელს დაიბეჭდა გაზ. „ბაკინსკი პროლეტარში“, მენშევიზმს ახასიათებს როგორც არა მთლიან მიმდინარეობას, არამედ მიმდინარეობათა ბრალს, რომელიც გაკოტრდა როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა. ამ სტატიაში ამხანაგი სტალინი, ანვითარებს რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ლენინურ თეორიას, ამავე დროს ააშკარავებს და აკრიტიკებს მენშევიზმის ლიბერალურ-ბურჟუაზიულ შეხედულებებს რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა და პერსპექტივების შესახებ. სტალინი სწერს, რომ ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, იგი უნდა დამთავრდეს არა კაპიტალისტური, არამედ ბატონყმური წესწყობილების განადგურებით, ის უნდა დაგვირგვინდეს დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებით, რომ ამის გამო საჭიროა რევოლუცია ბოლომდე იქნას მიყვანილი. „მაგრამ,—აყენებს საკითხს ამხანაგი სტალინი.—როგორ უნდა მივიყვანოთ ჩვენი რევოლუცია ბოლომდე? რანაირია პროლეტარიატის, გლეხობის, ლიბერალური ბურჟუაზიის როლი ამ რევოლუციაში? მებრძოლი ძალების როგორი შეხამებით შეიძლებოდა მიმდინარე რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. ვისთან ვიაროთ, ვის ვებრძოლოთ და სხვა და სხვ. აი, სად გეწყება უთანხმოება“.[2]

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ მენშევიკების აზრით რუსეთის რევოლუცია რაკი ბურჟუაზიულია, ამიტომ მისი ბელადი ბურჟუაზია უნდა იყოს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ევროპის სხვა სახელმწიფოთა რევოლუციების ბელადი ბურჟუაზია იყო, ასე უნდა მოხდეს რუსეთშიაც. პროლეტარიატი ბურჟუაზიას უნდა მიჰყვებოდეს. მართალია, გლეხობა რევოლუციური ძალაა, მაგრამ მასში რეაქციული მხარე სჭარბობს, ამიტომ პროლეტარიატი უფრო უნდა უკავშირდებოდეს ლიბერალურ-დემოკრატიულ ბურჟუაზიას, ვიდრე მას. ბურჟუაზია უფრო საიმედო მოკავშირეა პროლეტარიატის, ვიდრე გლეხობა. რაკი ლიბერალური ბურჟუაზია ბელადია რევოლუციის, მის გარშემო უნდა დაირაზმონ მთელი რევოლუციური ძალები.

ასეთი იყო მენშევიზმის დებულებები. აქედან გამომდინარეობს პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფა, გლეხებთან ერთად მის მიერ ხელისუფლების აღების უარყოფა და პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების დამორჩილება ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებისადმი.

ამხანაგი სტალინი რევოლუციის ხასიათისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზის დროს გამოდის კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებიდან და აღნიშ-

---

[1]. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, გაზ. „ახალი ცხოვრება“, № 16, გვ. 1.

[2]. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლონდონის ყრილობა“, (დელეგატის ჩანაწერები). გვ. 16—17, სახელგამი, 1940 წ.

ნავს ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციებიდან რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციის თავისებურებებს. ამხანაგი სტალინი სწერს, რომ ჩვენი რევოლუციაც ბურჟუაზიულია, მაგრამ აქედან არ შეიძლება დასკვნის გამოყვანა, რომ მისი ჰეგემონი აუცილებლად ბურჟუაზია უნდა იყოს. თუ საფრანგეთის ბურჟუაზია რევოლუციის ჰეგემონს წარმოადგენდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი მაშინ სუსტი იყო, მას არ შეეძლო დამოუკიდებლად გამოსვლა, და არც აყენებდა თავის კლასობრივ მოთხოვნებს, მას არ ჰქონდა კლასობრივი შეგნება და ორგანიზაცია, სწორედ ამიტომ ის ბურჟუაზიას კუდში მისდევდა, ბურჟუაზია კი იყენებდა მას თავის კლასობრივი მიზნების განხორციელებისათვის. იქ ბურჟუაზია არ საჭიროებდა მოკავშირეს შეფის ხელისუფლების სახით პროლეტარიატის წინააღმდეგ, ვინაიდან პროლეტარიატი თვითონ იყო მისი მოკავშირე, მსახური. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბურჟუაზია უფრო რევოლუციური იყო და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის სათავეში იდგა. სულ სხვა მდგომარეობაა რუსეთში. რუსეთის პროლეტარიატი ძლიერია, იგი დიდი ხანია დამოუკიდებლად გამოდის, აყენებს თავის კლასობრივ მიზნებს, იგი შეიარაღებულია კლასობრივი თვითშეგნებით. რუსეთის პროლეტარიატს ჰყავს თავისი უძლიერესი პარტია, თავისი პროგრამით და ტაქტიკურ-ორგანიზაციული პრინციპებით. ცხადია, რომ რუსეთის პროლეტარიატი ასეთ პირობებში ვერ გადაიქცევა ლიბერალური ბურჟუაზიის მაჩანჩალად. ის უნდა გახდეს რევოლუციის ბელადი. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია, პროლეტარიატის გამოსვლებით დაშინებული, კონტრრევოლუციას უკავშირდება პროლეტარიატის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის პარტია კი, კადეტების პარტია, უთანხმდება სტოლიპინს რევოლუციის წინააღმდეგ. აქედან დასკვნა: რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ანტირევოლუციურია, იგი არ შეიძლება იყოს რევოლუციის ხელმძღვანელი.

„ჩვენი რევოლუციის ერთადერთი ბელადი,—სწერს ამხანაგი სტალინი,—რომელიც დაინტერესებულია და შეუძლიან გაიყოლიოს რუსეთის რევოლუციური ძალები რუსეთის თვითმპყრობელობაზე იერიშების მისატანად პროლეტარიატია. მხოლოდ პროლეტარიატი დარაზმავს თავის გარშემო ჭვეყნის რევოლუციურ ელემენტებს, მხოლოდ ის მიიყვანს ჩვენს რევოლუციას ბოლომდე. სოციალ-დემოკრატიის ამოცანა არის: გააკეთოს ყველაფერი რაც კი შესაძლებელია, პროლეტარიატის მოსამზადებლად რევოლუციის ბელადის როლისათვის, ეს არის ბოლშევიკური თვალსაზრისის ღერძი".[1]

პროლეტარიატის მოკავშირედ მიმდინარე რევოლუციაში უნდა იყოს არა მოღალატე ლიბერალური ბურჟუაზია, არამედ რევოლუციური გლეხობა, რომელიც პროლეტარიატთან ერთად დაინტერესებულია იბრძოლოს ბატონყმობის ნაშთების მოსასპობად. „რევოლუციურ გლეხობასთან ერთად,—სწერს ამხანაგი სტალინი,—ცარიზმისა და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის მეთაურობით. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა ბრძოლისა კადეტური ბურჟუაზიის ჰეგემონიასთან (წინამძღოლობა) და მა-

---

[1]. ი. ბ. სტალინი, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა". (დელეგატის ჩანაწერები), გვ. 19, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი. 1940 წ.

შასადამე, კადეტებთან შეთანხმების შეუწყნარებლობა. ასეთია ბოლშევიკების აზრი".[1]

ამხანაგი სტალინი ნიღაბს ხდის მენშევიკებს, როგორც ყალბ რევოლუციონერებს, რომელთაც დაზეპირებული აქვთ მარქსის ცალკეული დებულებები, მაგრამ პრაქტიკაში გვერდს უხვევენ მას და ადგებიან ლიბერალური ბურჟუაზიის ტაქტიკას.

ამხანაგი სტალინი იბრძოდა რა მენშევიკების ორგანიზაციული ლიკვიდატორობის წინააღმდეგ სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მენშევიკური მუშათა ყრილობის იდეას, უწოდებდა ამ უკანასკნელს მავნე იდეას, რომელიც წამოაყენა ინტელიგენტ ფრაზიორებმა მენშევიკური ბანაკიდან. „მუშათა ყრილობის იდეა,—სწერს ამხანაგი სტალინი,—მისი კონკრეტიული სახით აღებული, ძირშივე ყალბია: რადგან იგი ფაქტებს კი არ ემყარება, არამედ შემცდარ დებულებას იმის შესახებ, რომ „ჩვენ პარტია არა გვყავს" საქმე ის არის, რომ ჩვენ პროლეტარული პარტია გვყავს, ის ხმამაღლა მეტყველებს თავის არსებობაზე, ფრიად სერიოზულად აგრძნობინებს თავის არსებობას პროლეტარიატის მტრებს—ეს ძლიერ კარგად იციან თვით მენშევიკებმა—და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ უკვე გვყავს ასეთი პარტია, სწორედ ამიტომ მუშათა ყრილობის იდეა საფუძველშივე ყალბია... ჩვენ უკვე გვყავს პარტია, ნამდვილი პროლეტარული პარტია, რომელსაც მასებში უდიდესი გავლენა აქვს; მუშათა ყრილობა რომ მოვიწვიოთ, ფანტასტიკური „უპარტიო პარტია" რომ შევქმნათ, ჩვენ აუცილებლად დაგვჭირდება, რომ პირველყოვლისა „ბოლო მოვუღოთ" არსებულ პარტიას, პირველყოვლისა დავანგრიოთ იგი".[2]

ამიტომ იყო რომ რევოლუციის მტრები, ბურჟუაზიული მწერლები, სინდიკალისტები, კადეტები, ოქტიაბრისტები და სხვები აქებდნენ მენშევიკებს მუშათა ყრილობის მოწვევის აგიტაციისათვის. ამხანაგი სტალინი, აღნიშნავს, რომ მუშათა ყრილობის მოწვევა სახიფათოა, მავნებელი სწორედ იმიტომ, რომ ის მასების თვალში პარტიას ნდობას უტეხს და მას ბურჟუაზიული დემოკრატიის გავლენას უმორჩილებს.

ამხანაგმა სტალინმა ჯერ კიდევ 1906 წელს გაზ. „ელვას" ფურცლებზე თავის სტატიაში „აგრარული კითხვა" ამხილა მენშევიკების აგრარული პროგრამა, როგორც მოღალატური, ვინაიდან მენშევიკები გლეხებს ურჩევდნენ მიწები „შელავათიან ფასებში" გამოეყიდათ.

„არა! გლეხებს ვერ იხსნის მიწების გამოსყიდვა, ვინც მათ „შელავათიან გამოსყიდვას" ურჩევს, ისინი მოღალატენი არიან. ვინაიდან მათ უნდათ საქმე დალალობით გაათავონ, და თხა და მგელი ერთად აძოვონ, მათ არ უნდათ, რომ გლეხების განთავისუფლება გლეხებისავე ხელით მოხდეს... მემამულეებთან ვაჭრობა კი არა ბრძოლაა საჭირო. ბატონყმური უღლის დაპაჭინკება კი არა მისი დამსხვრევა უნდა მოხდეს, რომ სამუდამოდ მოისპოს ნაშთები ბატონყმობისა... ერთადერთი გზა მთელი მიწების ართმევაა. მხოლოდ ამას

---

[1]. ი. ბ. სტალინი, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა" (დელეგატის ჩანაწერები), გვ. 19.

[2]. იქვე, გვ. 31.

შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს გლეხთა მოძრაობა, მხოლოდ ამას შეუძლია ქარს გაატანოს ბატონყმობის მობერებული ნაშთები".[1]

ამხანაგი სტალინი სტატიაში „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა" ნიღაბს ხდის მენშევიკური ცკ-ის ოპორტუნისტულ ტაქტიკას საათაბიროს მიმართ. მენშევიკური ცკ-მა წამოაყენა ლოზუნგი პასუხისმგებელი კადეტური სამინისტროს შესახებ, „სათათბიროს სესიების განახლების" შესახებ და ა. შ. ეს ტაქტიკა ხელს უწყობდა პროლეტარიატის პოლიტიკის დამორჩილებას ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკისადმი, პროლეტარიატის დროშას ხრიდა „კადეტური ლიბერალიზმის შარლატანების წინაშე—აი სადამდის მიგვიყვანეს მენშევიზმის ოპორტუნისტებმა".[2]

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის ისტორიულ სტატიებს „წერილი კავკასიიდან", რომელიც დაიბეჭდა რსდმპ-ის ცენტრალურ ორგანოში „სოციალ-დემოკრატში" (№ 11, 1910 წელი. 26 (13) თებერვალი) 1910 წლის 7 ივნისს (24 მაისს) „დისკუსიონ ლისტოკის" № 2-ში. აღნიშნულ წერილებში გაშუქებულ საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო კავკასიისათვის, არამედ მთელი რუსეთისთვის. ამხანაგი სტალინი აქ ააშკარავებდა საერთოდ რუსეთის ლიკვიდატორობას.

ამხანაგი სტალინი აღნიშნულ სტატიაში კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ნ. ჟორდანიას წერილებს სათაურით „საჭირბოროტო საკითხები", რომელიც იბეჭდებოდა ქართულ ლეგალურ მენშევიკურ გაზეთებში „აზრსა" და „დასაწყისში". აღნიშნულ წერილებში, რომელთა შესახებაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, ნ. ჟორდანია პირდაპირ მიდიოდა პროგრამულ, ტაქტიკურ და ორგანიზაციულ ლიკვიდატორობამდე.

„ჩვენი ავტორის[3] პროგრამული ვარჯიშობა,—სწერს ამხანაგი სტალინი,—რომელიც თბილისის მენშევიკებმა მიიღეს, როგორც „ახალი" ფრაქციულ მანიფესტად, წარმოადგენს პარტიის პროგრამა-მინიმუმის ლიკვიდაციას, რაც მოითხოვს ჩვენი პროგრამის შეგუებას კადეტების პროგრამასთან".[4] პროგრამა-მინიმუმი, რომლის განხორციელებისათვის იბრძოდა პროლეტარიატი, ჟორდანიას აზრით წამოყენებული იყო ბოლშევიკების მიერ. ამიტომ ჟორდანია მოითხოვდა მის ლიკვიდაციას, როგორც ჭბრალო დეკლარაციას. ამის შესახებ ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ პროგრამა-მინიმუმის განხორციელებაზე ლაპარაკობენ არა მარტო ბოლშევიკები, და არავითარ ბოლშევიკურ „პროგრამა-მინიმუმს, გარდა საერთო პარტიულისა, ისტორია არ იცნობს".[5]

შემდგომ ამხანაგი სტალინი სწერს: „ახლა ყველაფერი ნათელია, რევოლუციის გამარჯვებისთვის საჭიროა ზომიერი კადეტური ბურჟუაზია ზომიერი

---

[1]. გაზ. „ელვა", № 5. 1906 წ.

[2]. ი. ბ. სტალინი, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა", (დელეგატის ჩანაწერები), გვ. 14.

[3]. მხედველობაშია ნ. ჟორდანია. ს. ბ.

[4]. ი. ბ. სტალინი, „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ". გვ. 61.

[5]. იქვე, გვ. 61.

კონსტიტუციით, მაგრამ მარტო მას არ შესწევს გამარჯვების მოპოვების უნარი. მას ესაჭიროება პროლეტარიატის დახმარება. პროლეტარიატი მას უნდა დაეხმაროს, ვინაიდან მას არ უნდა ჰქონდეს არავის, თვით გლეხობის იმედიც კი, გარდა ზომიერი ბურჟუაზიისა, მაგრამ ამისათვის მან უნდა უკუაგდოს თავისი შეურიგებლობა, ხელი გაუწოდოს ზომიერ ბურჟუაზიას და აწარმოოს საერთო ბრძოლა ზომიერ კადეტური კონსტიტუციისათვის. დანარჩენი თავისთავად მოგვარდება. პარტია, რომელიც რევოლუციის გამარჯვების საწინდარს ხედავს მუშათა და გლეხთა ბრძოლაში ზომიერი ბურჟუაზიისა და ბატონყმობის მოტრფიალეთა წინააღმდეგ, სცდება. ერთი სიტყვით, ნაცვლად გლეხობის გამძღოლი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისა, — ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის თვალის ამხვევი კადეტური ბურჟუაზიისა.

ასეთია თბილისელი მენშევიკების „ახალი ტაქტიკა". ჩვენი აზრით არც კი არის საჭირო მთელი ამ უგვანო ლიბერალური ჩმახვის გარჩევა, საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ თბილისელი მენშევიკების „ახალი" ტაქტიკა წარმოადგენს რევოლუციის მიერ დადასტურებული პარტიული ტაქტიკის ლიკვიდაციას. ლიკვიდაციას, რომელიც მოითხოვს პროლეტარიატის გადაქცევას ზომიერ კადეტურ ბურჟუაზიის კუდმაჩანჩალად".[1]

ამხანაგი სტალინის ამ წერილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეაქციის პერიოდში ბოლშევიკური ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცებისათვის. მასში ამომწურავად მოცემულია იმ იდეური ატმოსფეროს ანალიზი, რომელიც შექმნეს თბილისის მენშევიკებმა, განსაკუთრებით რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ამხანაგ სტალინის წერილთან ერთად „დისკუსიონ ლისტოკში" (№ 2) დაიბეჭდა ნ. ჟორდანიას საპასუხო წერილი, სადაც ის ცდილობს დაიცვას ამხანაგ სტალინის მიერ გაკრიტიკებულ სტატიებში მის მიერ წამოყენებული დებულებები. საყურადღებოა, რომ ნ. ჟორდანიას ამ საპასუხო წერილის გამო ლენინი შენიშნავდა: „ანი თავის სტატიაში ადასტურებს მძიმე ბრალდებებს სტატიის — „წერილები კავკასიიდან"—ავტორისას".[2]

ნ. ჟორდანია საპასუხო წერილში ლიკვიდატორობის დაცვის საქმეში იმდენად შორს წავიდა, რომ მის წინააღმდეგ იძულებული იყო გაელაშქრნა მენშევიზმის ლიდერს პლეხანოვს.

არკომედის წიგნის „მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში" — წინასიტყვაობაში, რომელიც გამოიცა 1910 წელს ქალაქ ჟენევაში, პლეხანოვი სთვლიდა რა ჟორდანიას ნამდვილ ლიკვიდატორად, სწერდა: „თუ ამხ. ანი მზად არის მიიღოს ყველა ის დასკვნა, რომლებიც გამომდინარეობენ მისი „რევიზიიდან", მაშინ დაე ნუ ეწყინება მას იმ ამხანაგებისა,

---

[1]. ი. ბ. სტალინი. „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ" გვ. 61.

[2]. ვ. ლენინი. თხზ. ტ. XIV. გვ. 317.

5. ბოლშევიკი № 5.

რომლებიც ისე, როგორც ამხ. კ. სტ., მიიჩნევენ მას სრულ ლიკვიდატორად".[1]

ლენინი არკვევდა რა ლიკვიდატორობის წარმოშობის სოციალურ საფუძვლებს, აღნიშნავდა რომ ის ღრმა სოციალური მოვლენაა, რომელიც განუწყვეტლად დაკავშირებულია ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ განწყობილებასთან, და რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიასთან. „ლიკვიდატორობა, — სწერს ლენინი, — არის ერთობლიობა იმ ტენდენციებისა, რომელნიც ახასიათებენ ყოველ ოპორტუნიზმს საზოგადოდ".[2] და რომ „ეკონომისტები და „Credo" ბ. სტრუვე და კომპ. — ბბ. ლიკვიდატორები, ეს ყველა ერთი კაბის საფეხურებია, ერთი ევოლუციის ეტაპებია, ერთნაირი ტენდენციის გამოხატულებაა".[3] რეაქციის პერიოდში ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ნიღაბი ახადეს ქართველ მენშევიკებს, რომლებიც ცდილობდნენ დაეჭვემდებარებინათ მუშათა კლასის ინტერესები კონტრრევოლუციონური ბონარჩიული ბურჟუაზიის ინტერესებისადმი.

ს. ბოკუჩავა

---

[1]. ხ. ტ. არკომედი. „მუშათა მოძრაობა და სოციალ-დემოკრატია კავკასიაში". გვ. 27.

[2]. ვ. ლენინი, თხზ. ტ. XV. გვ. 153.

[3]. ვ. ლენინი, თხზ. ტ. XV. გვ. 254.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან

1945 წლის დეკემბერში „სახელგამცა“ გამოსცა ამხ. ი. მელქაძის ბროშურა „ამერო-კოლაბორაციონიზმის ბოლშევიკები ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლაში“, რომელიც შეიცავს პრინციპული და ისტორიული ხასიათის შეცდომებს.

ამხ. მელქაძის ბროშურაში ისტორია პარტიის ბრძოლისა ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ არა სწორად არის გაშუქებული. ბროშურაში ნაციონალური საკითხი განხილულია ისტორიული პერსპექტივის გარეშე. აგრეთვე სწორად არ არის შეფასებული რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, კერძოდ 1905 წლის იანვრის ამბები და სხვ. გარდა ამისა ბროშურა არ უპასუხებს სათანადო შეცნიერულ მოთხოვნილებებს.

ვინაიდან ბროშურა გამოცემულია საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სახელით, ფილიალის დირექციას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ამხ. მელქაძის ბროშურა, წინააღმდეგ ფილიალში არსებული წესისა, არ ყოფილა წინასწარ განხილული ფილიალის სათანადო სექციაში და გადაეცა გამომცემლობას მხოლოდ რედაქტორის (ამხ. შ. ცაგარეიშვილის) პასუხისმგებლობით.

ამხ. მელქაძის ბროშურა გარჩეულ იქნა ფილიალის საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სექტორის სხდომაზე, სადაც აღინიშნა ყველა შეცდომები.

ფილიალის დირექციამ დაავალა ამხ. მელქაძეს ძირიანად გადაამუშავოს თავისი ბროშურა.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექცია.

სარედაქციო კოლეგია:

გ. ალავიძე
ქ. ბარიგიანი
ვ. კუპრაძე
ა. ქუთელია
პ. შარია (პ/მგ. რედაქტორი)
ს. ჭელიძე
ხ. ჯაბანაშია

რედაქციის მისამართი: ჭორწყისის ქ. № 5. ტელ. № 3-73-05.

ტირაჟი 8.000. უე 02042. ანაწყ. ზომა 7×12=56.000
სასტ. ფორმ. რაოდ. 4,2. საავტ. 5,7 გამომც. № 44. შეკვ. № 737.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის, 28.

ჟანრი 3 ანბ.

ბ 838
1946

ЖУРНАЛ
„БОЛЬШЕВИКИ“
(на грузинском языке)
Орган ЦК КП (б) Грузии
№ 5 май 1946 г.